საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

მ. გეგეშიძე

# ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1981

57.026 (C 41)
ББК 28.08 (2Г) + 60.5 (2Г)
УДК 577.4 + 301:577.4
ზ 263

ნაშრომი წარმოადგენს ეკოლოგიის ისტორიისა და ეკოლოგიური კულტურის სფეროში ავტორის მრავალი წლის მუშაობისა და დაკვირვების შეჯამების ცდას. ნაშრომი ემყარება ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა ხასიათის წერილობით მასალასა და ეთნო-კულტურული ტრადიციების მრავალფეროვან მონაცემებს. ნაშრომში დასმული პრობლემები განიხილება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ისტორიული განვითარების ფონზე, წინ არის წამოწეული სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის ხანგრძლივ პროცესში ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან აქტიური შრომითი დამოკიდებულების სპეციფიკა საქართველოში და ამ საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ცოდნა და ეკოლოგიური კულტურა. წიგნის შემადგენელ ცალკე ნაწილს წარმოადგენს ეკოლოგიის თანამედროვე სოციალური პრობლემები, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის რაციონალიზაცია და გარემოს დაცვაში საზოგადოებრივი აქტივობის ზრდა.

რედაქტორი პროფ. ალ. ასლანიკაშვილი

ზ $\frac{10602}{M\ 607(06) - 81}$ 171 — 81 ©

# შესავალი

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებათსარგებლობის პრობლემა, რომელიც ამავე დროს უაღრესად აქტუალურიც არის, რამდენადაც შეიცავს პრაქტიკულ, სამოქმედო ასპექტებს. ამ შემთხვევაში პირველ რიგში იგულისხმება ბუნებათსარგებლობის ჩვენს თვალწინ მიმდინარე პროცესები, შეერთებული ადამიანის მიზანმიმართულ შრომასთან. ტერმინი „ბუნებათსარგებლობა" ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში შედარებით ახალია და გადმოღებულია რუსული შესატყვისი ცნებიდან — Природопользование. ამ სიტყვების ადეკვატურობა ეჭვს არ იწვევს.

დასმულ პრობლემას თავისი თეორიული საფუძვლები აქვს და დროის ხანგრძლივობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელიც არის, როგორც ყველა ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი. მაგრამ, როგორც ითქვა, ბუნებათსარგებლობის პრობლემა მუდმივად ახალია და მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ეს ანიჭებს მას განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

წინამდებარე ნაშრომი ფაქტიურად წარმოადგენს ავტორის მიერ საქართველოს მეურნეობის ისტორიასა და ეთნოგრაფიაში ხანგრძლივად წარმოებული კვლევისა და დაკვირვების ერთი ნაწილის შეჯამების ცდას პრაქტიკულ-მეთოდური კუთხით. ავტორის დაკვირვებისა და განხილვის საგანს წარმოადგენს სოფლისმეურნეობრივი ბუნებათსარგებლობის ისტორიული გამოცდილება საქართველოში. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების უაღრესი მრავალფეროვნება და ნაირგვარობა, რაც ოდითგანვეა მისთვის დამახასიათებელი, მრავალფეროვანს ხდიდა ადამიანის სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას და შრომით პროცესებს. ტრადიციული სამეურნეო-საწარმოო საქმიანობისა და შრომითი პროცესების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა სრულ კომპლექსში, როცა დაკვირვების საგანი ხდება კონკრეტული ბუნებრივ-სამეურნეო გარემო, ბუნებრივ-საწარმოო ძალების ცალკეული კომპონენ-

ტების (მზე — სინათლე, წყალი, რელიეფი, ნიადაგები, მიკროფლორა) მჭიდრო ერთობლიობაში წარმოაჩენს მეურნეობრივი მოსაქმეობის მეტ-ნაკლებად სტაბილურ სურათს. ესა თუ ის დარგი ან მისი შემადგენელი ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი სისტემა, რომლის შემადგენელი კომპონენტები ურთიერთკავშირში იმყოფებიან შინაგანივე ურთიერთზემოქმედების გამოვლინებაში.

საკითხების ამ მიდგომით განხილვა კონკრეტულ ბუნებრივ გარემომცველ პირობებში მეურნეობრივი მოსაქმეობის მეტ-ნაკლებად სტაბილური დარგობრივი მიმართულების სფეროებში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საწარმოო ჩვევებსა და შრომით გამოცდილებას წარმოგვიდგენს მიკროსისტემების სახით, რომლის თითოეული კომპონენტის ფუნქციური შეფასება შესაძლებელი ხდება თვისებრივი ანუ ხარისხობრივი ნიშნით. მიკროსისტემური მიდგომა გვეხმარება ბუნებრივი საწარმოო ძალების რაციონალური გამოყენების გაუმჯობესების საქმეში[1], რაც აქამდე, თაობათა გამოცდილების საფუძველზე ემპირიულ ცოდნად ჩამოყალიბებულა და მეურნეობის ტრადიციული სახე შეუქმნია.

საწარმოო ძალთა ცალ-ცალკე ელემენტის თვისებრივი შეფასება, რაც ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო ტრადიციაში ხალხის ხანგრძლივი ემპირიული ცოდნის ჯამის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენს, მოგვეხმარება ეს ტრადიციები სადღეისო ამოცანების გადაჭრაში გონივრულად და წარმატებით გამოვიყენოთ.

ქართველი ხალხის მეურნეობრივი საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია აშკარად ასახავს ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების მიზანმიმართულებას და მიზანსწრაფვას.

სასიამოვნო და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ეს აზრი ძალზე მკაფიოდ გამოხატა ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ე. ხარაძემ თავის მისალმება-მილოცვაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი ერთ-ერთი მორიგი სამეურნეო წარმატების გამო. აი, მისი სიტყვებიც: „ჩვენთან, საქართველოში, უმრავლეს შემთხვევაში მიწასთან დაკავშირებული მშრომელი ადამიანის წარმატება, ტრადიციისამებრ განისაზღვრება იმით, თუ როგორ მოუარა მან ვაზს, რამდენი ყურძენი მოკრიფა. ვაზს ხომ ისტორიულად ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ად-

---

[1] **И. В. Блауберг, Э. Г. Юдин, Становление и сущность системного анализа, М., «Наука», 1973; Новые идей в географии . . . 4. Географические аспекты экологии человека, М., «Прогресс», 1979; А. Ф. Асланикашвили, Предмет познания географии, Изв. АН СССР, серия географическая, 2, М., .1978.**

გილი ჰქონდა დათმობილი. ვაზი გამოხატავს ჩვენი ხალხის უძველეს კულტურას, ქართველი გლეხის სათუთ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მის მაღალ საწარმოო კულტურას, სახალხო დოვლათის გამრავლების მისწრაფებას“ („ალგვაფრთოვანებს მეცნიერებს“, გაზ. „კომუნისტი“, 1 ოქტომბერი, 1978). თუ ჩავუკვირდებით, ამ სიტყვებში მეთოდოლოგიური მნიშვნელობის აზრიც არის გატარებული, რაც ამ საკითხების კოლექტიურ-ისტორიულ და სოციალურ შესწავლას დიდად შეუწყობს ხელს. ტრადიციული ემპირიული ცოდნა, რომელიც ამავე დროს წარსულის თავისებურ ხალხურ ექსპერიმენტს წარმოადგენს, სისტემატური შესწავლის წყალობით შესაძლებლობას იძლევა წარმატებით დავნერგოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სადღეისო და სამომავლო პრაქტიკაში მიკრორეგიონალური მიდგომა, რაც საქართველოს სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე განხილული საკითხები ერთდროულად ეხმარება ჩვენი ხალხის სოფლისმეურნეობრივი ეკოლოგიური ცოდნის გამოვლინებას, ეკოლოგიური კულტურის მიღწევების ჩვენებას, რასაც, ცხადია, თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეძლევა ეკოლოგიური აღზრდის თანამედროვე სოციალური მიზნებისათვის, საერთოდ ხელს უწყობს ბუნებასთან ურთიერთობაში საზოგადოების აქტივიზაციას.

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების თანამედროვე პრობლემების ნაირგვარი ხასიათისა და მათი მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის (მოსკოვი, 1978) დარგობრივ-სექციური სტრუქტურა, რომელშიაც შევიდა: საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ფილოსოფიური პრობლემები, გარემოს დაცვის მართვა და ორგანიზაცია, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების სამართლებრივი პრობლემები, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ისტორიული განვითარების პრობლემები, სისტემური მიდგომა ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული პრობლემები, მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკოლოგიური ასპექტები, ეკოლოგიური განა-

თლებისა და აღზრდის პრობლემები[2]. ცხადია, ამ დაყოფაში სისრულე აკლია საკუთრივ ბუნებისმეტყველურ ნაწილს, რომელიც, ცნობილი ვითარების გამო, მრავალი მიმართულებისა თუ ასპექტის შემცველია.

საბჭოთა კავშირში ბოლო ხანებში ეკოლოგიური პრობლემების კვლევა ორი მთავარი მიმართულებით წარიმართება—გლობალური ეკოლოგიის პრობლემები და ლოკალურ-რეგიონალური ეკოლოგია[3].

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პრობლემები თანამედროვე მეცნიერებაში მრავალი კუთხითა და ასპექტით შეისწავლება. ეს გამოწვეულია საკითხების ნაირგვარობით და მეცნიერული სირთულით და, მეორე მხრივ, ამ საკითხების განსაკუთრებული აქტუალობით დღევანდელ პირობებში, როცა თეორიულთან ერთად მათ უაღრესი პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცათ[4]. თანამედროვე რაციონალური ბუნებათსარგებლობა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა.

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პრობლემებში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნა ეკოლოგიის პრობლემებს, რომლებშიც ეკოლოგიის ტრადიციული გაგების მნიშვნელოვნად გაფართოების გამო მოექცა ისეთი საკითხებიც, რომლებიც ბიოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებს ბევრად სცილდება.

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების მეცნიერული პრობლემები, როგორც აღინიშნა, ფართო სფეროს მოიცავს. ჩვენში ეს პრობლემები, მიუხედავად დარგობრივი მრავალფეროვნებისა, ერთ საერთო საფუძველს ემყარება. ეს არის ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებათსარგებლობის თანამედროვე პრობლემებზე ყურადღება იყო გამახვილებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში XXV ყრილობაზე, სადაც გარკვევით ითქვა, რომ თანამედროვე ეტაპზე აღარ არის საკმარისი ამ პრობლემების შემდგომი დამუშავების მნიშვნელობისათვის მხო-

---

[2] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პრობლემები (პირველი საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, 1978), „მაცნე" (ისტორიის . სერია) № 1, 1979.

[3] იხ. М. И. Б у д ы к о, Глобальная экология. М., изд. «Мысль», 1977; Проблемы оптимизации в экологии, М., 1978.

[4] В. А. Л о с ь, Человек и природа (Социально-философские аспекты экологических проблем), М., 1978; Ж. Д о р с т, До того как умрёт природа, М., 1968, В. Х о л л и ч е р, Природа в научной картине мира, М., 1966.

ლოდ ხაზგასმა. მართლაც, განვლილ პერიოდში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ინიციატივით განხორციელდა რიგი სერიოზული ღონისძიება, მიმართული ეკონომიკური ზრდის რესურსების უკეთესი გამოყენების ამოცანების გადაჭრისაკენ. საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში შეტანილია პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს განვითარებული სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების პოლიტიკას ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურ ათვისებასა და საბჭოთა ადამიანების საცხოვრებელი გარემოს შენახვა-დაცვის უზრუნველყოფაში.

საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება, ბუნების ძალების ნაირგვარობა, გადაქცეული საზოგადოებრივ საწარმოო ძალებად, ამავე დროს თვითონვეა ცოცხალი ისტორიული წყარო, რომლის კონკრეტულ-ისტორიული ფორმების შესწავლა-განვითარებაში და წარმოების წესთან კავშირში, ჩვენი ქვეყნის არა მარტო ისტორიის, არამედ დღევანდელობის მრავალი საკვანძო პრობლემის უკეთ გაშუქებას შეუწყობს ხელს. საწარმოო ძალთა განვითარების ისტორიის შესწავლა ბუნებრივი გარემოს კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით გამოავლენს საქართველოს რთულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში თვით ამ საწარმოო ძალთა წარმოქმნა-განლაგების, დარგობრივი საწარმოო სპეციალიზაციის, საზოგადოებრივი შრომის გეოგრაფიული განაწილების, ისტორიულ-ეკონომიკური რაიონებისა და სხვ. არსსა და განვითარების ტენდენციებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ისახება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და საზოგადოებრივი საწარმოო ძალების ისტორიული განლაგებისა და განვითარების ტენდენციების სურათის აღდგენა (რამაც შესაძლოა სპეციალური ისტორიულ-ეკონომიკური რუკების შედგენაც მოითხოვოს)[5]. ყოველივე ეს ამავე დროს ისახება ერთ-ერთ უმთავრეს და მართებულ საშუალებად—მეცნიერულად აიხსნას ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა, რომლის ძირითადი ნიშანი, როგორც აღინიშნა, უაღრესი მრავალფეროვნებაა.

კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათისა და სპეციფიკის შესწავლა საქარ-

---

[5] **А. Асланикашвили, Объективная и теоретическая основа применения картографического метода в научных исследованиях. Пятая всесоюзная конференция по тематической картографии (тезисы докладов), Тб. изд. ТГУ, 1973.**

თველოს ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, უნდა დაუკავშირდეს ცალკეულ ხეობებს. საქართველოს, როგორც მთაგორიანი ქვეყნის, ბუნებრივ-ისტორიულ თავისებურებად გამოიყურება ცხოვრების მოწყობა ხეობებად. ხეობა ამ შემთხვევაში განიხილება როგორც კონკრეტული ბუნებრივი გარემო, რომელშიაც ადამიანი ისტორიულად ეწევა სამეურნეო ცხოვრებას და სადაც ყალიბდება საწარმოო და კულტურულ-ისტორიული ტრადიციები. გარკვეული დროიდან ხეობა იქცევა ერთ მთლიან ეკონომიკურ, ზოგჯერაც სოციალურ ორგანიზმად. საყურადღებოა, რომ საქართველოსათვის საერთოდ დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება—მკვეთრად გამოხატული ბუნებრივ-სამეურნეო ვერტიკალური ზონალობა,—ჩვეულებრივ ცალკე თვალსაჩინო გამოვლინებას ახდენს თითოეული ხეობის შიგნითაც[6]. ზონალობას დამორჩილებული ბუნებრივ ფაქტორთა კომპლექსი, ქცეული საწარმოო ძალებად, იწვევს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების დიდ მრავალფეროვნებას თითოეული ხეობის შიგნით და გავლენას ახდენს მეურნეობის დარგების განვითარებასა და განლაგებაზე. ქართული წერილობითი დოკუმენტები ხეობის სწორედ ასეთ შინაგან ბუნებრივ-სამეურნეო შესაძლებლობებს გადმოსცემს, ამ მხრივ ხეობა მინიატურაში ასახავს საერთოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებსაც. მაგალითად, ზოგადი გაგებით საქართველოს დიდ ნაწილში გვაქვს ორი ცნება: მთისა და ბარისა. ერთი—მთა-ბარი ცალკეული ხეობის შიგნით, მეორე—საერთოდ საქართველოში. საქმე გვაქვს განსხვავებათა საინტერესო ერთიანობასთან.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის, განსაკუთრებით მისი მდიდარი და მრავალფეროვანი სამეურნეო წარსულის ჯეროვანი სისრულით შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველური კვლევის უახლესი შედეგების ჩართვას ისტორიულ კვლევაში, რასაც თავის დროზე სამართლიანად მიაქცია ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ შესწავლაში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-ისტორიულ ასპექტებს, რადგან ამ კუთხით საკითხების შესწავლა, პირველ რიგში, გულისხმობს მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საწარ-

[6] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, მორბის არაგვი, არაგვიანი, თბ., 1971; მისივე, მკერდში დაჭრილი ბუნება, თბ., 1973; მისივე, არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია, თბ., 1974.

მოო-შემოქმედებითი შრომის შედეგებისა და სამეურნეო-კულტურულ ფასეულობათა გამოვლინებას ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი საწარმოო ურთიერთობის ფონზე. ამის კარგი ნიმუშია, მაგალითად, კულტურული მცენარეული. ცნობილია, რომ მცენარეთა გავრცელების საერთო კანონზომიერებიდან გარკვეულ გადახვევას ახდენს თანამედროვე მცენარეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი — კულტურული მცენარეული, რომელიც, პირველ რიგში, ადამიანის საწარმოო მოქმედების შედეგია. ამიტომ მის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეურნეო-კულტურული ხასიათის ფაქტორები. აქ გამორიცხული არ არის ე. წ. შეგუების ფაქტორი, მაგრამ მის გვერდით დიდ მნიშვნელობას იძენს ადამიანის აქტიური შემოქმედების ფაქტორი, რომელიც საბოლოოდ გადამწყვეტი ხდება. ამ გაგებით კულტურულ მცენარეთა კომპლექსი საზოგადოების სამეურნეო განვითარების გარკვეული საზომია და, მაშასადამე, კულტურულ მცენარეთა საკითხების შესწავლა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების განვითარების კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს.

საქართველო საყოველთაოდ აღიარებულია კულტურული მცენარეულის წარმოშობის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერად, კულტურული მცენარეების სიმრავლეს და თვისებებს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პირობების ნაირგვარობა და ხალხის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა განსაზღვრავს.

ამავე რიგისაა და ისტორიულად ასევე უნდა შეფასდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის ბევრი სხვა ტრადიციული დარგი, რაშიაც ხალხს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებებისათვის მიუღწევია და რაც ასევე კონკრეტულ ბუნებრივ-ისტორიულ პირობებში პოულობს ახსნას.

ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ახლებურად დააყენა დღევანდელმა ცხოვრებამაც[7]. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი და

---

[7] საქართველოს ბუნების დაცვა, „მეცნიერება", თბ., 1979; К. С. Бурдин, Методологический подход к оценке качества окружающей среды. Проблемы взаимодействия общества и природы (Тезисы I Всесоюзной научной конференции), М., изд. МГУ, 1978; И. Я. Блехцин, К вопросу об изучении воздействия населения на окружающую среду. Тезисы докладов Всесоюзного совещания по географии населения, Тб., 1979.

მატერიალური პირობები ახალ პრობლემებსა და ამოცანებს უყენებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებას. სახალხო მეურნეობის დარგების გაფართოება, განლაგება შრომითი რესურსების შესაბამის გაადგილებას იწვევს, რასაც უკავშირდება მოსახლეობის შინაგანი გადაჯგუფებანი. ეს პროცესები წამოჭრიან პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს. როგორიცაა სოციალური ჰიგიენის, ფიზიოლოგიური ეკოლოგიისა და ადაპტაციის თავისებურებანი, ასევე ტრადიციული საწარმოო პროფილის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვ. ცვლა, რასთანაც დაკავშირებულია კულტურულ-ისტორიული საკითხები. მაგრამ მოსახლეობის შინაგანი მიგრაციის პროცესში მთავარი მაინც ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებების სწორად შეფასება და მოსახლეობის გადაჯგუფებაში მოსალოდნელი საწარმოო და სოციალური ეფექტის მართებული გათვალისწინებაა, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვის განვითარებას კონკრეტული ბუნებრივ-ისტორიული პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამ საქმისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ისტორიულ-ეკონომიკური კვლევა-ძიების შედეგებს, რომლებმაც უნდა ასახოს ისტორიული გამოცდილება და საბუთიანი გახადოს ამ გამოცდილების დღევანდელ ცხოვრებაში გამოყენება.

დასასრულ, ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი შრომის შედეგები მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობაში საჭიროა უფრო აქტიურად და ეფექტურად იყოს გამოყენებული დღეს საწარმოო საქმიანობისა და შრომის პროპაგანდის საქმეში. ისე როგორც ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ჩვენი ხალხის საბრძოლო წარსულის შესწავლის დარგში თვალსაჩინო სამსახურს უწევენ ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას, ასევე საჭიროა ჩვენი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი სამეურნეო-კულტურული შემოქმედების ისტორია ჩავაყენოთ სახალხო-სამეურნეო განვითარებისა და პატრიოტული აღზრდის სამსახურში, რაც კარგად უპასუხებს სადღეისო სოციალურ მოთხოვნებს.

ეს ღონისძიება, ამავე დროს, ხელს შეუწყობს დღემდე შემორჩენილი იმ მცდარი შეხედულების გაფანტვას, რომ საქართველოში თითქოს ყოველივე სიკეთე ბუნების წყალობა უფროა, ვიდრე ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ძიების ნაყოფი.

ბუნების გამდიდრებისა და დაცვის დღევანდელ ღონისძიებებს, რაც საერთო-სახალხო საქმედ არის მიჩნეული, ეფექტურად უნდა დაუკავშირდეს და დაეხმაროს ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის შესაფერისი გამოცდილება და მიღწევა. ესეც საჭიროს ხდის ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი და ბუნებრივ-საწარმოო კომპლექსების ისტორიული განვითარების სურათის აღდგენას. საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტების კონკრეტულ-ისტორიული შესწავლა გამოავლენს საზოგადოების საწარმოო, კულტურულ-სამეურნეო, ესთეტიკური და სხვ. განვითარების ისტორიულ თავისებურებებს, რაც უდავოა, დღევანდელობის მოთხოვნებსაც დაეხმარება.

## თავი პირველი

# ეთნიკური ყოფა და ეკოლოგიური სისტემა

### 1. ეკოლოგიური კვლევის ზოგადი ამოცანები

ეკოლოგია ორგანიზმებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობას შეისწავლის და ბიოსფეროს კანონზომიერებათა კვლევის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. ესა თუ ის ეკოლოგიური სისტემა კი მოცემულ კონკრეტულ პირობებში ორგანიზმებისა და გარემოს მწყობრი დამოკიდებულების გამოხატულებაა. შესაბამისი მნიშვნელობით არსებობს ორი ცალკე სამეცნიერო დარგი — მცენარეთა ეკოლოგია და ცხოველთა ეკოლოგია.

ეკოლოგიურ სისტემას წარმოქმნის ეკოლოგიურ ფაქტორთა (იგივე — გარემო ფაქტორთა) განსაზღვრული კავშირი და ორგანიზმებზე მათი ურთიერთმოქმედების შედეგი. ეკოლოგიური სისტემის ერთ-ერთი ნიშანდობლივი და, ამავე დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თავისებურებაა ის, რომ ხელსაყრელ პირობებში ერთი რომელიმე ეკოლოგიური ფაქტორის მოქმედება შეიძლება შეიცვალოს მეორე ფაქტორის მოქმედებით არსებული ეკოლოგიური სისტემის დაურღვევლად. ადამიანს ეს კანონი ადრევე აქვს შეცნობილი თავისი საწარმოო პრაქტიკით.

მოცემული ეთნიკური ყოფის, პირველ რიგში კი მისი საფუძვლის — სამეურნეო ყოფის — ჩამოყალიბებაში ადამიანთა საწარმოო შესაძლებლობებისა და საწარმოო საქმიანობის უპირატესი ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინება საფუძველს ქმნის თვით ეს ეთნიკური ყოფა, როგორც ბაზისური მოვლენების მთლიანობა და მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ადამიანის ხანგრძლივი საწარმოო საქმიანობის შედეგი, განვიხილოთ კონკრეტულ ეკოლოგიურ სისტემასთან მჭიდრო კავშირურთიერთობაში. ამ ორმხრივ კავშირში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ადამიანის მიზანსწრაფულ, აქტიურ საქმიანობას. ეს საქმიანობა ისტორიული განვითარების პროცესში გადაიქცევა ერთ-ერთ ეკოლოგიურ, ე. წ.

ანთროპიულ ფაქტორად. ანთროპოგენური მოვლენები ხელს უწყობენ, ზოგჯერ კი არღვევენ ეკოლოგიურ წონასწორობას.

ეთნიკური ყოფისა და კულტურის ეკოლოგიურ სისტემასთან კავშირში განხილვა გვიჩვენებს, რომ ხალხური საწარმოო ემპირიკა, როგორც საუკუნეებში შემოწმებული შრომითი ჩვევების ჯამი, კონკრეტული ეკოლოგიური კანონზომიერების ინდიკატორიც არის. ამიტომ ცხადია ამ მიმართულებით სპეციალური კვლევის არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი, არამედ საღღეისო პრაქტიკული მნიშვნელობაც. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ ხალხური აგრიკულტურის, ეთნობოტანიკის, ეთნოზოოლოგიისა და სხვა სფეროები, რომელთა შესწავლა სისტემურ მიდგომას საჭიროებს. მოცემული ეკოსისტემისა და ეთნიკური ყოფის შინაგანი კომპონენტების ფუნქციურ კავშირურთიერთობათა შესწავლაში შესაძლებელი ჩანს ფორმალიზების, მოდელირებისა და გაზომვის ხერხების გამოყენება: ამ მხრივ სპეციალური შესწავლის საგნად ისახება ვახუშტის რეგიონალური აღწერილობანიც, სადაც ბუნებრივ-საწარმოო კომპლექსების სტრუქტურებში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების კანონზომიერება ამოიკითხება.

ეთნიკურ მასალაზე ეკოლოგიური სისტემების კანონზომიერებათა შემოწმებას სხვა საღღეისო პრაქტიკულ მხარეთა გვერდით დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების სოციალური ამოცანებისთვისაც. ამას განსაკუთრებული ხასიათი ენიჭება ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც ბუნებრივ-სამეურნეო პირობების დიდი ნაირგვარობით ხასიათდება. სოფლების, ქალაქების, ცალკე რეგიონების პერსპექტიული სოციალური განვითარების გეგმებში ამ პრობლემას ყოველთვის სათანადო ადგილი უნდა ეჭიროს. განსახილველი საკითხების შუქზე საჭირო ხდება მეთოდოლოგიური მნიშვნელობის კერძო საკითხის დასმაც: ეკოლოგიასთან დაკავშირებული ცნებები დღეს ფართოდ გავრცელდა და მათ სოციალური ცხოვრების სფეროშიც მოიპოვეს ადგილი. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა ამოსავალი პოზიციის ნათლად გარკვევა. წარმოშობითაც და რაობითაც ეკოლოგია ბუნებისმეტყველურ სფეროს, ზუსტად კი ბიოლოგიას განეკუთვნება, ამიტომ ამ სიტყვისა და მისგან ნაწარმოები ცნებების სოციალური ცხოვრების სფეროში გამოყენება სიფრთხილესა და პრინციპული დამოკიდებულების თვალსაჩინოებას მოითხოვს.

ეკოლოგიის ბიოლოგიურობა ცოცხალი ორგანიზმების გარემო პირობებთან შემგუებლობაში მდგომარეობს. ბიოლოგიურ სამყაროში მოქმედებს შეგუების კანონი. ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ეკოლოგიაში შეიძლება მხოლოდ მისი ორგანიზმის გარემო პირობებთან დამოკიდებულება — შეგუების ანუ ადაპტაციის ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მხარე ვიგულისხმოთ, რაც ყველა ცალკე შემთხვევაში ინდივიდუალური აქტია გადახრათა განსხვავებული ამპლიტუდით და რასაც საერთო სოციალური განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

## 2. ქართველი ხალხის სამეურნეო-სამომხმარებლო ყოფა ეკოლოგიურ თავისებურებებთან მიმართებაში

მრავალფეროვანი სფეროებიდან ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ ერთ-ერთ ფართო და მნიშვნელოვან საკითხზე — XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამიწათმოქმედო ყოფასა და კულტურაზე და ვცდილობთ მეტ-ნაკლები სისრულით გავაშუქოთ ცხოვრების ეს მხარე. მიზანდასახულობაში შედის სამიწათმოქმედო ყოფის ტრადიციებისა და თავისებურებების შეძლებისდაგვარი წარმოდგენა სამეურნეო-მატერიალური ცხოვრებისა და სოციალური და იდეოლოგიური ყოფის ასპექტების მიხედვით და ამასთან ერთად ასახვა ცვლილებათა ხასიათის და პროცესისა, რაც დაკავშირებული იყო ეპოქის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან. მაშასადამე, ეს იქნება მხოლოდ ნაწილი ქართველი ხალხის მრავალფეროვანი ყოფისა, რომელიც მოცემულ ეპოქაში სოფლადაც და ქალაქადაც ახალი პროცესებით გამოწვეულ ცვლილებასაც განიცდიდა და ამავე დროს ტრადიციულ თვითმყოფობასაც ინარჩუნებდა.

აქვე გვინდა ვაცნობოთ მკითხველს, რომ ქართველ ეთნოგრაფებს უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სწორი მეთოდის მომარჯვებით (ე. წ. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი) შესწავლილი აქვთ ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური კულტურის, სოციალური და სულიერი ყოფის მრავალი პრობლემა და საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოკვლევებში გამოყენებული და შესწავლილი მთავარი ეთნოგრაფიული მასალა ქრონოლოგიურად XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და ჩვენი საუკუნის

დამდეგ ეპოქებს განეკუთვნება და კარგად ასახავს ამავე ეპოქების ყოფასა და კულტურას[1].

ქართულ მიწათმოქმედებას სიძველესთან ერთად დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს. ეს ძირითადად გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების უაღრესი დანაწევრებითა და სირთულით. კლიმატური პირობებისა და რელიეფურ-ნიადაგობრივი ტიპების მრავალგვარობას, რაც მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის ხასიათს ატარებს, ჩვენში ადრევე შეუქმნიათ საფუძველი მრავალდარგიანი მიწათმოქმედებისათვის. შერწყმული ხასიათი მიუღია მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, დამკვიდრებულა და განვითარებულა მთისა და ბარის მეურნეობა. ადრინდელი მეურნეობრივი სპეციფიკა ჩვენს ქვეყანას განვითარების ხანგრძლივ მანძილზე გამოჰყვა. ზოგადად ასეთივე თავისებურების მატარებელი იყო საქართველოს მეურნეობა, კერძოდ მიწათმოქმედება XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ ხალხს ხანგრძლივი დროის მანძილზე სამეურნეო ემპირიული ცოდნის უმდიდრესი მარაგი შეუმუშავებია, რაზედაც იყო დაფუძნებული ჩვენი მრავალფეროვანი მეურნეობა, კერძოდ კი, მიწათმოქმედება. ცოდნის ეს ჯამი ზოგადიც იყო და უაღრესად კონკრეტულიც, რადგან დიფერენცირებულად უპასუხებდა მოცემული გარემოს სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს ძირითადი თავისებურება—მრავალფეროვნება და კონტრასტები კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ჯერ კიდევ ვახუშტის, რომელმაც საოცარი სიცხადით დაახასიათა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების ხეობებად მოწყობის სურათი და გამოავლინა ამ წესის თავისებურებანი. მან მახვილი თვალით შენიშნა, რომ საქართველოს ზოგიერთ ხეობაში ერთი საათის ან საათნახევრის სავალზე ადამიანი ნარინჯებისა და თურინჯების ზოლიდან შეიძლება მარადი თოვლისა და ყინულის ზოლში მოხვედრილიყო. ზოგადი გაგებით კი ეს იყო ვერტიკალურ ზონალობაში წარმოდგენილი ქართული მეურნეობრივი ტიპის საერთო ნიშნის მარჯვე დახასიათება.

---

[1] მრავალრიცხოვნობის გამო ამ ნაშრომების აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ წინასწარ გაეცნონ ყველა ამ ნაშრომს „საქართველოს ეთნოგრაფიის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის" მეშვეობით, რომელიც შედგენილია რ. თოდუას მიერ. ამ ნაშრომებზე ბიბლიოგრაფიული ცნობის მიღება შეიძლება აგრეთვე ნარკვევებში «Грузины». წიგნი «Народы Кавказа», М., 1962 (სერია. Народы Мира).

სამეურნეო პირობებისა და ბუნებრივი გარემოს კავშირს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფონზე და მის შესაბამისად, ქართული მიწათმოქმედების თვითმყოფი თავისებურებები შეუქმნია როგორც ზოგად-ქართული, ისე ლოკალური ხასიათისა[2]. ქართველი ხალხის ტერიტორიულ-კუთხური ჯგუფების მიხედვით ეს თავისებურებები ვლინდებიან მიწათმოქმედების წლიურ ციკლში, დარგობრივ სამეურნეო წესებში, ხალხურ აგრიკულტურაში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში, შრომის იარაღებში და სხვ. როგორც ითქვა, ქართულ სამიწათმოქმედო ყოფას ეს თავისებურებები XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც მოჰყვა, მაგრამ, ამასთან ერთად, თავი იჩინა ეპოქის შესატყვისმა ცვლილებებმაც.

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, აგრარული ურთიერთობის სფეროში მომხდარმა ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო მიწის იჯარის როლის გაზრდა გლეხურ მეურნეობაში, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება; მიწის ყიდვა-გაყიდვის გაფართოება, გლეხობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია, მოსახლეობის შინაგანი მოძრაობა-გადაჯგუფება და სხვ. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინეს მთლიანად ყოფაში[3].

რამდენადაც წინამდებარე მონაკვეთი ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფის დახასიათებას ეძღვნება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია, იმთავითვე დაისმის კითხვა— როგორ უნდა შეფასდეს ზოგადად ეს ცვლილებები ყოფაზე მათი ზეგავლენის თვალსაზრისით, გამოიწვიეს თუ არა მათ ქართული მიწათმოქმედების თვითმყოფი თავისებურებების ძირეული შეცვლა, მთლიანი წაშლა?

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის კონკრეტული შედეგების მიხედვით ამ კითხვაზე შესაძლებელია ასევე ზოგადი პასუხის გაცემა, რომ მრავალსაუკუნოვანი სამიწათმოქმედო-საწარმოო ყოფა, რაშიც პირველ რიგში მეურნეობის წარმოების ტრადიციულობა იგულისხმება, ისე ღრმად არ შეცვლილა, რომ ამას ყოფის თვისებრივი სხვაობა გამოეწვია.

---

[2] შდრ. Soňa Kavačevičová, Vkus a Kultura L'udu, Pallas, 1975.

[3] სოფლური დასახლებისა და შესატყვისი სამიწათმოქმედო მეურნეობის საქართველოსათვის დამახასიათებელ ტიპად ანუ მოდელად შეიძლებოდა მიგვეჩნია ხალხური ლექსის სიტყვებში მოცემული დახასიათება:

„ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი,
წინ მინდორი, უკან ტყე,
ღვინო იცის გვარიანი".

მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. რეფორმის მიერ გლეხობისათვის პირადი თავისუფლების მინიჭებას თითქოს უნდა განესაზღვრა საწარმოო ძალთა განვითარების ზრდა და, მაშასადამე, შესაბამისი ცვლილებებიც სამეურნეო-საწარმოო ყოფაში, მაგრამ ეს არ მომხდარა, რადგან გლეხების მიწათმფლობელისადმი დამოკიდებულების ახალი ფორმები სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძველებურ შინაარსს არსებითად ვერ ცვლიდნენ. ქართველ ისტორიკოსებს დადგენილი აქვთ, რომ რეფორმის შემდგომი ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი — დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის გაფართოება — ფაქტიურად ბატონობის ნაირსახეობას წარმოადგენდა და რომ ეს ინსტიტუტი გლეხობის ძირითადი მასის ეკონომიკურ დაკაბალებას იწვევდა და ამიტომ არც მისი, როგორც უშუალო მწარმოებლის, სამეურნეო-შემოქმედებითი ინტერესების ზრდას უწყობდა ხელს. ასეთ პირობებში მით უფრო უნდა შენარჩუნებოდა გამძლეობა კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსთან შეხამებულ საუკუნეობრივ სამიწათმოქმედო წესებს, მთლიანად სამიწათმოქმედო ყოფას.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, ახალი პროცესებით გამოწვეული ცვლილებები მნიშვნელოვანი ხასიათის იყო და მათ თავისებური დაღი მაინც დაასვეს ტრადიციულ ყოფასა და კულტურას.

XIX საუკუნეში მეურნეობის დარგობრივ-ტერიტორიული სპეციალიზაციის მნიშვნელოვანი გაფართოებისა და გაძლიერების მიუხედავად, მიწათმოქმედება საქართველოს ყველა კუთხეში მთავარ დარგად დარჩა ზოგიერთი გამონაკლისით, რასაც განაპირობებდა ერთი მხრივ, საწარმოო მიწათმოქმედების, მეორე მხრივ საწარმოო მესაქონლეობის მასშტაბების ზრდა.

მიწათმოქმედება მრავალდარგიანი იყო. ავლენდა ზონალურ განსხვავებას დაბლობის, ბარის, მთისძირის, მთის, მაღალმთიანი ზოლების მიხედვით. სამიწათმოქმედო კულტურები სიმაღლეთა მიხედვით გავრცელებას ემორჩილებოდნენ, რაც თავის დროზე წარმოადგინა და ახსნა ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი გეობოტანიკური კონცეფციის მიხედვით[4].

---

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I—II, თბ., 1930—1934 წწ. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, და სხვ.

სპეციალური ეთნოგრაფიულ-ისტორიული კვლევა-ძიებით, რაშიც ძირითადად გამოყენებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ყოფის მონაცემები, დადგენილია მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის სისტემები და შესატყვისი საწარმოო იარაღები, რაც მეტად რთულს და ამავე დროს უაღრესად საინტერესო სურათს წარმოაჩენს[5]. ამ პერიოდში მემინდვრეობის ძირითადი კულტურები იყო პური, ქერი, ფეტვი, ღომი, ჭვავი, სიმინდი, რომლებსაც უაღრესად ფართო ვარიაციული სხვაობა ახასიათებდათ.

მრავალრიცხოვნობა ახასიათებდათ შრომის იარაღებსაც — ხელის სამუშაო იარაღებს, სახვნელებს, საფარცხ-სათოშ, სამკალ-სათიბ და სალეწ იარაღებს.

მაგალითისათვის შეიძლებოდა დაგვესახელებინა ქართული ხელის სამუშაო იარაღების ტერმინოლოგიური სიმდიდრე, რაც მათი გამოყენების მრავალფეროვნების ე. ი. ფუნქციური დანიშნულების გამომხატველია. ბევრ მათგანს კუთხური გავრცელება ახასიათებდა: ცულწერაქვა, ბართოხა (ქართლი, ლიახვის ხეობა), ქარჩი (ქორჩი), ცულქარჩი (ხევსურეთი, გუდამაყარი, მთიულეთი), წალკატი (ლეჩხუმი), თოხურა, ბართოხა (იმერეთი), ბარჯუკი, კაფია, თოხ-წერაქვა (რაჭა), ჩენგი (სამეგრელო), ბელი (აჭარა) და მრავალი სხვა. თოხებისა და თოხისნაირი ამ იარაღების დიდი მრავალფეროვნება პირველ რიგში მიწათმოქმედების მრავალფეროვანი პროცესებით უნდა აიხსნას. ეს იარაღები სამ ძირითად ტიპს ქმნიდნენ: წერაქვნაირნი, ფართო პირიანი და კომბინირებული იარაღები და იხმარებოდნენ მიწის სამუშაოებში მინდვრად, ბაღებში, ვენახებში, სიმინდის ყანებში, ახოს ასაღებად, ბუჩქნარის საკაფად, სამარგლად, სათოხნად, საბარავად, ხნულის გასაფხვიერებლად, დიდი დაქანების ფერდა ადგილებში ზოგიერთი ეს იარაღი სახვნელსაც ცვლიდა.

ეს მრავალმხრივი სამეურნეო ფუნქცია იყო ძირითადად მიზეზი თვით ამ იარაღების ფორმათა დიფერენცირებული მრავალფეროვნებისა, რაც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით იმის მაჩვენებელიც არის, რომ იარაღის დიფერენციაციის ეს პროცესი

---

[5] ამ საკითხებს მიეძღვნა პროფ. გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომელთა ერთი ნაწილი ქვემოთ არის დასახელებული. ამავე საკითხებს იკვლევენ აგრეთვე გ. ჯალაბაძე, ჯ. რუხაძე, ნ. ბრეგაძე, მ. ქანთარია, ლ. ფრუიძე, ჯ. სონღულაშვილი, ნ. ჩიჯავაძე, ნ. კახიძე, ლ. ბერიაშვილი და სხვ.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, მკვიდრი სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარების გამოხატულებაა[6].

ქართული სახვნელი იარაღების მრავალფეროვნებას მათი ფუნქციური სხვაობა განაპირობებდა, რაც შეფარდებული იყო ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულესთან და ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული მიწათმოქმედების სისტემებთან, როგორც, მაგალითად, მემინდვრეობაში საგაზაფხულო-საშემოდგომო (საანეულო) ხვნასთან, ყამირის და ნასვენის გატეხვასთან, აჩეჩვა-აოშვასთან და სხვ. ამის მიხედვით ქართველი მიწათმოქმედების პრაქტიკაში იყო, ერთი მხრივ, ხვნის მარტივი სახეობანი, როგორიცაა მიწის აქექვა, აჩეჩვა, მეორე მხრივ, ხვნის რთული სახეობა, რომელიც ძირითადად გულისხმობს სახვნელი იარაღის საშუალებით ერთ გარკვეულ დონეზე ბელტის ორ სიბრტყეში—ჰორიზონტალურ სიბრტყეში სახნისის საშუალებით და ვერტიკალურ სიბრტყეში საკვეთელის საშუალებით — აჭრას და ფრთის დახმარებით მის გადაბრუნება-დაშლას. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად შექმნილ ქართულ სახვნელ იარაღთა ოთხ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: კავწერა და კავის ტიპის სახვნელები, ორხელას ტიპის სახვნელები, წინმავალ-გოგორიანი სახვნელები, დიდი ქართული გუთანი. სახვნელთა ამ ჯგუფებს შინაგანი სახესხვაობა ახასიათებდათ. აქ შეუძლებელია ყველა ამ სახეობის ცალ-ცალკე დახასიათება. კონსტრუქციულ-ფუნქციური თავისებურების გასათვალისწინებლად მოკლედ გავეცნოთ მარტივი აგებულების ზოგიერთ სახვნელს. ყველაზე მარტივ სახვნელად მიჩნეულია თუშური კავი, რომელსაც მიწის გასაწერად ხევსურეთშიც იყენებდნენ[8]. გაწერა კვალის გავლებას ნიშნავდა, რის შემდეგ ამ კვალზე აჩაჩს გაატარებდნენ. თუშური კავის შემდეგ კონსტრუქციით გამოირჩეოდა ჩუთი (იგივე ჩუთკავი), რომელიც ორი ტიპისა იყო — სამმხრიანი და ოთხმხრიანი. მასში უღელი ხარი ებმებოდა.

რაც შეეხება ორხელას ტიპის იარაღებს, ისინი შედარებით რთულ სახვნელებს წარმოადგენენ; მათში 4—5 უღელი შეიბმოდა და შრომის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმებითაც ხასიათ-

---

[6] G. S. Tschitaia, Sur l'agriculture de montagne en Georgie. M., 1960. Доклады советской делегации на VI международном конгрессе антропологов и этнографов.

[7] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963.

[8] იქვე.

დებოდნენ, კერძოდ ამ იარაღს ხშირად ახლდა შეამხანაგება და მოდგამობა, მაგრამ უფრო მარტივი, ვიდრე ბარის ზოლში დიდ გუთანთან დაკავშირებული მოდგამობა იყო (ამაზე ქვემოთ). კონსტრუქციულ-ფუნქციური თავისებურებით ამ იარაღებს მიკუთვნებული სახვნელებიდან გამოირჩეოდა რაჭული სახვნელი, რომელიც თავისი ფარფლიანი ქუსლის მეშვეობით ხვნის რთულ პროცესებს ასრულებდა. ფარფლიანი ქუსლი ამ შემთხვევაში ასრულებდა ფრთის ფუნქციას, რაც რთული სახვნელებისათვის იყო დამახასიათებელი[9].

ქართულ მიწათმოქმედებაში გამოყენებულ სახვნელ იარაღებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფამფალაკიან (ე. ი. ბორბლიანი სამოძრაო მოწყობილობის მქონე) სახვნელებს, რომელთაც განეკუთვნებოდნენ ჯილღას ტიპის სახვნელები[10] და რომლის სახესხვაობას წარმოადგენენ არონა, აჯილღა[11]. ამ იარაღების ჩვენში გავრცელების არეალს სამხრეთ საქართველო წარმოადგენდა. აჯილღა მიჩნეულია დიდი ფრთიანი გუთნისაკენ გარდამავალ ფორმად.

ქართული სახვნელი იარაღების ყველაზე რთული ფორმა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის იყო დიდი გუთანი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ქართული გუთნის სახელწოდებითაც არის ცნობილი. ამ გუთნის აგებულება რთული იყო, იგი ორი ცალკე ნაწილისაგან — სახვნელი და სამოძრაო (ფამფალაკი) მოწყობილობისაგან იყო შედგენილი და შეიცავდა ნაწილებს რვილის, მანჭების, ფრთის, ხმალას, კბილას, სახნისის, საკვეთის, კაკაჩას, საჯამბრის, ღირღიტების სახით.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამიწათმოქმედო იარაღების, განსაკუთრებით სახვნელი იარაღების ეთნოგრაფიული მასალის ზოგადი შეფასება გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქაშიც ხალხური საწარმოო იარაღების უაღრესი მრავალფეროვნება ყოფილა, რაც მრავალსაუკუნოვანი ქართული სამიწათმოქმედო ყოფის ტრადიციულობის გამოხატულება და გაგრძელება იყო.

როგორც სპეციალურმა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა შესწავლამ გამოავლინა, ეს იარაღები ხანგრძლივი დროის მანძილზე

---

9 გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელი; მისივე, რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი.

10 გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1928; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 183—187.

11 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან ალბულაღის რაიონში, გვ. 211.

იქმნებოდნენ და შინაგან განვითარებას განიცდიდნენ საქართველოს უაღრესად მრავალფეროვან და რთულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პროცესების შესაბამისად. ამ გარემოებებმა გამოიწვიეს საუკუნეების სიღრმეშივე ქართული სამიწათმოქმედო იარაღების კონსტრუქციულ-ფუნქციური დიფერენციაცია და განაპირობეს ამ იარაღების დიდი მრავალფეროვნება. ჩამოყალიბდა სხვადასხვა კუთხის კონკრეტული პირობების შესატყვისი იარაღი, ხოლო ამ მოვლენის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო ზონალობა, უმთავრესად კი ვერტიკალური ზონალობა. ამ ხანგრძლივ პროცესს თან ახლდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომა და ძიება ამ იარაღების ტექნიკურ-ეკონომიკური სრულყოფისათვის, მეტ-ნაკლები ტემპით მიმდინარეობდა ამ იარაღების შინაგანი განვითარება. ამ პროცესში სათანადო როლს თამაშობდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენები და ქვეყნის შინაგანი და გარეგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობა.

ამ ფონზე, როგორც ვნახეთ, თვალსაჩინოა აგრეთვე სამიწათმოქმედო იარაღების გაუმჯობესების ცდები XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, რაც დაკავშირებული იყო ეპოქის ახალ მოვლენებთან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან, გარედან ახალი ტექნიკის შემოსვლასთან და სხვ., მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებითად არ შეცვლილა სამიწათმოქმედო იარაღების, სამეურნეო პირობების კონკრეტული ხასიათი და მასთან კავშირში ეკონომიკური ფაქტორი.

შეიძლება სწორედ ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის გლეხურ მეურნეობაში მკვეთრად არ მომხდარა კაპიტალისტური ეპოქის შესატყვისი არსებითი და საყოველთაო ტექნიკური ცვლილებები.

აქ საჭირო იქნება მცირე გადახვევა განხილულ მასალასთან დაკავშირებული ერთი გარემოების გამო.

აღნიშნული პერიოდის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ეკონომიკურ ლიტერატურაში, სახელმწიფო საუწყებო წყაროებში, ასევე სხვადასხვა ხასიათის აღწერილობებში, რომლებიც მოგზაურ-დამკვირვებლებს ეკუთვნით, შეიმჩნევა არასწორი თვალსაზრისიც ქართველი ხალხის ტრადიციული საწარმოო ყოფის გაშუქებასა და შეფასებაში. ამ სახის მასალა არ ემყარება მოვლენათა ისტორიულ ანალიზს და, როგორც წესი, პირველი შთაბეჭდილების შედეგს წარმოადგენს, რის გამოც უმართებლო დასკვნების წყაროდ

იქცევა. სამწუხაროდ, ასეთი თვალსაზრისი დღესაც არ არის გადახული და იგი ხშირად გვხვდება ახალ ქართულ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როცა ჩვენი ეპოქის დღევანდელი სამეურნეო და ტექნიკური მიღწევების შესაცნობად პათეტიკური განწყობილების შექმნა სურთ და ამ მიზნით შესადარებლად ქართველი ხალხის რევოლუციამდელ ყოფას მიმართავენ. მაგალითად, თუ უნდათ, რომ სოციალისტური მიწათმოქმედების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძლიერება გამოჩნდეს, ამას მაშინვე შეუდარებენ „მამაპაპურ კავს“ ე. ი. ზოგადი გაგებით ძველებურ სახნელ იარაღებს, რომელთა დასახასიათებლად გამოიყენება ჩამორჩენილობის ეპითეტები „არქაული“, „პრიმიტიული“ და სხვ. ასეთი შედარება მცდარია, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი და კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით საზიანო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყოფის მონაცემების განხილვამ დაგვანახვა, რომ ამ დროისათვის საქართველოში სახვნელი იარაღების დიდი მრავალფეროვნება გვქონდა. ეს მრავალფეროვნება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ამ გარემოების გამო ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ძალზე მოხდენილად სახვნელი იარაღების ცოცხალი მუზეუმიც უწოდა.

როგორც ვნახეთ, საქართველოში, მის სხვადასხვა კუთხეში, ერთდროულად იყო ხმარებაში სახვნელების სხვადასხვა სახეობა, დაწყებული ერთუღლიანი მარტივი სახვნელი იარაღებით, როგორიც იყო ჩუთი და კავი, დამთავრებული რვა-ათ უღლიანი რთული სახვნელი იარაღით — დიდი ქართული გუთნით. მათ შორის კი სახვნელების მრავალი შუალედური ფორმა არსებობდა. ქართული სახვნელი იარაღების სპეციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლით, რაც აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომებში სათანადოდ აისახა და რაც ხუთი ათეული წლის უწყვეტლივ წარმოებული კვლევა-ძიებით ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე იქნა აყვანილი პროფ. გ. ჩიტაიას მიერ, გამოვლინდა სახვნელი იარაღების მრავალფეროვნებისა და კონსტრუქციული თავისებურების ძირითადი მიზეზი — ფუნქციური სხვაობა, რაც პირველ რიგში ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს კონკრეტული თავისებურებით იყო შეპირობებული. ამიტომ სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სახვნელები კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ და ზოგი მათგანი მარტივი ფორმის სახვნელების ჯგუფში ექცეოდა, ზოგიც შუალედურ და რთული ფორმისაში.

ამ მოვლენას საქმის ღრმა ცოდნით ახსნა და შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმა. მეცნიერი საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქართული იარაღების საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო და ამ ერთი შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზად საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობას და მისი თვისებების მრავალფეროვნებას ასახელებდა. მკვლევარი ხაზს უსვამდა იმ ობიექტურ მოვლენას, რომ ქართველ სოფლის მეურნეს საქმე ჰქონდა როგორც მაგარ და ძნელ მოსახნავ, ისე უაღრესად ფხვიერ მიწასთან, ხმელ და მშრალ, ურწყულსა და ურწყავ, ნოტიო და სარწყავ, შავ და ღონიერ, მჭლე და მწირ ნიადაგებთან და რომ ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისების მიხედვით სჭირდებოდა დამუშავება. საყანური ზოგან ღრმად უნდა მოხნულიყო, ზოგან, პირიქით, ზედაპირად, ამიტომ ზოგ ადგილას ნიადაგის სიმკვრივის გამო მძიმე და ღონიერი სახვნელი იყო საჭირო, ზოგან კი მსუბუქი და მარტივი აგებულების იარაღი დანიშნულებას უფრო კარგად და ადვილად ასრულებდა. და აი, აქ მეცნიერი გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებას, რომ „სასოფლო-მეურნეობის თვალსაზრისით არამც თუ მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ხშირად შესაძლებელია სწორედ საზიანოც კი გამხდარიყო ფხვიერი და ადვილად მოსახნავი მიწა რომ მიწისმოქმედს მძიმე გუთნით მოჭარბებულ სიღრმეზე მოეხნა, იმ გვარადვე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო იქმნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილუბრალოდ მეტი შრომა და ენერგია დაეხარჯა“[12], ეს მოსაზრება დებულების ხასიათს ატარებს და უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიის შესასწავლად, არამედ, საერთოდ, საქართველოს სამეურნეო განვითარების გასარკვევადაც. კერძოდ, უცილობლად უნდა მივიღოთ, რომ ეკონომიკური ეფექტი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული ფაქტორი, რაც საფუძვლად ედო სამეურნეო დარგობრივ სპეციალიზაციას საქართველოს ცალკე კუთხეების შიგნითაც და ამ კუთხეთა შორისაც. სამეურნეო და ტექნიკური განვითარების ცალკეულ შემაფერხებელ გარემოებებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ მოვლენათა საფუძველზე სჭირდებათ განხილვა.

ამგვარად, ასე აიხსნება ქართული სამიწათმოქმედო იარაღების თავისებურებათა მიზეზი, რაც იმავე დროს საქმეში ჩაუხედა-

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 173.

ვობით გამოწვეულ შეცდომებს ნიადაგს აცლის. ცხადია, შეცდომაა იმის მტკიცება, რომ თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში შედარებით რთული სახვნელი იხმარებოდა, ხოლო მეორეში — მარტივი, თითქოს ეს განვითარების დონის სხვაობით გამოწვეული მოვლენა და ამ კუთხეების ერთმანეთისაგან ისტორიული მოწყვეტის შედეგი იყოს.

ზემომოტანილი მართებული დებულების შუქზე ცხადი ხდება, რომ ვთქვათ, საქართველოს მთიან ზოლში, ფშავსა და ხევსურეთში ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც გაუმართლებელი და შეუძლებელი იყო მრავალუღლიანი ე. წ. შედგენილი სახვნელი იარაღის ხმარება, როგორიც იყო, მაგალითად, დიდი ქართული გუთანი და აკი, არც იყენებდნენ მას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ კუთხეების მოსახლეობას თითქოს დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილობისა და ჩამორჩენილობის გამო არ შეეძლო კავის საფეხურს ასცდენოდა და რთული სახვნელი, თუნდაც იმავე დიდი გუთნის ტიპის იარაღი შეექმნა, თუ კი ასეთი იარაღი ამ კუთხეში საჭირო და ეფექტური მოსახმარი იქნებოდა. ამავე დროს სპეციალური შესწავლით გარკვეულია, რომ თვით აქაურ სახვნელ იარაღებს თავისი შინაგანი განვითარებისა და სრულყოფის გზა აქვთ გავლილი, რაც მეურნეობის ტიპის მოთხოვნებს შეესატყვისებოდა.

ჩვენ ამ ცერძო საკითხებზე მსჯელობას იმითვე დავამთავრებთ, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული ეპოქების საწარმოო იარაღების ისტორიის შესწავლას ღრმა და ყოველმხრივი მიდგომა სჭირდება.

ისიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ საწარმოო იარაღების განვითარების სფეროში ისეთი შეფასების ხმარება, როგორიცაა „პრიმიტივიზმი" ხალხის გონებრივი შესაძლებლობის საზომიც ხდება, რასაც დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობაც უნდა ახლდეს. ქართული ტექნიკური აზრი დღესაც დაუცხრომლად დასტრიალებს ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საჭირბოროტო ისეთ პრობლემას, როგორიცაა მთური მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია. ცნობილია, რომ სამთო მექანიზაციის დარგში უკვე მოპოვებულია ცალკეული წარმატებანი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ ძნელ უბანზე უფრო მეტი და მთავარი მომავალშია გასაკეთებელი.

ქართული მიწათმოქმედებისათვის ისტორიულად განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო შრომის ორგანიზაციის კოლექტიურობისა და შრომაში ურთიერთდახმარების მრავალფეროვანი ფორმები. ეს მრავალფეროვნება ზოგადად შეიძლება აიხსნას თვით

ქართული მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი სამეურნეო-საწარმოო ნაირგვარობით.

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღწერილია შრომის ერთობლივი ორგანიზაციის ძველი ფორმების სტრუქტურა და გამოვლინებულია მათი დიფერენცირებული დანიშნულება, რაც თვალსაჩინოდ ჩანს XIX ს. მეორე ნახევრის ეთნოგრაფიული და წერილობითი ხასიათის მონაცემებით.

საყურადღებო სურათს გვაძლევს შრომის ორგანიზაცია მემინდვრეობაში, რაც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განსხვავებული ხასიათის მატარებელია, პირველ რიგში ეს ეხება განსხვავებას სამეურნეო-გეოგრაფიული ზოლების მიხედვით. განსხვავებულია შრომის ერთობლივი ორგანიზაციის ფორმები თვით ამ შრომაში გამოყენებული სამუშაო იარაღის ხასიათითაც. ასე, მაგალითად, დადგენილია, რომ საქართველოს მთის ზოლში შრომის გაერთიანება დაკავშირებული იყო ადგილობრივ ინდივიდუალურ ხელის სამუშაო იარაღებთან, როგორიცაა ბარი, ქარჩი, წერაქვი, თოხი და სხვ.

ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის აღწერილობით, ხევსურეთში, მემინდვრეობის ციკლში მოქცეული სამუშაოებისათვის, როგორიც იყო ტყის გაკაფვა („დანაყვა"), სახნავის გაწმენდა ქვებისაგან, ნაკელის მინდვრად გატანა და სხვ., ხდებოდა ცალკე ოჯახების წევრთა შრომის მარტივი გაერთიანება. ერთ-ერთი გაერთიანება, რომელსაც მუშანი ეწოდებოდა, ახოს ალებასთან, აგრეთვე მკასთან იყო დაკავშირებული. ამ გაერთიანების თავისებურება ისიც იყო, რომ იგი შრომამიგებობის პრინციპს არ ემყარებოდა და ნებასურვილზე იყო აგებული. შეყრილი მუშა ერთ დღეს მუშაობდა, მუშის შემყრელს ევალებოდა საკლავითა და სასმელით გამასპინძლება[13]. აქვე, ხევსურეთში, სახნელით მუშაობისათვის რამდენიმე ხასიათის შრომითი გაერთიანება არსებობდა, როგორიც იყო მონდავი (მოდგამი), მახნავი, ხარის იხნივი. მონდავში, ჩვეულებრივ, ორი წევრი ერთიანდებოდა: გუთნისდედა და მწაფავი. მონაწილეობა გაერთიანებული იარაღისა და გამწევი ძალის თანაბრობის პრინციპს ემყარებოდა, ხვნას მორიგეობით მისდევდნენ. ადამიანისა და გამწევი ძალის კვებაც ამ მორიგეობას იყო შეფარდებული, ვისი მიწაც იხვნებოდა, ის მასპინძლობდა. ამ გაერთიანების თავისებურება ის იყო, რომ ხვნის დღეების რაოდენობა არ განისაზღვრებოდა გაერთიანებული იარაღით და გამწევი ძალით. ასეთი

---

[13] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963, გვ. 74.

გაერთიანება საშუალოდ ერთი კვირის ხანგრძლივობისა იყო და ხენა-თესვის დამთავრებისთანავე იშლებოდა[14].

მახნავი რამდენიმე მხვნელისა და სახვნელის საგანგებო გაერთიანება იყო ისეთი ოჯახის დასახმარებლად, რომელსაც ხარი არ ჰყავდა, ეს ოჯახი მახნავთ არყით უმასპინძლდებოდა. ზოგჯერ კი გამასპინძლების გარეშეც მუშაობდნენ და ასეთ დროს თავისი დღიური სარჩო მახნავთ სახლიდან მოჰქონდათ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მახნავი თავისი ბუნებით მამითადის ადრეულ ფორმას ემსგავსება[15].

ხარის იხნივი გაერთიანების აგრეთვე განსხვავებული ფორმა იყო. მის თავისებურებას შეადგენდა გამწევი ძალის გამოყენების ხასიათი. ისეთი ოჯახი, რომელსაც საკუთარი ხარი არ ჰყავდა, მაგრამ პირუტყვის გამოკვების საშუალება ჰქონდა, რამდენიმე ხარის პატრონ ოჯახთან შეთანხმების საფუძველზე იკისრებდა ამ უკანასკნელის ხარის იხნივით დაბმას ე. ი. შემოდგომიდან გაზაფხულამდე ხარის გამოკვებას, იმ პირობით, რომ „ხარის დამბმელი" ამ ხარს საკუთარ სამუშაოებში — ლეწვაზე[16], ხვნაში და სხვ. გამოიყენებდა. იხნივით დასაბმელად სახვნელში ნამუშევარ, გამოცდილ ხარს არჩევდნენ. ასეთ ხარს მანძილა ხარი ეწოდებოდა[17].

მემინდვრეობაში შრომის ორგანიზაციის მრავალი ფორმიდან ჩვენ აქ მაგალითისათვის მოვიტანეთ ამ სახის გაერთიანებანი ფშავ-ხევსურეთის ყოფიდან. ცხადია, ეს მასალა არ ქმნის სრულ სურათს ამ სახის გაერთიანებების შესახებ საერთოდ საქართველოს მთაში, მაგრამ მაინც ნათელი ხდება ასეთ გაერთიანებათა ხასიათი, პირველ რიგში, მათი მარტივი ფორმა, რაც სამიწათმოქმედო მეურნეობის მასშტაბების შესატყვისი იყო და თუ ამას აღნიშნული ეპოქისათვის საქართველოს ბარში მოქმედ შრომის ორგანიზაციის ფორმებს შევუდარებთ, ნათქვამი კიდევ მეტად სარწმუნო გახდება, მით უფრო, რომ ამ დროის მოვლენებმა განსაკუთრებით გაზარდეს ბარის საწარმოო, სავაჭრო მიწათმოქმედების მასშტაბები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის რაიონებში ყველაზე ფართო გავრცელება ჰქონდა გაერთიანებული შრომის ისეთ ფორ-

---

[14] იქვე.

[15] იქვე, გვ. 75.

[16] ხევსურეთში ლეწვა საქონლის ფეხით წარმოებდა საცხოვრებელი სახლის ზედა სართულზე, რომელსაც კალო ეწოდებოდა.

[17] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

მაგ. როგორიც იყო მოდგამი (ამბაზი). შრომის გაერთიანების პრინციპის თვალსაზრისით მოდგამი ზოგადად ემსგავსებოდა ზემოაღწერილ მთურ მონდავს, მაგრამ მისგან დიდადაც განსხვავდებოდა როგორც შინაგანი რეგლამენტაციით, ისე მასშტაბებით.

მოდგამში მთავარი პირი გუთნისდედა იყო, მის ხელში იყო ხელმძღვანელობა და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. გაერთიანებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც იგი სხვებისაგან გამოირჩეოდა, მას ეკუთვნოდა მოდგამის ძირითადი ინვენტარი: გუთანი, ღვედები, სახნის-საკვეთელი და სხვ.

ხვნაში კოოპერირების ფორმათა სპეციალურმა შესწავლამ მრავალი საყურადღებო მხარე გამოავლინა[18]. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის მოქმედი ბარული ტიპის ასეთ რთულ გაერთიანებაში ადგილი ჰქონდა ექსპლოატაციის როგორც ფარულ, ისე აშკარად გამოხატულ ფორმებს. ამ ტიპის მოდგამი მიჩნეულ იქნა სამიწათმოქმედო მეურნეობაში ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმად, რომლის საწყისები საერთოდ კლასობრივ საზოგადოებას უკავშირდება და მაშასადამე, ადრინდელი ისტორიაც აქვს[19]. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული შესადარებელი მასალა ამ მხრივ განსხვავებულ სურათსაც გვაძლევს. მაგალითად, ალ. ხახანაშვილის მიერ გასულ საუკუნეში მესხეთში აღწერილი ასეთი გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ლიტერატურაში ახალციხური მოდგამობის სახელწოდებით არის შესული, გაერთიანების ეკონომიკური საფუძვლების მხრივ არსებითად განსხვავდება ზემოაღწერილი მოდგამისაგან. ახალციხურ მოდგამში ხვნა არ იყო ნორმირებული იმის მიხედვით თუ ვის რა ჰქონდა მოდგამში გაერთიანებული, არამედ იხვნებოდა იმდენი, რამდენიც სჭირდებოდა თითოეულ წევრს. მოდგამის ეს ფორმა საქართველოში ყველაზე ძველესად არის მიჩნეული. ახალციხური მოდგამის მსგავ-

[18] ამ საკითხზე იხ. მაგ., პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 1944, ს. ჯ ი ქ ი ა, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946; გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, ტ. I, 1949; ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, მიმომხილველი, ტ. II, 1951; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ალმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963.

[19] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 418—149.

სი ფორმა ქართველმა ეთნოგრაფებმა საინგილოშიც დაამოწმეს.

სამიწათმოქმედო ციკლთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმების გამო უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურების შესახებაც. ეს ეხება მეშახელის სეზონურ მოძრაობას. როგორც ცნობილია, საქართველოსათვის ისტორიულადვე დამახასიათებელი ყოფილა მეშახელის გარე სიარული დამატებითი საარსებო საშუალების მოსაპოვებლად და უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა მთის მოსახლეობაში.

ტრადიციულად ისე იყო, რომ, მაგალითად, მთის მცხოვრებნი ბარად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა სახის ფიზიკური სამუშაოს, ზოგჯერ სპეციალური სამუშაოს შესასრულებლად. როგორც ირკვევა, ამ სახის შინაგანი მოძრაობაც განსაკუთრებით ფართო ხასიათისა გამხდარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სპეციალური ეთნოგრაფიული შესწავლით დადგენილია, რომ სამკალად ფშავში ხევსურები ჩამოდიოდნენ, თავის მხრივ, წინაფშავში — უკანა ფშაველები, ხოლო ყველა ესენი, ვიდრე ფშავში მკის სეზონი მოვიდოდა, სამკალად ქართლსა და კახეთში ჩამოდიოდნენ. მაგრამ ამ პროცესს XIX ს. მეორე ნახევარში ერთი თავისებურებაც ახლდა, რაც შეიძლება ამ ეპოქის უშუალო შედეგი იყო — ყოფილა შემთხვევები, რომ თურმე ბარელებიც ადიოდნენ სამკალად მთის ზოლში, მაგალითად, წინა ფშავში. ფშაველები მათ დღიური სამუშაოს საფასურად ერბოს ან მატყლს აძლევდნენ[20]. ეთნოგრაფიული მონაცემებით დადგენილია აგრეთვე, რომ მთის მოსახლეობიდან გარე სამუშაოებზე მამაკაცებს გარდა ქალებიც გადიოდნენ, მხოლოდ შედარებით ახლოს. მაგალითად, ხევსური ქალები ფშავში ჩამოდიოდნენ მატყლის ჩეჩვაზე და ჯეჯიმებისა და საჩოხე შალის საქსოვად[21].

ძალზე საყურადღებოა მთის მოსახლეობის პროფესიული მიზნებით გარე სამუშაოზე სიარულიც. მაგალითად, ხევსური მამაკაცები მეჯამბრეებად[22] დადიოდნენ. ჯამბრის დაწნას საგანგებო ცოდნა სჭირდებოდა და ამ საქმეშიც განსაკუთრებით დახელოვნებულნი ხევსურები ყოფილან. მეჯამბრეობას პირაქეთელი ხევსურები მისდევდნენ და მათი გარეთ სიარულის რადიუსიც დიდი ყოფილა.

---

[20] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, გვ. 32.

[21] იქვე, გვ. 72.

[22] ჯამბარა ტყავისაგან საგანგებოდ დაწნული მსხვილი ღვედი იყო, რომელსაც ძირითადად გუთანში (დიდ გუთანში) იყენებდნენ.

## 3. გეობოტანიკური კონცეფცია ვახუშტი ბაგრატიონის, აკად. ივ. ჯავახიშვილისა და აკად. ნ. კეცხოველის შრომებში

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულე და ბუნებრივ-სამეურნეო არეების დანაწევრება, როგორც ობიექტური სინამდვილე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტორია და განუყრელ კავშირშია მთლიანად საქართველოს ისტორიასთან. ამ ამოსავალ დებულებაზე დამყარებით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ბუნებასა და მეურნეობის ისტორიას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს.

ივ. ჯავახიშვილმა, ერთადერთმა წინამორბედ და მის თანამედროვე ისტორიკოსთა შორის, საქმით შეაფასა ვახუშტი ბაგრატიონის უძვირფასესი მემკვიდრეობა საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებისა და აგრონომიული არეების ზონალობის შესახებ და შემდგომ გააღრმავა და განავითარა ვახუშტის გეობოტანიკური კონცეფცია.

ბუნებრივ-სამეურნეო არეების დანაწევრებისა და სხვაობის პირობებში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ამ არეებში მცხოვრები ტერიტორიული ჯგუფების (ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით — „თემების“) ეკონომიკურ მჭიდრო ურთიერთობას საქართველოში, ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმი შეუქმნია. მკვლევარს მხედველობაში აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მეურნეობრივ-დარგობრივი დაყოფა.

საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული დანაწილებისა და მათი, პირველ რიგში კი მთისა და ბარის, აუცილებელი კავშირ-ურთიერთობის ფაქტორი ობიექტური კანონზომიერების გამოხატულება იყო და ამ მოვლენას ივ. ჯავახიშვილი პოლიტიკურ ისტორიას ნაკლებად უკავშირებდა და უქვემდებარებდა.

ივ. ჯავახიშვილის გაგებით, საქართველოს თემთა შორის კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობა მთელი ისტორიის მანძილზე შემოქმედებითი საწარმოო მნიშვნელობისაა. ამ ნიადაგზე მდიდრდებოდა და ვითარდებოდა ქართველი ხალხის სასოფლო-სამეურნეო კულტურა. ყველა თემს შესაფერისი და შესაძლო წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული სამეურნეო კულტურის განვითარებაში. ამ პროცესს ამავე დროს ხელს უწყობდა გარეშე სამეურნეო-კულტურული ურთიერთობანიც. ეს ნათლად დასტურდება პირველ რიგში ეთნობოტანიკის მონაცემებით, რაც ასე თვალსაჩინოდ აისახა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებში.

ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია საქართველოს მთლიანი სამეურნეო ერთეულის და შინაგანი ისტორიული კავშირურთიერთობების შესახებ, ეწინააღმდეგება შეხედულებას საქართველოს ცალკე კუთხეთა ისტორიული კარჩაკეტილობის შესახებ, რომელსაც კონკრეტული დასაყრდენი მასალა არ გააჩნია და მცდარია.

უნდა მივიჩნიოთ, რომ ერთი ტერიტორია, ენა და შინაგანი ეკონომიკური ურთიერთკავშირი ივ. ჯავახიშვილისათვის ის წანამძღვრები იყო, რის საფუძველზედაც მეცნიერი ქართველების ისტორიას ძალიან ადრიდანვე განიხილავდა როგორც „ერის" — „ხალხის" ისტორიას.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი მოვლენა, როგორიცაა რელიეფურ-ლანდშაფტური ცვლილებანი არა მხოლოდ გეოლოგიურ, არამედ ისტორიულ ეპოქებში. ბუნებრივი გარემო და ადამიანი ერთმანეთთან კავშირში ქმნიან ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის ერთობლივ საფუძველს. ამასთან, ადამიანთა საზოგადოება ისტორიული პროცესების ყველაზე აქტიური ინგრედიენტია. ადამიანთა შეგნებული საწარმოო საქმიანობა, საწარმოო ძალთა განვითარება ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გარდაქმნისა და უკეთ გამოყენებისაკენ არის მიმართული. ცნობილია აგრეთვე, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში გარდაქმნილი ბუნებრივი პირობები ერთდროულად იქცევიან წარმოების საშუალებებად, მაგრამ ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები ბუნებრივი გარემოს უარყოფითი ცვლილებებისა და ხშირად სავალალო შედეგების წყაროც არის. ამის შედეგია დამანგრეველი ძალის ხელოვნური ეროზიები, ნიადაგის სტრუქტურის დარღვევა, ჰიდროგრაფიული რეჟიმის გაუარესება, მიკროკლიმატის გაუარესება, ტყეების უკან დახევა, ნაკლებ სასარგებლო მცენარეული საფარის გაჩენა და სხვა მრავალი საზიანო მოვლენა, რასაც ისტორიულად საქართველოშიც ჰქონია ადგილი, ამასთან მკვეთრი გამოვლინებით, რადგან ჩვენი ქვეყნის რელიეფი უაღრესი დანაწევრებით ხასიათდება.

აქ მაგალითისათვის შეიძლება მივმართოთ საქართველოს აღდგენილი მცენარეული საფარის რუკას, რომელიც ქართველმა ბოტანიკოსებმა (აკად. ნ. კეცხოველი) შექმნეს. ბოტანიკოსები მცენარეული საფარის ცალკეულ დაჯგუფებათა გენეზისისა და განვითარების საკითხებს განიხილავენ ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერებათა შუქზე და დაადგენენ სხვადასხვა ცენოზის კავ-

შორის უძველეს და მომდევნო ეპოქებთან, მათი პირველადი თუ მეორადი წარმოშობისა და განვითარების ხასიათს, აღსანიშნავია რომ მეცნიერულად შესწავლილი ეს მასალა საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ ისტორიულ ეპოქებთან დაკავშირებულ ფლორისტიკულ ცვლილებებს გამოავლენს.

## 4. საქართველოს ეკოლოგიური თავისებურებანი მოგზაურთა შთაბეჭდილებებში

საქართველოს ბევრი მოგზაური-სტუმარი ჰყოლია და ჰყავს. დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ხალხის გაცნობისადმი უთუოდ სხვადასხვაგვარი მიზეზებით იყო წარსულში გაპირობებული, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იყო და რჩება საქართველოს მომხიბლავი, უაღრესად მრავალფეროვანი ბუნებისა და გამრჯე, სტუმართმოყვარეობით განთქმული ქართველი ხალხის ახლო გაცნობის სურვილი.

მოგზაურთა წერილობითი შთაბეჭდილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულად არის ნათარგმნი, ნაწილიც დედანშია შემონახული. ამ ნაწარმოებებს აქვთ როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ღირებულება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის, ხალხის ისტორიის, ეკონომიკის, ყოფისა და კულტურის ამსახველი ნაწერები, რომლებიც ბევრად გვეხმარებიან ქვეყნისა და ხალხის წარსულის შესწავლაში.

ამ ნაწერების ერთად განხილვა შეუძლებელია. ბევრი მათგანი თავისი ხასიათით და მნიშვნელობით დამოუკიდებელ შესწავლას და შეფასებასაც კი მოითხოვს, რაც პირველ რიგში ისტორიული წყაროთმცოდნეობის საგანია. ამიტომ, ამჟამად განსახილველ საკითხში მეტი კონკრეტულობისა და თვალსაჩინოებისათვის ამ დიდი სასაუბრო თემიდან აქ მხოლოდ ერთ, ცალკე ნაწილს გამოვყოფთ, რომელიც ცნობილი რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გლებ უსპენსკის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უკავშირდება.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ მიუხედავად გლებ უსპენსკის ამ წერილობითი შთაბეჭდილებების არც თუ ფართო მოცულობისა, მოგზაურის ეს დაკვირვება იმდენად მახვილია და საყურადღებო, რომ იგი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ძველ მოგზაურთა ნაწე-

რებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დაკვირვებას გარკვეული მეცნიერული პრინციპიც უდევს საფუძვლად და მოგზაური-დამკვირვებლის საკუთარი შეხედულების გამომხატველია, ეს შეხედულება კი ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო მრავალფეროვანია ქვეყნის ბუნება, გეოგრაფიული გარემო, მით უფრო ნაირგვარია იქ მოსახლე ხალხის ყოფა და კულტურა. მაშასადამე, ყოფისა და კულტურის თავისებურებები დაკავშირებულნი არიან გეოგრაფიული გარემოს კონკრეტულ ხასიათთან. გ. უსპენსკის ეს შეხედულება, მიუხედავად უზუსტობისა და არასრულყოფილობისა, მაინც საინტერესოა[23].

საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში გ. უსპენსკის მოღვაწეობა და შემოქმედება სათანადოდ არის შეფასებული.

გლებ ივანეს ძე უსპენსკი XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელია. იგი იყო მ. სალტიკოვ-შჩედრინისა და ნ. ნეკრასოვის თანამედროვე და თანამებრძოლი, ნ. ჩერნიშევსკისა და მ. დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მემკვიდრე. როგორც დემოკრატიული მწერალი და პუბლიცისტი, გ. უსპენსკი თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოციალურ პრობლემებს, შეისწავლიდა და მხატვრულად ასახავდა რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებას, რუსი ხალხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, მისწრაფებებს. ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვემ გააღრმავა გ. უსპენსკის რეალისტური ოსტატობა. მას ადრევე აღმოაჩნდა განსაკუთრებული დამკვირვებლობა, მხატვრული განჭვრეტის სიმახვილე, არსებითისა და მთავარის შემჩნევის უნარი. გ. უსპენსკიმ ბრწყინვალედ იცოდა რუსული სინამდვილე, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების მიმდინარეობით გამოწვეული შედეგები და ზუსტად ასახავდა მათ თავის ნაწარმოებებში. ვ. ი. ლენინის შეფასებით გ. უსპენსკის შემოქმედებამ დიდი და დადებითი გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მსვლელობაზე.

გ. უსპენსკის უყვარდა მოგზაურობა. იგი განსაკუთრებით ბევრს მოგზაურობდა თვით რუსეთის შიგნით. რამდენჯერმე იყო საზღვარგარეთაც.

---

[23] მ. გეგეშიძე, ნარინჯებიდან თოვლის ზოლამდე, ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, 1967, № 2, გვ. 11.

1883 წ. გაზაფხულზე გ. უსპენსკი კავკასიაში გამოემგზავრა. ინახულა ვლადიკავკაზი, თბილისი, ფოთი, ბათუმი, ლენქორანი, ასტრახანი, ხოლო აქედან პეტერბურგს გაბრუნდა[24].

როგორც ირკვევა, გ. უსპენსკის ამ მოგზაურობის დროს შედარებით მეტხანს დაუყვია საქართველოში. დამახასიათებელია, რომ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გ. უსპენსკი აზოგადებს, გვთავაზობს მათ საერთო მოვლენის, თავისებურებისა თუ პროცესის სახით, თუმცა იქვე გვხვდება ამა თუ იმ მოვლენასთან ან გეოგრაფიულ პუნქტთან დაკავშირებული კერძო მოგონებაც. ისიც დამახასიათებელია, რომ კავკასიასთან, განსაკუთრებით კი საქართველოსთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს გ. უსპენსკი შედარებაში წარმოგვიდგენს, ხოლო შესადარებლად კი იყენებს, ერთი მხრივ, კავკასიის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთის ბუნებას, გეოგრაფიულ გარემოს, ხალხის ყოფას.

ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ნანახსა და განცდილს გ. უსპენსკი იმ მომენტში იგონებს, როცა ის ასტრახანს მიახლოებული უკვე უკან, რუსეთში ბრუნდება. აქ გ. უსპენსკი მსჯელობისათვის წამოჭრის საყურადღებო საკითხს, რომელიც ბუნების, გეოგრაფიული გარემოს და ამასთან კავშირში კი ხალხის ყოფა-ცხოვრების ერთფეროვნებას თუ მრავალფეროვნებას უკავშირდება. გ. უსპენსკი აქ ძალზე ხშირად ახსენებს სიტყვას „ერთნაირი, „ერთავად“ (сплошь), როცა მას ჩრდილოეთის სურათები დაუდგება წინ. (Г. И. Успенский, Собр. соч., М., 8, 1957, გვ. 190). აქ იგი ალტაცებით იგონებს ამიერკავკასიაში ნახულსა და განცდილს, რაც დაკავშირებულია ბუნების ნაირგვარ სიმდიდრესთან და ხალხის ცხოვრების მრავალფეროვნებასთან, უბრუნდება თავის შთაბეჭდილებებს და ადარებს მას ჩრდილოურ სინამდვილეს. სიცხადისათვის მოვიყვანთ თვით გ. უსპენსკის სიტყვებს: ახლა მე ველარაფერს ვხედავ იმის მსგავსს, რაც ვნახე ორნახევარი თვის განმავლობაში ვლადიკავკაზიდან ტფილისამდე, ტფილისიდან ბათუმამდე, ბათუმიდან ბაქომდე და ასე შემდეგ.

---

[24] გ. უსპენსკიმ ამ მოგზაურობის შედეგად იმავე 1883 წელს ჟურნალში «Отечественные записки» დაბეჭდა ორი ნარკვევი («Из путевых заметок, I, Мелочи путевых воспоминаний» და «Из путевых заметок, II. Кавказские горы: Гудаур, Нобель и Палашковский, Батум»). შემდეგში მან ეს ნარკვევები გადაამუშავა და გააერთიანა სათაურით «На Кавказе», რომელიც დაიბეჭდა მისი თხზულების მესამე ტომში (СПб, 1891). გ. უსპენსკის ნაწარმოებთა ყველა მომდევნო გამოცემებში კავკასიაში ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ამავე სათაურით არის შესული.

არ იყო ისეთი დღე, რომ არ დაგვჭირვებოდა ხუთჯერ ქურქის ჩაცმა და ისევ გახდა, ხან საგაზაფხულო, ხან საზაფხულო პალტოს გამოცვლა, ხოლო შემდეგ ისევ ქურქში გახვევა. მთის მწვერვალების სიცივე და თოვლი ყოველ წუთში იცვლებოდა გაზაფხულის ფერადებით და მთის ხეობათა დაბლობების სურათებით. მხოლოდ ახლახან ვხედავდით მთის გაყინული ნაკადების სტალაქტიტების გალერეას, ერთი საათის შემდეგ კი ეს ნაკადები უკვე რაკრაკებენ, ჩნდება ბალახი, ხოლო კიდევ ერთი საათის შემდეგ— ყოველივე მწვანეა, ყველგან ყვავილებია, იები, მთის შროშანები და მზე აცხუნებს როგორც ზაფხულში[25] (იქვე, გვ. 191). ასე ახასიათებს გ. უსპენსკი ჩვენი მთაგორიანი ქვეყნის თვალწარმტაც ბუნებას, მის კლიმატს,ნაირგვარ ლანდშაფტს. ძალზე საყურადღებოა ის, რომ გ. უსპენსკი აქვე, ბუნების სილამაზესა და მრავალფეროვნებასთან ერთად განსაკუთრებით გახაზავს ხალხის ცხოვრების ნაირგვარობას, ყოფისა და კულტურის მრავალფეროვნებას. ყოველ ახალ ადგილას მკვიდრთა თავისი ტიპია, — აღნიშნავს გ. უსპენსკი, — განსხვავებული ტანსაცმელი, ზნე და ჩვეულება. აი, მთის წყლის აქეთა მხარეს მკვლელობისათვის ციმბირითა და სატუსაღოთი სჯიან, წყლის იქითა მხარეს კი მკვლელი მხოლოდ ფულად გადასახადს იხდის და თავისუფლად დასეირნობს. ამ წუთში თქვენ დალიეთ ადგილობრივი ღვინო ერთგვარი სურნელებისა და გემოსი, — განაგრძობს გ. უსპენსკი, — ხოლო ერთი საათის შემდეგ თქვენ მიხვედით სხვა ადგილას, სადაც ყველაფერი სხვაგვარია ხალხიც, ენაც, ღვინის სუნიც, ფერიც და გემოც (იქვე, გვ. 191).

როგორც ვხედავთ, გ. უსპენსკი ბუნების მრავალფეროვნებას უკავშირებს თვით ცხოვრების მრავალფეროვნებასაც, ხალხის ყოფისა და კულტურის ნაირგვარობას. გ. უსპენსკის ეს საინტერესო და საყურადღებო შეხედულება უფრო ნათელი ხდება მისსავე მსჯელობაში, როცა ის იქვე თავისი შთაბეჭდილებების განზოგადებას ახდენს. მწერალი ამბობს: ყველა ეს უსასრულო, ამოუწურავი მრავალგვარობა კლიმატის, მცენარეულის, ხალხური კილოკავების, წეს-ჩვეულებების, ტანსაცმლის, რელიგიისა და სექტებისა, რაც მოგზაურობის ყოველ ნაბიჯზე იცვლება, ყოველ წუთში ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ უსასრულოდ მრავალფეროვა-

---

[25] გ. უსპენსკის მოგონების ეს ნაწილი შეტანილია წიგნში „საქართველოს სსრ, მოკლე ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი", პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 6.

ნია ბუნება და ასევე უსასრულოდ მრავალფეროვანი ადამიანების ცხოვრება (იქვე, გვ. 19), ამრიგად, გ. უსპენსკი ადარებს რა ერთმანეთს ჩრდილოეთის და სამხრეთის ბუნებას და ხალხის ყოფას პირველ შემთხვევაში იგი ხედავს ერთფეროვნებას, მეორეში კი მრავალფეროვნებას.

მაგრამ ამ დაკვირვებაში ჩვენთვის მაინც საინტერესოა ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ამიერკავკასიას, განსაკუთრებით კი საქართველოს უკავშირდება. აქ ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი მხარე. სხვა მოგზაურთაგან განსხვავებით, რომელთა თხრობაში საქართველოს ბუნებისა და ყოფის მასალა სტატიკურ ხასიათს ატარებს, გლებ უსპენსკი საქართველოს მრავალფეროვნების შესახებ მსჯელობისათვის საჭირო ფაქტიურ მასალას სივრცობრივ დინამიზმში გვთავაზობს. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ვნახეთ, ეს პირველ რიგში საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ვერტიკალურ განსხვავებულობას შეეხება და ამ მოვლენის ჩვენებას ემსახურება. გ. უსპენსკი აკვირდება ჰორიზონტალურ ჭრილში ხეობათა მიხედვით განსხვავებასაც. ყველაფერი ეს მეცნიერულადაც ფასეულია, რადგან გლებ უსპენსკის ეს ეპიზოდური ცნობა გვაგონებს დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტის დამკვირვებლურ მიდგომას. ვახუშტის თვალმა ხომ პირველად შეამჩნია საქართველოს ხეობათა შიგნით ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ვერტიკალური ცვლა ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ვახუშტიმ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ჩვენი ქვეყნის იმ თავისებურებას, რომ ხეობათა შიგნით დიდი მრავალფეროვნებაა და რომ ზოგან, ნახევარი თუ ერთი საათის სავალზე, სიმაღლეთა ცვლის მიხედვით, ადამიანი ნარინჯებიდან და თურინჯებიდან შეიძლება მუდმივი თოვლის ზოლშიც მოხვდეს.

გ. უსპენსკის კავკასიური დაკვირვებებიდან უნდა გამოიყოს ერთი ნიუანსური ხასიათის დეტალიც, რაც კიდევ უფრო ნათელს ხდის მისი მახვილი დაკვირვების უნარს. გ. უსპენსკი მოგვითხრობს, რომ როცა ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზით საქართველოში გამომგზავრებულან, მას მაშინვე დიდი შთაბეჭდილებები მიუღია. განსაკუთრებით იგონებს ის გუდაურს და იქიდან დაბლა ჩამომავალ გზას. გუდაურის სიმაღლე 3500 ფუტია, — აღნიშნავს განცვიფრებული გ. უსპენსკი, — პეტერბურგის ისაკის საკრებულოსი კი 350 ფუტი (ფუტი-0,3048 მეტრს, მ. გ.), ე. ი. გუდაურის სიმაღლე, საიდანაც თქვენ ჩამოსვლა გიხდებათ, ეს 10 ისაკის საკრებულოს სიმაღლეა ერთიმეორეზე რომ შედგათ. და აი, მოგზაურობის უკვე ამ მონაკვეთზე გ. უსპენსკი ამჩნევს და საგანგე-

ბოლ აღნიშნავს იმ თავისებურებას, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს თვით კავკასიის ბუნებას — ჩრდილო კავკასიურს და სამხრეთ კავკასიურს. სამხედრო გზით მომავალი გ. უსპენსკი და მისი თანამგზავრნი საღამოს მლეთაში შეჩერებულან. ღამეც იქ გაუთენებიათ. მეორე დღე, თბილი, ნაზი გაფახულის დღე იყო — იგონებს გ. უსპენსკი — აქეთ-იქით ჩვენ უკვე ვეღარ ვხედავდით ქვის მრისხანე ლოდებს, კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდობის კლდეებისა და ხეობების მრისხანე ხაზებს, რომლებმაც გუშინ ასე დაგვტანჯეს და შემდეგ იქვე მოცემულია გ. უსპენსკის საინტერესო დაკვირვება: იწყება რბილი, ნაზი ხაზები ლამაზი, მცენარეულით გაცოცხლებული მთებისა, სამხრეთის ფერდობის მთებისა, ხალხის სამხრეთის ტიპისა, სამხრეთის რბილი, ნაზი ჰაერისა (იქვე, გვ. 161—162). ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ კავკასია სამხრეთის მთაგორიანი მხარეა, გ. უსპენსკი ამჩნევს თვით ამ მხარის ჩრდილო და სამხრეთი ნაწილების განსხვავებას რელიეფის, კლიმატის, მცენარეული საფარის ხასიათის მიხედვით. და ეს დაკვირვება მით უფრო საყურადღებო და საინტერესოა, რამდენადაც დღეს ბუნებისმეტყველურ მეცნიერებაში დადგენილი და მიღებულია ასეთი განსხვავება. მაგალითად, როგორც ცნობილია, აკად. ნ. კეცხოველს მდიდარი ფაქტიური მასალის, მათ შორის საკუთრივ გამოვლენილი და შესწავლილი მონაცემების საფუძველზე, დადგენილი აქვს კავკასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთი ფერდობების მცენარეული საფარის როგორც ფლორისტიკული სხვაობა, ისე სიმაღლეში გავრცელების განსხვავებული საზღვრები. ამ სხვაობის ძირითად მიზეზად მეცნიერებაში მიჩნეულია კლიმატის კონკრეტული ხასიათი და, როგორც ეს კარგად აქვს ხაზგასმული ხალხური მხატვრული გამოთქმით აკად. ნ. კეცხოველს, —„სამხრეთის ცხრათვალა მზე".

ასეთია ზოგად ხაზებში გლებ უსპენსკის კავკასიური შთაბეჭდილებანი და მისი დაკვირვების ხერხი და შინაარსი. როგორც ვნახეთ, ეს დაკვირვება არ არის ზედაპირული, ნანახისა და განცდილის გრძნობიერი, მაგრამ უსისტემო ასახვა, არამედ იგი გარკვეულ პრინციპს ემყარება და გამოხატავს მწერლის შეხედულებას ბუნებრივი პირობებისა და ხალხის ყოფის რაობის, მათი ურთიერთობის შესახებ. ეს თავისთავად ძალზე საინტერესო და საყურადღებო საკითხია, რომელიც დღესაც ყოველმხრივ იქცევს ყურადღებას.

როგორ უნდა შევფასდეს გლებ უსპენსკის ზემოთ დახასიათებული დაკვირვების ხერხი და დამკვირვებლური მიდგომის არსი?

ცნობილია, რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების პროცესი, რაც ისტორიული მატერიალიზმის კანონებით იხსნება, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების მნიშვნელობასა და გავლენას ვარაუდობს, მარამ ამ პროცესისათვის ყოველივე ამას ერთადერთი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. ცნობილია, აგრეთვე რომ ისტორიული განვითარების პროცესების ასახსნელად მთავარია მოცემულ გარემოში და ეპოქაში საწარმოო ძალთა განვითარების დონისა და შესაძლებლობების გამორკვევა და დადგენა, რაც ე. წ. ბაზისური მოვლენების ახსნასაც ნიშნავს. ამ გაგებით საზოგადოების განვითარებას თავისი შინაგანი კანონები აქვს, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ ცხოვრების წესებსაც და ყოფისა და კულტურის თავისებურებებსაც. ბუნებრივი გარემოს სპეციფიკას ამ სფეროში უთუოდ აქვს თავისი როლი და ადგილი, მაგრამ არა გადამწყვეტი.

გლებ უსპენსკის არ ჰქონია ასეთი მიდგომა გამოყენებული, ამიტომ მისი გაგება ბუნებრივი გარემოს სპეციფიკისა და მხოლოდ მასთან კავშირში განხილვა ხალხის ყოფისა და კულტურის თავისებურებებისა ცალმხრივია და დასკვნებიც აშკარად გადაჭარბებული. მაგრამ ეს ცალმხრივობა და, უფრო მეტიც, მეთოდოლოგიური შეცდომა, მაინც მთლიანად ვერ უკარგავს ფასს და მნიშვნელობას გლებ უსპენსკის აღნიშნულ დაკვირვებას, რომლის ფაქტიური მხარე უთუოდ ძალზე საყურადღებოა.

## თავი მეორე

# ხალხური ეკოლოგიური ცოდნა და მეურნეობრივი კულტურის საკითხები

### 1. მელიორაციის ხალხური საწყისები საქართველოში

საქართველო უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანაა. ეს დარგი საქართველოს ტერიტორიაზე ადრეულ ხანაშია შექმნილი, როდესაც მოხეტიალე ჯოგური ცხოვრებიდან მკვიდრ, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა ხდებოდა. მეცნიერული კვლევა-ძიებით დადგენილია ჩვენს ტერიტორიაზე ყველა არქეოლოგიური ეპოქის არსებობა, დაწყებული ჯერ კიდევ პალეოლითიდან ანუ ძველი ქვის ხანიდან. ნეოლითის ხანის მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ მკვიდრი ცხოვრების ჩამოყალიბების მეურნეობრივი საფუძველი მარტივი მიწათმოქმედება იყო. მომდევნო ეპოქების მონაცემებით ირკვევა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების თავისებურებანი, ამ დარგების შერწყმული ხასიათი. ადრინდელი მეურნეობრივი სპეციფიკა ჩვენს ქვეყანას განვითარების ხანგრძლივ მანძილზე გამოჰყვა. ეს არის ცხოვრების მოწყობა უმეტესწილად ხეობათა ზოლში და შესაბამისად მთისა და ბარის მეურნეობის დამკვიდრება და განვითარება. როგორც უკვე ითქვა, ქართულ მიწათმოქმედებას სიძველესთან ერთად დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს[1]. იგი თითქმის უკლებლივ მოიცავს მსოფლიოში ცნობილ ყველა სამიწათმოქმედო დარგს ტროპიკული ზოლისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი გამონაკლისით. დღეს საქვეყნოდ აღიარებულია ის ფაქტიც, რომ ქართველ ხალხს და მის უშუალო წინაპრებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თვალსაჩინო შემოქმედებითი წვლილი შეუტანიათ

---

[1] M. K. Gegeschidse, Die Melioration im System der bäuerlicher Agrotechnik in Georgien: Getreidebau in Ost-und Mitteleuropa. Akadémiai Kladó, Budapest, 1972.

მსოფლიო სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში. ხალხური სელექციის ზოგადკულტურულ მნიშვნელობაზე თვალნათლივ მეტყველებენ ქართული პურეული, ვაზი, ხილი, ბოსტნეული, ისეთი ტექნიკური კულტურები, როგორიცაა სელი და სხვ. ყველა ეს ჩამოთვლილი სახეობა და უამრავი სხვაც თავისი მნიშვნელობითა და ხანგრძლივი ისტორიით სპეციალურ საუბარს იმსახურებს, რის საშუალებაც ამჟამად არა გვაქვს. საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების უაღრესი მრავალფეროვნება ძირითადი თემაა უცხო მოგზაურთა აღწერილობებში. ყველა აღტაცებითა და გაკვირვებით აღნიშნავს ამ თავისებურებებს. ბევრი ჩაუფიქრებია ისეთს სურათსაც, როცა ამა თუ იმ ხეობის გაშლილ დაბლობზე ცხრა უღელი მეხრეების გუთნეული ეწეოდა დიდ ქართულ გუთანს, ხოლო იქვე, ამავე ხეობის შიგნით, ციცაბო ფერდობზე, რომელიც ადამიანს სამეურნეო მიზნებისათვის გამოუგლეჯია ბუნებისათვის, მშრომელი კაცი ხეზე ბაწარგამობმული გულმოდგინედ თოხნიდა საყანე მიწას. ჩვენც ხომ ყველას გვინახავს ისეთი რამ, როცა ერთი სოფლის შიგნითაც კი მის სხვადასხვა უბანში და სამეურნეო ნაკვეთებზე სხვადასხვა დროს მწიფდება ერთი და იგივე ნაყოფი პურეული იქნება თუ ვენახი, ხილი თუ ბოსტნეული. ყველაფერ ამას განაპირობებს რელიეფისა თუ კლიმატის, ნიადაგებისა თუ ჰიდროგრაფიული რეჟიმის ადგილობრივი თავისებურებანი, ხოლო ყველა ამათთან შეფარდებულია ხალხური აგროტექნიკური ცოდნა და ხერხები.

უკვე ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხალხურ კონკრეტულ ცოდნას, რომელიც მყარ საწარმოო ტრადიციებზეა აღმოცენებული. ასეთი ცოდნის ღირებულება ნათელია დღევანდელი, სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტულ ამოცანათა შუქზე.

საქართველოში დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ნიადაგების დაცვისა და გაუმჯობესების; ბუნებრივი და ხელოვნური ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, მთის პირობებში მეურნეობრივი მიწათმოწყობის საკითხები, კერძოდ, ტერასული მეურნეობის აღდგენა და პირველადი დანერგვა, სარწყავი სათიბი მიწათმოქმედების გაფართოება. დიდმნიშვნელოვანია მელიორაციის ფართო სფერო—განსაკუთრებით კი მორწყვა და ამოშრობა. დასკვნა ერთია — თანამედროვეობის პრაქტიკული ამოცანები მოითხოვენ მიწათმოქმედების კონკრეტული საკითხების შესწავლასა და გადაწყვეტას კონკრეტულ გარემოში. ცხადია, რომ ჩვენი მეცნიერება ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტის საქ-

მეში, ისევე როგორც აქამდე, სათანადოდ გამოიყენებს ყოველივე რაციონალურს, რაც კი ჩვენს ხალხს ღრმა დაკვირვებით ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუქმნია და ტრადიციულად დღემდე მოუტანია.

ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ძიებით, ასევე ისტორიული ბუნებისმეტყველების მონაცემებით, სრულიად აშკარა ხდება, რომ საქართველოში ძველთაგანვე ერთ-ერთი ძირითადი ადგილი სჭერია მელიორაციას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ეს იყო პრაქტიკული მელიორაცია და ემყარებოდა ხალხის შრომასა და დაკვირვებას.

ასეთ რთულ და დიდმნიშვნელოვან საკითხებზე ერთ საუბარში მსჯელობისას, მოსაუბრემ, ბუნებრივია, ცალკეული მაგალითების ხერხს უნდა მიმართოს, რაც ამავე დროს აიძულებს მას გვერდი აუაროს საკითხის მთელ რიგ მნიშვნელოვან ასპექტებს — ბუნებისმეტყველურ-აგრონომიულს, სოციალურ-ეკონომიკურს, კულტურულ-ისტორიულს. ამ სიძნელის მიუხედავად მაინც საჭიროდ მივიჩნევთ ამ რთული სასაუბრო თემიდან ზოგიერთ მოვლენასა თუ ფაქტზე შევჩერდეთ.

ცნება მელიორაცია, როგორც ვიცით, საერთოდ ნიადაგების არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სამეურნეო-ტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას ნიშნავს. ცნების ამ ფართო გაგებაში მაინც მთავარია ნიადაგების წყლის რეჟიმის რეგულირება. ქართველი ხალხის ყოფას საწარმოო ჩვევებისა და ტრადიციების სახით მელიორაციის მრავალი სამეურნეო ტექნიკური ღონისძიება შემოუნახავს, რომელთა ახლო შესწავლა-შეფასება სრულიად ნათელს ხდის ხალხის ემპირიული ცოდნის სიღრმეს საქართველოსათვის ამ ისტორიულად დიდმნიშვნელოვან დარგშიც. ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ამ მხრივ ტოლობის ნიშნის დასმა ამ დარგის თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებსა და ხალხის საწარმოო-ემპირიულ მონაპოვრებს შორის. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ სოციალისტური მიწათმოქმედების გრანდიოზული ცვლილებებისა, რომლებსაც საფუძვლად უდევთ სწორედ მეცნიერულ მყარ ნიადაგზე დაფუძნებული სამეურნეო-ტექნიკური ღონისძიებანი, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ ხალხური აგრიკულტურის მთელი რიგი რაციონალური მონაპოვრებიც, მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე ითქვა, მათ შეუძლიათ კარგი სამსახური გაუწიონ მეცნიერების დღევანდელ მოთხოვნებსაც.

ვიმეორებთ ზემოთ აღნიშნულს, რომ საქართველო მარტო ბუნებრივი კი არა მეურნეობრივი კონტრასტების ქვეყანაც არის. მაგალითად, საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი მცირე ფართობის ტერიტორიაზე, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, თუ მის ერთ-ერთ რომელიმე კუთხეში წყალს მორწყვის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო სიმცირის გამო ხშირად წვეთობით იზომებოდა, ამავე ქვეყნის არც ისე დაშორებულ სხვა კუთხეებში იმდენი იყო წყალი, ჭარბი ტენი, რომ ადამიანი იძულებული ხდებოდა ისევ სამეურნეო მიზნებისათვის წყალთან ებრძოლა. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ბრძოლა წყლისათვის, მეორე შემთხვევაში ბრძოლა წყალთან. სწორედ ასეთ განსხვავებულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ხალხური მელიორაციის განსხვავებული ხერხები ჩამოყალიბებულა, რომელთაც ისტორიული ახსნა აქვს. ამას უნდა დაემატოს სხვა ძირითადი და მთავარიც — მელიორაციის თავისებურებანი მთის პირობებში, სადაც ერთ-ერთი არსებითი მომენტი იყო და არის ზრუნვა ბუნებრივი და ხელოვნური ეროზიის წინააღმდეგ.

სათანადო მრავალმხრივი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ძველი და ტრადიციულია მორწყვითი და ამოშრობითი მელიორაცია და რომ თავის მხრივ თითოეული ეს სფერო ნიადაგების დაცვისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა ცალკე კომპლექსებს მოიცავს. განვიხილოთ ზოგი მათგანი: დასავლეთ საქართველოს ცენტრალური დასავლეთი ნაწილი ანუ კოლხეთის დაბლობი, როგორც ცნობილია, ძალზე დიდი სინესტით ხასიათდება, რის გამო დაბლობის დიდი ნაწილი დაჭაობებული იყო.

ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს ეს ძნელი პირობები ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ექიმსა და მწერალს ჰიპოკრატეს შეუნიშნავს, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა ე. ი. ორი ათას ხუთასი წლის წინათ. პროფესიული მიზნებით იგი განსაკუთრებით აკვირდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ბუნებრივ პირობებს, რადგან საკუთარი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ, ადამიანის ფიზიკურსა და სულიერ თვისებებზე. ჰიპოკრატეს დახასიათებული აქვს ფასისელების ე. ი. კოლხების ქვეყნის კლიმატის, ნიადაგების, ჰიდროგრაფიული რეჟიმის თავისებურებანი, მომეტებული ტენიანობა, დასახლების, სამეურნეო ყოფის სპეციფიკა დაჭაობებულ გარემოში. ჰიპოკრატე აქაურ მცხოვრებთა გარეგნულ ნიშნებში გამოყოფს მათი კანის სიყვითლეს, რაც,

უთუოდ აქაური ძველისძველი ავადმყოფობის — მალარიის გამოხატულება უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, ეს ტერიტორია ძნელ საცხოვრებელ და სამეურნეო გარემოს წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ადამიანი ცხოვრობდა და საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა შეურნეობრივ სიძნელეებსა და ავადმყოფობას.

ბრძოლა უმნიშვნელო და უეფექტო იყო, რადგან კოლხეთის ჭაობი ჭაობად რჩებოდა და, მაშასადამე, აქედან წარმომდგარი უარყოფითი მოვლენებიც ხანგრძლივი და უცვლელი იყო. საქართველოს მიწა-წყლის ამ ბუნებრივ-ისტორიულ ნაკლზე საბოლოო და მთლიანი გამარჯვება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი. იერიში კოლხეთის ჭაობებზე ძირითადად უკვე დამთავრდა, რამაც საფუძვლიანად შეცვალა დაბლობის სახე და ცხოვრება. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც ბრწყინვალე ფურცელი სოციალურ-ეკონომიკური გამარჯვებისა, რადგან ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში მომხდარმა ამ გრანდიოზულმა ცვლილებამ მოიტანა გამარჯვება სოციალური ჰიგიენის სფეროშიც. მალარია საბოლოოდ დამარცხებულია.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების ფონზე მით უფრო საინტერესოა კოლხეთის დაბლობის ისტორიის ძნელი ფურცლები, რომლებიც აქაურ ძველ სამეურნეო ყოფას ასახავს და, კერძოდ, გვაჩვენებს ხალხური მელიორაციის თავისებურებებს. ამ ინტერესს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ კოლხეთის დაბლობის მელიორაციის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მეთოდებში გამოყენებულია ამოშრობის, ნიადაგების გაუმჯობესებისა და განოყიერების ზოგიერთი ხალხური პრინციპი. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს კოლმატაჟი, რომელსაც საწყისები ძველ ხალხურ აგროტექნიკურ პრაქტიკაში ეძებნება. კოლხეთის დაბლობზეც მიმართავდა ხალხი მორწყვას, მაგრამ ეს ცნება განსხვავებული შინაარსის იყო, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ, თუ ჩვეულებრივ პირობებში მორწყვა გულისხმობდა მშრალ ნიადაგში წყლის სასიცოცხლო ძალის შეტანას, აქ, ჭარბი სინესტის პირობებში, დაჭაობებულ ზედაპირზე ისევ წყალს გადაატარებდნენ. ამ შემთხვევაში ეს წყალი თავისი შლამით ერთდროულად ამ ნესტიან ზედაპირსაც ფარავდა და ნათესებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგსაც ქმნიდა. ბუნებრივი კოლმატაჟისაგან განსხვავებით ხელოვნური კოლმატაჟის დროს, რომელსაც ხალხი აქ უძველესი დროიდან მიმართავდა, ნაკვეთებს ზღუდეებით შემოფარგლავდნენ და შლამის დიდი რაოდენობით შემცველ წყალს მიუშვებდნენ. რო-

ცა შლამი დაილექებოდა, დაწმენდილ წყალს საგანგებო სადინარებით ნაკვეთიდან გაიყვანდნენ. მაშასადამე, ამ ხერხით აღწევდნენ ნესტიან ადგილზე ნიადაგის ფენის გაჩენას ე. ი. ნიადაგის მეტ-ნაკლები დროით ამოშრობას. თავისთავად ეს ახალი ნიადაგი, როგორც შლამისაგან გაჩენილი, უკვე განოყიერებული იყო.

ამასთან ახლოს იდგა დასავლეთ საქართველოში უფრო ფართოდ გავრცელებული მეორე ხალხური ხერხი — მოსილვა ანუ მოლექვა. ხალხური დახასიათებით მდინარის შლამი ანუ ლექი ძალზე ნოყიერია, ხოლო ბუნებრივი თუ ხელოვნური მოლექვა მეტად სასარგებლოა მიწათმოქმედებისათვის. სარგებლიანობის მიხედვით ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ სხვადასხვა მდინარის ლექს, ხოლო ამ მხრივ უპირატესობას რიონის ლექს აძლევდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ სამეურნეო მიზნებისათვის ძველად განსაკუთრებული დაფასება ჰქონდა მდინარე რიონის თავისებური კლაკნილი დინების გამო წარმოქმნილ ნალისებური ფორმის დაღრმავებულ ადგილებს, რომლებსაც „ნარიონები" ეწოდებოდათ. აღსანიშნავია, რომ XIX ს. კოლხეთის დაბლობის კოლმატაციისა და რიონის ნოყიერი შლამის სამეურნეო კომბინირების დასაბუთებული წინადადება ძალზე ენერგიულად წამოაყენა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. მაგრამ ეს განუხორციელებელი დარჩა, ისევე როგორც მისი სხვა საინტერესო წინადადებანი საქართველოში საირიგაციო მშენებლობის თაობაზე. არ იქნება ინტერესს მოკლებული გავიხსენოთ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული შედარება მდ. რიონის წყლისა მდ. ნილოსის წყალთან. ყურადღებას იპყრობს უფრო მდიდარი შედგენილობა რიონის წყალში ორი განსაკუთრებით ძვირფასი ნივთიერების — ფოსფორის სიმჟავისა და აზოტისა, რომლებიც მასში შესაბამისად 1,57 და 1,75-ჯერ მეტია, ვიდრე მდ. ნილოსის წყალში. თვალსაჩინო სამეურნეო ეფექტის მქონე იყო ლექი დას. საქართველოს ბევრი სხვა მდინარისაც, როგორებიცაა სუფსა, ცხენისწყალი, წყალწითელა და სხვ. ყოფის მონაცემებით ირკვევა, რომ ძველად პრაქტიკაში ყოფილა ამ მდინარეთა შლამის ურმებით გაზიდვა და ნაბარავ ნაკვეთებში დაყრა, მაგრამ ამასთან ერთად იყენებდნენ წყლის დაჭერის ხერხსაც, რაც ზოგან დღესაც გვხვდება. სოფელში, ქუჩის ნაპირებზე ჩამდინარე წყლიდან იგი შეჰყავთ ეზო-კარმიდამოს განაპირა ნაკვეთში, სადაც ხდება გადაგდებული წყლის სადინარის გადაკეტვა ორი მხრიდან — თავსა და ბოლოში. ასე დაჭერილი წყალი გაჩერებულია ვიდრე არ დაილექება შლამი. ეს ჩვეულებრივ 10—15 დღე გრძე-

ლდება, დაწმენდილ წყალს უკანვე აბრუნებენ ე. ი. დახრილი გეზით უერთებენ არხს, ხოლო დატოვებული შლამი ნათესებში გააქვთ სასუქად. შლამის მისაღებად წყალი შეჰყავთ და აჩერებენ საგანგებო ორმოებშიც. წყლის დაჭერისა და გამანოყიერებელი მორწყვის ხალხური წესები სათანადოდ არის შეფასებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. ი. ჩხენკელი მიიჩნევს, რომ ლექის დადებითი თვისებაა სასარგებლო ქიმიურ შედგენილობასთან ერთად მისი ზემოქმედება ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებაზე.

მაგრამ, ცხადია, მარტო შლამის საფარის შექმნა ჭარბი სინესტის მქონე და ჭაობიან ადგილებში არ იყო საკმარისი სამეურნეო ნაკვეთების მისაღებად ან გასაუმჯობესებლად, თანაც არც ყველგან იყო მოსახერხებელი, ამიტომ ხალხი სხვა ღონისძიებებსაც მიმართავდა. კოლხიდმშენის სამუშაოების ფართოდ გაშლამდე აქ გამოყენებული იყო ხალხური დრენაჟის წესი—დამდგარი წყლისათვის გასასვლელი სადინარების მოწყობა და სამეურნეო ნაკვეთის გათავისუფლება ზედმეტი წყლისაგან. გლეხი თავის სათეს ნაკვეთს გარშემო უკეთებდა თ ხ რ ი ლ ს, ხოლო შემდეგ შიგ ნაკვეთში რელიეფის შესაბამისად, დაქანების შერჩევით კ ვ ლ ე ბ ს გათხრიდა, რომლებიც ნაკვეთის გარშემო შემოვლებულ თხრილს უერთდებოდა. ნაკვეთის შიგნით გაკეთებულ მთავარ კვლებს, თავის მხრივ, დახრილი გეზით პატარა კვლები უერთდებოდა, საიდანაც მთავარ კვლებში თვითდინებით შედიოდა წყალი, ხოლო მთავარი კვლებიდან კი ეს წყალი დაბალ მხარეზე გაკეთებული სადინარით გადიოდა და მიემართებოდა მდინარისა ან ღელისაკენ. მაგრამ წყლის თვითდინებაზე დამყარებული ეს წესიც, ჭარბი წყლის ნაკვეთებიდან გადაგდებისა, ყველგან ვერ ხორციელდებოდა, რადგან მთლიანად რელიეფის სათანადო პირობებზე იყო დამოკიდებული. ასეთ შემთხვევებში გამოიყენებოდა სხვა, აგრეთვე ძველებური ხალხური ხერხი. იმ ადგილებში, სადაც წყალი დგებოდა უმთავრესად ხანგრძლივი წვიმების შემდეგ, მიმართავდნენ ხელოვნურ დაშრობას, რასაც მ ო ზ ვ ი ნ ვ ა||დ ა ზ ვ ი ნ ვ ა ეწოდებოდა: წყლიან ადგილებში მუხლის სიმაღლეზე ან უფრო ღრმად გაჭრიდნენ ორმოს ან თხრილს. ამოღებულ მიწას აქეთ-იქით დაყრიდნენ და ადგილს აამაღლებდნენ. გაჭრილ ორმო-არხში ჩადიოდა წყალი და თითქმის ავსებდა მას. ამ ორმოში ჩაყრიდნენ მოგროვილ მიწას, ჩალას, ნაგავსაც კი. ზოგჯერ ხეებს დააჭრიდნენ ტოტებს და იქვე ჩააწყობდნენ. ეს ორმო-თხრილი ნელ-ნელა ივსებოდა და იფარებოდა. ამოღებულ მიწას, თუკი ის დი-

დი რაოდენობის იყო, კვლავ გადააყრიდნენ ამ ორმოს. საბოლოოდ ღებულობდნენ გასწორებულ მაღალ ნაკვეთს, რაზედაც ყველაფერი ითესებოდა, რადგან ორმოს ამოთხრის დროს თითქმის ყოველთვის ზემოთ ამოდიოდა ნოყიერი და სასარგებლო ფენა ე. წ. დ ა მ პ ა ლ ა ანუ ტორფი. როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ტორფის ბუდობები, ხოლო ამჟამად ტორფი მრავლად გააქვთ მახლობელი რაიონების ჩაის პლანტაციებში, როგორც საუკეთესო სასუქი საშუალება.

ზემოთ აღწერილი ეს ხალხური ხერხი ფაქტიურად ადგილის გამაღლებას წარმოადგენდა. ამ წესს ის ნაკლი ჰქონდა, რომ შემაღლებული ადგილის მეზობელი ტერიტორია თუ დაბლა დარჩებოდა, და ფაქტიურად ხშირად ეს ასეც ხდებოდა, იქ მოსალოდნელი იყო წყლის ჩადგომა. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებით ბევრი შემაღლებული ადგილი, ბორცვი ან გორაკი ნაზვინს (მეგრ. ნაზონარეს) წარმოადგენს, ე. ი. ისინი ხელოვნური წარმოშობის არიან და დიდი ხნის სიძველე ახასიათებთ. ეს საკითხი ძალზე საყურადღებოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც, რამდენადაც იგი კოლხეთის დაბლობის დასახლების ადრინდელ ისტორიას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ქართველ არქეოლოგებს გამოვლენილი და შესწავლილი აქვთ კოლხეთის დაბლობის დასახლების თავისებურება—დასახლებების მოწყობა ხელოვნურ ბორცვებზე. მიაჩნდათ, რომ ეს პროცესი კოლხეთის დაბლობზე დაწყებულა და უწყვეტი განვითარება ჰქონია ძვ. წ. ა. III ათასწლეულიდან, ხოლო მიწის დაზვინვა და ხელოვნური საცხოვრებელი ბორცვების მოწყობა აუცილებელი მოვლენა ყოფილა აქაური სუსტი გრუნტების სუბსტრატისა და თავისებურ კლიმატურ-ჰიდროგრაფიულ პირობებში. ასეთ ხელოვნურ ბორცვებს კოლხეთის დაბლობის თანამედროვე მოსახლეობა დ ი ხ ა გ უ ძ უ ბ ა ს ან დ ი ხ ა ზ უ რ გ ა ს. აგრეთვე ნ ა ზ ო ნ ა რ ე ს ა ც უწოდებს და, როგორც ვთქვით, შეუცდომლად განარჩევს მათ ბუნებრივი ბორცვებისაგან.

ქართული ხალხური მელიორაციის ხერხებში ცალკე უნდა გამოიყოს ნიადაგების გაუმჯობესება-გაპატივების წესი, დამახასიათებელი საქართველოს მთიანი რაიონებისათვის. ეს წესია წყალში გახსნილი ნაკელით მორწყვა ან ნაკელის გატანა მამულში წყლით. ეს წესი გავრცელებული იყო ქართლის მთიან ზოლში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, აგრეთვე აჭარაში, სვანეთში. მთიან ქართლში და მთიულეთში ამ წესს გ ა ბ ღ ა ლ ვ ა ს უწოდებენ, აჭარაში მ ო ნ ე ხ ვ წ ყ ლ ა ს. ყველგან,

სადაც კი ეს წესი იყო გავრცელებული, ხალხს შემუშავებული ჰქონდა მიკრორელიეფისა და ჰიდროგრაფიული რეჟიმის თავისებურებათა ჩინებული ცოდნა, რადგან წყლით თანაბარი განაწილება ნაკელისა დიდ სიზუსტეს მოითხოვდა. ასე გაპოხიერებული მიწა, ჩვეულებრივ, ერთი წელიწადი იყო ვარგისი, შემდეგ ნიადაგი ისევ უნდა გაეპატივებინათ. წყლისა და ნაკელის სარწყავად კომბინირების ეს ხალხური წესი მთიანი პირობების ერთ-ერთ საინტერესო სამეურნეო მიგნებად უნდა ჩაითვალოს. საარქივო მასალის ანალიზი ნათელს ხდის ამ წესის სიძველეს საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა გავიხსენოთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით კი აჭარაში, გავრცელებული წესი რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატური რწყვით მ ი წ ი ს გ ა ს უ ქ ე ბ ი ს ა, რასაც აჭარაში გაჭალავებას უწოდებენ. მომეტებულ რწყვას დიდი რაოდენობით მოჰყავდა ბალახი, რომელიც მიწის გასასუქებლად გამოიყენებოდა წყალთან ერთად. ამასთან ახლოს უნდა იდგეს ალმ. საქართველოში გამოყენებული ხალხური წესი ხელოვნურად მ ი წ ი ს დ ა ჭ ა ო ბ ე ბ ი ს ა. ხშირი რწყვით გაჩენილი ჭაობის ბალახი ჭილი, ლელი და სხვ. გათიბვის ანუ ე. წ. ჩაშამბვის შემდეგ ლპებოდა და მიწას ასუქებდა. აჭარაში შემორჩენილი გაჭალავების წესში თავის მხრივ ყურადღებას იპყრობს ზამთრობით რწყვა და კერძოდ ე. წ. წ ყ ლ ი ს დ ა მ წ ყ ვ დ ე ვ ი ს წესი, რომელიც ლოკალური ე. ი. ადგილობრივი — აჭარული ჩანს. ზამთარში, თოვლის ქვეშ მოქცეული სარწყავი წყალი სისტემატური დინებით ამდიდრებდა სათიბების ნიადაგს ნოყიერი შლამით. აქვე საყურადღებოა მესხეთში ეთნოგრაფიული მონაცემებით დადგენილი მარცვლეულის ნათესების მორწყვის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შ ე ლ ე კ ვ ი ს სახელწოდებას ატარებს. გვალვიანი გაზაფხულისა და ზაფხულის შემდეგ, როცა ნიადაგს საკმაო ტენი აკლდა, ხალხური დაკვირვებით მეტად ეფექტური იყო შემოდგომით რწყვა დათესილი მარცვლეულისა, მის ამოსვლამდე.

ეთნოგრაფიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტულ თავისებურებათა ცოდნის საფუძველზე და მისი გათვალისწინებით ხალხი წყლის დახმარებით ნიადაგების გაუმჯობესებაში სათანადო ეფექტს აღწევდა. საერთოდ, აქვე უნდა აღინიშნოს ნიადაგების ხალხური მრავალფეროვანი და ღრმა ცოდნა, რასაც საფუძვლად უდევს სხვაობა ადგილმდებარეობის სიმაღლის, რელიეფის ხასიათის, ნიადაგების შემადგენლობის, გარეგნული თვისების, სამეურ-

ნეო ეფექტისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ამის დამადასტურებელია ქართულ ისტორიულ წყაროებში შემონახული სათანადო ცნობები და სამეურნეო ყოფის მდიდარი და მრავლისმეტყველი მონაცემები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფიულ მასალებში, როგორც წესი, ამა თუ იმ კუთხის დამახასიათებელი ნიადაგების რამდენიმე ათეული და ასეული ხალხური სახელწოდება გვხვდება სინონიმური თუ ვარიაციული სხვაობის ჩათვლით. ტერმინოლოგიური სიმდიდრე კი უკვე თავისთავად მეტყველებს დიფერენცირებულ და ღრმა ხალხურ ცოდნაზე.

წყლის დახმარებით ნიადაგების გაუმჯობესების ზემოთ დასახელებულ ხალხურ წესებს შეიძლება დაემატოს აჭარაში ფიქსირებული ორიგინალური ხერხი გამოფიტული ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა ე. წ. მიწის მობრუნება. ეთნოგრაფ ნეჯათ ჩიჯავაძის აღწერილობით გამოფიტულ სახნავ მიწას გარკვეული ხნით სავსებით მიატოვებდნენ, შემდეგ კი სათიბად აქცევდნენ და მორწყვით გაამდიდრებდნენ. ასე მობრუნებული მიწა სახნავ-სათესად ისევ ვარგისი იყო. აქვე ყურადღებას იპყრობს ტყის გაჭრისა და ხელოვნური გატყიანების თავისებური ხალხური წესები. ეს უკანასკნელი ღონისძიება ნიადაგის სტრუქტურის ბუნებრივ აღდგენას ხელოვნურად აჩქარებდა. თუ სხვაგან, როგორც წესი, ახოს აღების დროს გაკაფული ხის ფესვების ამოძირკვა ხდებოდა, აქ, აჭარის გარკვეულ ზოლში, ტყე შიშვლად არ იკაფებოდა, მოჭრილ ხეებს ამოუძირკვავად სტოვებდნენ და ამავე დროს ნიადაგებისათვის უფრო სასარგებლო ხის ჯიშს — თხმელას გააშენებდნენ, ე. ი. ხდებოდა ხელოვნური გატყიანება, რაც აჩქარებდა მიწის ნაყოფიერების აღდგენასაც. ერთი და იგივე ნაკვეთის ჯერ გაკაფვა, შემდეგ ტყედ ქცევა და ისევ გაკაფვა, რასაც აქ გარკვეული პერიოდულობაც ახლდა, საინტერესო ხალხური სამეურნეო ხერხია. მას ასევე საყურადღებო ტერმინოლოგია აქვს: პირველად გაკაფული ერთმწიფი (ერთპირი) იყო, ხოლო შემდეგ კი — ორმწიფი (ორპირი), სამმწიფი და სხვ.[2]

ეს ღონისძიება, ჩანს, ეროზიის საწინააღმდეგოც იყო. საყურადღებოა, რომ ქართველ ხალხს მელიორაციის მრავალფეროვან ხერხებში კომბინირებულად ჰქონდა ჩართული ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები. ამ კუთხით უნდა შეფასდეს ჩვენში, მაგალითად, ტერასული მეურნეობის მრავალფეროვანი ხალხური ხერხები. როგორც ცნობილია, ბევრგან სხვაგან და საქართველოშიც

---

[2] ნ. ჩიჯავაძე, ტერასული მეურნეობა საქართველოში, თბ., 1976.

ტერასული მიწათმოქმედება ინტენსიური მეურნეობის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს. ხალხური აგრიკულტურის კომპლექსის წყალობით, როგორიცაა ტერასების ნიადაგის ქვებისა და სარეველებისაგან რეგულარული წმენდა-გასუფთავება, სასუქით განოყიერება, ნიადაგის კულტურული ფენის გაღრმავება, მცენარეული კულტურების კომბინირება და მაჩრდილობელი და ნახევრად მაჩრდილობელი მცენარეულის იარუსისებრივი განლაგება, მორწყვა, ნიადაგის დაცვა გადარეცხვისაგან და სხვ. ხელს უწყობს ტერასების შედარებით მცირე ფართობზე სამეურნეო ეფექტის თვალსაჩინო ზრდას და ნაყოფიერების კოეფიციენტის გადიდებას. ახალ ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღწერილია ქართლის, მესხეთის, განსაკუთრებით კი აჭარის ტერასების კონსტრუქციისა და ტექნიკის მდიდარი და საყურადღებო თავისებურებანი, რაც ერთდროულად გამოავლენს მეურნეობის ამ ფორმის სიძველეს საქართველოში.

წყლის სამეურნეო გამოყენებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ხალხურ ღონისძიებათა თავისებური კავშირის ნათელ გამოხატულებას გვაძლევს ზემო სვანეთის სამეურნეო ყოფა, სადაც სარწყავსათიბ მეურნეობას ისტორიული განვითარება მოუპოვებია. ამის მაგალითია მაღალმთიან სამეურნეო ზოლში, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე წარმოდგენილი სათიბ სარწყავი სისტემა, რომელიც ემყარება ხალხის ემპირიულ ცოდნას როგორც ჰიდროტექნიკის, ისე აგრიკულტურის დარგებში.

სამწუხაროდ, აქ არ გვაქვს საშუალება მკითხველებს გავაცნოთ მთის რთულ პირობებში სარწყავი წყლის თვითდინების რეგულირებისა და მორწყვის ტექნიკის უაღრესად ზუსტი ხერხები, რომლებიც ამავე დროს ხელოვნური ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებასაც შეიცავენ. ეროზიის საწინააღმდეგოდ გამოუმუშავებია ხალხს ისეთი აგრიკულტურული ხერხიც, როგორიცაა ფერდა ადგილებზე მხოლოდ სათიბების და არა ყანების მორწყვა. ამას საფუძვლად უდევს ბალახის დამკორდებელი თვისებების ხალხური ცოდნა. მარცვლეულით ნათესი ნიადაგი სიმჭიდროვის თვალსაზრისით სუსტია და ფერდაზე წყალი მას ადვილად შლის, ხოლო იმავე ფერდაზე სათიბი ბალახის ფესვების სიხშირე და შეჯგუფულობა ნიადაგს სიმაგრეს აძლევს და სარწყავი წყალი მას ვერ შლის და ვერ რეცხავს, მაშასადამე, ადგილი აქვს კორდიანი ნიადაგის შექმნას, რაც ხელოვნური ეროზიის საწინაღმდეგო ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა და ვერც შევძლებდით სრულად გაგვეხილა საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიისა და ეთნოგრაფიის მრავალფეროვანი საკითხები, რომლებიც მელიორაციასთან არიან დაკავშირებულნი. ჩვენ ვცადეთ მხოლოდ ცალკეული მაგალითების საფუძველზე გვეჩვენებინა საქართველოს რთულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მელიორაციის ხალხური საწყისები. და ამასთანავე ყურადღება გაგვემახვილებინა იმაზეც, რომ ქართველი ხალხის ამ დარგის სამეურნეო-კულტურული მონაპოვარი მარტო წარსული ვითარების მეცნიერული შესწავლისა და ისტორიული თავისებურების დადგენისათვის კი არ არის გასათვალისწინებელი, არამედ სადღეისო მოთხოვნებისათვისაც.

როგორც ცნობილია, დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკრეტულ მეურნეობრივ დაგეგმვას, ხოლო ამ საქმეში ერთ-ერთი საიმედო და მარჯვე კრიტერიუმი შეიძლება იყოს მოცემული გარემოს ბუნებრივ-სამეურნეო კომპლექსის ასევე კონკრეტული ხალხური ცოდნა, დამყარებული ხანგრძლივ, მყარ საწარმოო ტრადიციებზე.

## 2. წყალი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით

მორწყვის საჭიროება უშუალოდ დაკავშირებულია კლიმატთან. მცენარეულის კარგ განვითარებას, მის მრავალფეროვნებას, მოსავლის რაოდენობას და ხარისხს განსაზღვრავენ სითბო და წყალი. დაახლოებით 30—35$^0$ საუკეთესო ტემპერატურად ითვლება.

ცნობილია, რომ, სადაც ტემპერატურა მაღალია, მაგრამ წყლის ნაკლებობის გამო, იქნება ეს ატმოსფერული ნალექები, თუ ხელოვნური მორწყვა, საჭირო სინესტე არ არის, იქ მცენარე ან სავსებით ვერ ხარობს, ან მისი განვითარება საგრძნობლად ფერხდება. სადაც ნესტი ბევრია, მაგრამ ნაკლებია სითბო, იქაც აგრეთვე ძნელად ვითარდება მცენარე, სხვა არის წყლის ხელოვნური დამატება იქ, სადაც ატმოსფერული ნალექები ცოტაა, ხოლო სითბო საკმარისი. მშრალი კლიმატი, კაშკაშა ნათელი მზით და მორწყვის შესაძლებლობით, განსაკუთრებით ხელსაყრელია მცენარეულისათვის, ასეთ პირობებში მიიღება არა მხოლოდ დიდი მოსავალი, არამედ მაღალი ხარისხის პროდუქტიც. კერძოდ, მშრალი, მზიანი კლიმატი, უღრუბლო დღეებით ხელს უწყობს მცენარეულში შაქრისა და არომატული ნივთიერებების განვითარებას.

ამ საკითხებს დაწვრილებით განიხილავს ა. ვოეიკოვი საინტერესოდ დაწერილ წიგნში „ადამიანი და წყალი“ და ბევრი საყურადღებო მაგალითიც მოჰყავს. ზაფხულობით მზის სითბოს ნაკლები რაოდენობისა და ხშირი ღრუბლიანი დღეების არაკეთილმყოფელ გავლენას მცენარეულზე ავტორი იაპონიის მაგალითზე აჩვენებს. მისი სიტყვებით იაპონური ბაღები რამდენადაც თვალისმომჭრელია და მიმზიდველი ხეხილის აყვავების პერიოდში (განსაკუთრებით ალუბლისა და ქლიავის ყვავილი), იმდენად მდარე ხარისხის ხილს იძლევიან, უგემური და უხეშია აქაური მსხალი და ატამი, წყლიანი და მჟავეა ყურძენი[3].

მორწყვის უშუალო კავშირი ძირითად ბუნებრივ ფაქტორებთან, როგორიც არის კლიმატი, რელიეფი, ჰიდროგრაფიული რეჟიმი, ნიადაგების შედგენილობა და მორწყვის სამეურნეო ეფექტის ამ ფაქტორებითვე შეპირობება უხსოვარი დროიდანვე აიძულებდა ადამიანს მოცემულ კონკრეტულ გარემოში გამოეძებნა და შეემუშავებინა უფრო მოხერხებული საშუალებანი და წესები ყველა ამ ელემენტის თავისებურებათა გათვალისწინებით, რათა საბოლოო ჯამში სასურველი შედეგი მიეღო. ეს იყო უთუოდ ხანგრძლივი საწარმოო დაკვირვებებისა და ძიების გზა. ძნელი დასანახი არ არის რომ მიწათმოქმედების ესა თუ ის დარგი, დამკვიდრებული ძველთაგანვე ამა თუ იმ ტერიტორიაზე, უკვე თავისი ხასიათით და განვითარების დონით ასახავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობისა და სამეურნეო შემოქმედების ისტორიულ სურათს, რასაც საფუძვლად უდევს ხალხის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე შემუშავებული პრაქტიკული საწარმოო ცოდნა და გამო-

---

3 А. В о е й к о в, Человек и вода, способы пользования водою и их географическое распределение, СПб. 1909. იხ. ამავე საკითხზე W. Rowald; Pflanze. Umwelt und Natur, Leipzig-Jena, 1959; M. S. Drower Watersupply, Irrigation and Agriculture. A. History of Technology, v. I. Oxford, 1955. ამ და ამ რიგის ბევრ სხვა ნაშრომში ყურადღება მახვილდება ბუნებრივ-სამეურნეო კომპლექსის ცალკე კომპონენტების თვისებრივ ნიშნებზე და მახასიათებლებზე. ბოლო წლებში კი, განსაკუთრებით ეკოლოგიური კვლევის იმ ასპექტის დაწინაურებით, რომელიც ცნობილია „გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლებით“ (Environmental Quality). საგანგებო ყურადღება მიექცა ამ მოვლენის როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ-რეგიონალურ პრობლემებს, იხ. მაგალითად, წიგნი Land Use, Urban Form and Environmental Quality, Chicago, Illinois, 1974, რომელშიც საგანგებოდ განიხილება ჰაერის, წყლისა და სხვა ბუნებრივი კომპონენტების ნიშან-თვისებები და მათი შინაგანი ურთიერთკავშირი; М. И. Л ь в о в и ч, Человек и воды (Преобразование водного баланса и речного стока), М. 1963; Р. Ф ю р о н, Проблема воды на земном шаре, Л., 1966.

ცდილება. და, რაც მთავარია, თვით ადამიანის შრომის პროცესი.

ჩვენ აქ მივუახლოვდით ზოგად სოციოლოგიურ პრობლემას შრომითი საქმიანობის მნიშვნელობისა და როლის შეფასებაში საზოგადოების განვითარებისა და პროგრესისათვის, ეს საკითხი რთული და მრავალასპექტიანი ფილოსოფიური საკითხია, მაგრამ ჩვენი მიზანდასახულობით ამ საკითხის სიღრმესაც და სისადავესაც ნათლად წარმოგვიდგენს კ. მარქსის ცნობილი სიტყვები კაპიტალის, როგორც სიმდიდრის წყაროს, წარმოქმნის პირობების შესახებ: „კაპიტალის სამშობლოა არა ტროპიკული ჰავა მისი დიდმშვენიერი მცენარეულობით, არამედ ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ მისი დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს და აიძულებს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელშიც იგი მეურნეობას ეწევა, გაამრავალფეროვნოს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები“[4]. ზუსტი და ბევრისმთქმელი აზრია. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ადამიანის მიზანსწრაფული შრომის მნიშვნელობა, რომელიც მიმართულია ბუნებრივ-საწარმოო ძალების მრავალფეროვანი კომპონენტების თავის სამსახურში ჩაყენებისაკენ.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ პირობებში მარქსი გულისხმობს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტულ თავისებურებებს, რომელიც ისტორიული განვითარების შესაბამისად იძლევა (ან არ იძლევა) შრომის პროცესების გამრავალფეროვნების საშუალებას.

ცხადია, რომ ისტორიულ ეპოქაში შრომის საშუალებების და შრომის წესების ცვლილება-განვითარება უშუალო კავშირშია ხალხის საწარმოო ყოფისა და კულტურის განვითარებასთან. მაშასადამე, ეთნიკური კულტურის, საწარმოო ყოფის, შრომითი ჩვევების ქმნადობა-განვითარებასთან.

კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო და სოციალურ-ისტორიულ პირობებთან საწარმოო ყოფისა და ტრადიციების კავშირის თვალსაჩინო მაგალითს საქართველო წარმოადგენს.

საქართველო ძველი და ამასთან, უაღრესად მრავალფეროვანი სარწყავი მიწათმოქმედების ქვეყანაა მდიდარი საწარმოო ტრადიციებით. ირიგაციის ფორმათა მრავალფეროვნებას განსაზღვრავდა ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულე, თავისებურება და

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, წ. I, თავი XIV, თბ., 1954, გვ. 647.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ხასიათი. უნდა ითქვას, რომ ძირითადად სარწყავი მიწათმოქმედების ბაზაზე ჩვენში ისტორიულად ყალიბდებოდა მრავალდარგიანი მეურნეობა. ამითვე იყო მნიშვნელოვნად შეპირობებული ეკონომიკური წინსვლა. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ჩვენი ქვეყნისათვის უფრო სპეციფიკური საკითხი:

საქართველოში ურწყავი მიწათმოქმედების ისტორიულად არსებობა სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიულ ურთიერთმიმართებას გასარკვევს ხდის, კერძოდ, გასარკვევია სარწყავი მიწათმოქმედების ადგილი და როლი ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მორწყვას საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მან უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ეკონომიკურ განვითარებაში[5]. ნათლად ჩანს, რომ მორწყვა, როგორც მიწათმოქმედების განუყრელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ელემენტი, თვით საქართველოს ტერიტორიაზევე უკავშირდება მიწათმოქმედების საწყისებს. ამავე ტერიტორიაზე აქვს განვლილი მას განვითარების ხანგრძლივი გზა. ამ შემთხვევაში მორწყვა უნდა განვიხილოთ საქართველოს მიწათმოქმედების, როგორც საერთო განვითარების, ისე, განსაკუთრებით, მისი დაწინაურებისა და მრავალფეროვნების ძირითადი ფაქტორი. საქართველოში ისტორიულად ურწყავი მიწათმოქმედებაც ვითარდებოდა და მან მნიშვნელოვან მასშტაბებსაც მიაღწია, მაგრამ ურწყავ მიწათმოქმედებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი მრავალფეროვნება და განვითარების მაღალი დონე, როგორსაც ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედებამ წარსულში საერთოდ მიაღწია. ამასთანავე კავშირში თავს იჩენს საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების ერთი ზოგადი ისტორიული თავისებურებაც: განსხვავებით თუნდაც ძველი აღმოსავლეთის ბარის ქვეყნებისაგან, სადაც მორწყვას გეოგრაფიული პირობების თავისებურებების გამო გადამწყვეტი, საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მიწათმოქმედების საფუძვლის, საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების ხეობური ან როგორც ზოგად ლიტერატურაშია მიღებული ოაზისური ხასიათი, მისი ზონალობა, ასევე ურწყავი მიწათმოქმედების არსებობის შესაძლებლობა, საქართველოს, როგორც

---

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან, თხზ., ტ. I, თბ., 1964; მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.

სამხრეთის ქვეყანას და როგორც ერთ მთლიან ორგანიზმს, იზღვევდნენ სამეურნეო კატასტროფებისაგან, რაც სხვაგან ხშირად მოსდევდა საირიგაციო სისტემების მოშლას[6].

საბჭოთა საქართველოში სარწყავმა მიწათმოქმედებამ აღმავლობა და ფართო განვითარება ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ განვითარებას ერთ-ერთ ხაზად მოჰყვება სამეურნეო ტრადიციულობა ირიგაციაში ცხოვრების თანამედროვე პირობებისა და დონის შესაბამისად. მაგრამ მთავარია მაინც ირიგაციის ახალი შესაძლებლობანი და მასშტაბები, დამყარებული საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე. ირიგაცია სულ უფრო წარმატებით დგება მეურნეობის განვითარების სამსახურში.

სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება საბჭოთა საქართველოში მრავალ ახალ თავისებურებას ავლენს ხალხის სამეურნეო ცხოვრებისა და სოციალური ყოფის სფეროებში. მოვლენათა შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ძირითადი მომენტი, რომ ირიგაციისა და სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების ბუნება სოციალისტურ სახელმწიფოში ახალი, ძველისაგან არსებითად განსხვავებული საფუძვლებით არის შეპირობებული.

პირველად შევეხებით საირიგაციო მეურნეობისა და სამეურნეო ყოფის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს, მეორე ნაწილში დავახასიათებთ მორწყვასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხებს.

მთა-გორიანობისა და რელიეფის უაღრესი დანაწევრების გამო საქართველოში მორწყვის ორგანიზაცია ძველთაგანვე მრავალფეროვანი ხერხების გამოყენების საჭიროებასთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი საჭირო ხერხთაგანი იყო წყლის წინასწარი შეგროვება და შემდეგ მისი ნაწილ-ნაწილ გამოყენება სარწყავად. მაგალითად, როგორც მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალის შესწავლამ თავის დროზე გვაჩვენა, ეწყობოდა წყალშესაკრები აუზები, სადაც გროვდებოდა მთის წყარო-ნაკადულების წყალი. ამ წყალს, შემდეგ, საჭიროების მიხედვით იყენებდნენ როგორც ჩვეულებრივი, ისე დატერასებული სამეურნეო ნაკვეთების მოსარწყავად[7].

---

[6] М. К. Г е г е ш и д з е, Ирригация и орошение как факторы социального развития М., 1970; Доклад на VII международном социологическом конгрессе. Варна, 1970, Болгария.

[7] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში,. თბ., 1961, გვ. 87.

წყლის შესაკრები აუზებისა და სხვა სათანადო ნაგებობების ნაშთები საკმაოდ მრავლად შემორჩენილა თბილისის სანახებშიც, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მცირე კავკასიონის მთის ხეობებში, რასაც ეთნოგრაფმა ჯ. სონღულაშვილმა მიაკვლია და ნაწილობრივ აღწერა კიდეც[8].

წყლის შეგროვების გარდასულ ტრადიციებზე უნდა მეტყველებდნენ დიდი წყალსაცავების ნაშთები წალკა-თრიალეთისა და დღევანდელი სომხეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ნ. მარმა აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავლად შემორჩენილი დიდი ქვის ძეგლები — ვეშაპები ლოკალურად სწორედ ასეთ დიდ წყალსატევებს დაუკავშირა და ვეშაპების ბუნების ახსნელად ხალხურ რწმენაში წყლის, უფრო ზუსტად წყაროს წყლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დაემყარა[9].

მაგრამ, როგორც ჩანს, წყლის შეკრების ეს წესი საქართველოს ყველა კუთხის სამეურნეო ყოფისათვის არ ყოფილა თანაბრად დამახასიათებელი, რაც, ალბათ, გასათვალისწინებელი იქნება ქართულ ეთნოგრაფიულ ატლასშიც. ყოველ შემთხვევაში, ეთნოგრაფიული მასალებით და მიწისზედა ნივთიერი ნაშთებით ეს ნათლად არა ჩანს. განსაკუთრებით ზუსტად მოჩანს წარსულში ეს წესი გამოყენებული მტკვრის ჩრდილოეთით, კავკასიონის კალთების ხეობებში. შეიძლება ეს აიხსნებოდეს ბუნებრივი პირობების თავისებურებებით, როცა რელიეფი ბუნებრივ იარუსებს არ ქმნის, როგორც ეს, ვთქვათ, იტალია-შვეიცარიის ალპებშია და თვით ჰიდროგრაფიული რეჟიმიც არ უწყობს ამას ხელს. სხვათა შორის, ამ თავისებურებას საგანგებო ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩვენ ქვეყანაში საკონსულტაციოდ მოწვეულმა ცნობილმა იტალიელმა ჰიდროტექნიკოსმა და მეცნიერმა ა. ომოდეომ[10].

შეიძლება ამ მოვლენას ე. ი. წყლის დიდი შესაკრებლებისა და საცავების მოწყობის ნაკლებ პრაქტიკას საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ეს თეორიულად შესაძლებელი იყო, სოციალურ-ეკონო-

---

[8] ჯ. სონღულაშვილი, მევენახეობა-მეღვინეობა დილმის ხეობაში (ხელნაწ., ვუთითებთ 1965 წ. წაკითხული მოხსენების მიხედვით).

[9] Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишапы, Труды ГАИМК, т. I, 1931, წერილი: Н. Я. Марр, Вишапы, გვ. 82—85. შდრ., Б. Пиотровский, Вишапы, Ереван, 1946, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 218—219.

[10] Омодео, Водные ресурсы Закавказья и их использование (перевод с итальянского), М.—Л., 1934, გვ. 82—85.

მიკური მიზეზები ჰქონდა, როცა ასეთი ნაგებობების მოწყობა ძნელი იყო და მით უფრო ძნელი ამ წყლის გამოყენება. თუ წარსულის ამ მოვლენას დღევანდელ ვითარებაში მიღწეულ სათანადო შედეგებს შევადარებთ, მაშინ, ეს ბოლო ახსნა უფრო რეალური გამოჩნდება, ე. ი. გადამწყვეტი მნიშვნელობისა გამოდგება სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი. წყალშეკრების ძველად საქართველოში გამოყენებული წესებისა და ტრადიციების აღდგენის გამოხატულებაა ისეთი დიდი წყალსაცავების მოწყობა, როგორიცაა თუნდაც თბილისის, სიონის, წალკის წყალსაცავები, რომელთაც „ზღვის“ სახელი ეწოდათ. იგივე კომპონენტი ექნება ჟინვალის კომპლექსს.

ამ ტიპის ნაგებობების მოწყობას დიდი სახსრები, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გამოყენება სჭირდება, რაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი. წყლით სარგებლობის თვალსაზრისითაც ასეთ ნაგებობას რეალური პრაქტიკული გამოყენება მხოლოდ სოციალისტური სოფლის მეურნეობის პირობებში შეიძლებოდა ჰქონოდა, როცა წყლის გამოყენებაში თანაბრობისა და გონივრულობის პრინციპია საფუძვლად აღებული.

ამ საკითხზე დაკვირვება ერთ საყურადღებო მხარესაც გამოავლენს. დღევანდელ პირობებში ჩნდება ტენდენცია, რომ ასეთი წყალსაცავების მოწყობა, მიუხედავად მათი საგრძნობლად დიდი მასშტაბებისა, დაუკავშირდეს მიკრორაიონებს და ე. წ. მცირე ირიგაციის ღონისძიებათა კომპლექსშიც მოხვდეს, როცა ადგილობრივი დანიშნულების სარწყავი სისტემები ადგილობრივი პირობების შეფარდებით ეწყობა ადგილობრივი სახსრებითა და რესურსებითვე. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო სპეციფიკა ამ მოვლენას სრულიად კანონზომიერს ხდის და, მაშასადამე, პერსპექტივასაც უქმნის.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში საამისო საინტერესო მონაცემებიც მოიპოვება, რომელთაგან აქ მხოლოდ ნაწილზე შევჩერდებით: თავის დროზე, შიგნით კახეთის სარწყავი მიწათმოქმედების საკითხებზე დაკვირვების დროს, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებდით ადგილობრივი რელიეფისა და ჰიდროგრაფიული რეჟიმის იმ თვალსაჩინო თავისებურებაზე, რომ აქ, განსაკუთრებით კი გაღმა მხარეში, კავკასიონის კალთების სხვა მონაკვეთებისაგან განსხვავებით, ღრმა ხეობები ანუ გამყოლი ხეობები არა გვაქვს ხეობის შიგნითა დასახლებით. საუბარი ეხება კავკასიონის კალთებს პანკისის ხეობიდან (ამ ხეობის ჩაუთვლელად) ლაგოდეხამდე. სოფლები,

როგორც წესი, აქ გაშენებულია სათითაოდ მდინარისა თუ ხევის პირზე, იქ, სადაც ესა თუ ის მდინარე თუ ხევი მთის კალთებიდან ალაზნის ველზე გამოდის. თავისებურებით ხასიათდება თვით ხევისა და მდინარის წყლებიც. წლიური ჩამონადენის მკვეთრი მერ-



სურ. 1. ივრის ხეობა. რუსხმული თიანეთის მიდამოებში
(ფოტო მ. გეგეშიძისა. 1969 წ.)

ყეობა და ზოგიერთი სპეციფიკური მხარე ამ წყლების სამეურნეო გამოყენებას აძნელებს (სურ. 1). ცნობილია ამ მხარისათვის დამახასიათებელი ღვარცოფები, სელური მოვლენები[11].

---

[11] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

სარწყავი მიწათმოქმედების მრავალფეროვან მხარეებში ეთნოგრაფიული თვალთახედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ინტერესი ახლავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს, ხოლო თავის მხრივ აქ, წყალსარგებლობის იურიდიულ ბუნებას, მისი უფლებრივი რეგულირების ფორმებს.

წყლის სამეურნეო გამოყენებას, განსაკუთრებით კი ირიგაციას ისტორიულად ერთი აუცილებელი ხასიათის თავისებურება ახასიათებს და მოსდევს. ეს არის მორწყვის ორგანიზაციაში, კერძოდ, საირიგაციო ნაგებობათა მოწყობასა და მოვლაში ძალების შეერთება, შრომის კოლექტიურობა, ასევე წყლის ხმარებაში ერთიანობა, წესრიგი. თავის მხრივ, ეს თავისებურება კონკრეტულ გამოვლინებას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ ისტორიასთან შეფარდებით. ასე იყო უძველესი დროიდანვე. ამის საუკეთესო მაგალითს ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები გვაძლევენ. კლასობრივ საზოგადოებაში ამ ღონისძიებებს სხვადასხვა ფორმა და გამოვლინება ჰქონდა — კოლექტიურობის ნებაყოფლობითი პრინციპი ხშირად ძალდატანებით იცვლებოდა, მაგრამ შეერთებული ძალ-ღონით სარწყავი ნაგებობების მოწყობის ფორმა, ანუ კოლექტიურობა ძალაში რჩებოდა.

ეს ფორმა დღეს, სოციალისტური სახელმწიფოს კოლექტიური მეურნეობის პირობებში, მით უფრო მნიშვნელოვანია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ადრევე მიექცა ყურადღება იმ გარემოებას, რომ შრომის კოლექტიური ფორმა ირიგაციაში საერთოდ ხელს უწყობდა საზოგადოების განვითარებას, როგორც მაორგანიზებელი ხასიათის მოვლენა. ეს შეხედულება, რომელიც დებულების ხასიათს ატარებს, პრინციპში სწორია, რის დადასტურებასაც გვაძლევს როგორც ძველი, ისე თანამედროვე ხალხების ისტორია.

შესწავლილი საკითხების ეს ასპექტი, ცხადია, საყურადღებო და მნიშვნელოვანია დღევანდელ ვითარებაში, როცა თვით მეურნეობის შინაარსიც და ფორმაც სოციალისტურია. ჩვენ დაკვირვებას ამ მიმართულებითაც ვაწარმოებთ.

როგორც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში იყო აღნიშნული, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და მთისძირა ზოლში ძველად მერუეების ინსტიტუტი არსებობდა. ადრე მერუეებს სოფელი ირჩევდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა უკვე დანიშვნითიც გამხდარა. ზოგჯერ სოფელს რამდენიმე მერუე ჰყავდა. მერუეებს ტერიტორიული ნიშნით უშუალოდ მეთაურობდნენ მერაბები, რომლებიც საწყალო ადმინისტრაციის

ოფიციალური წარმომადგენლები იყვნენ. ბეჭდური წყაროებისა და ყოფაში შემონახული ცნობების მიხედვით წყლის ნაკლებობას მეურნეები ანგარებამდე მიჰყავდა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფიული მასალა გარკვეულად მიუთითებს მორწყვის საქმეში სოფლის საერთო მონაწილეობაზე, სოფლის როლზე წესრიგის დაცვის დროს. ამის ნათელი გამოხატულება უნდა იყოს სარწყავი წყლის ქურდობისა და მიტაცების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და მათ შორის ისეთი მკაცრი ღონისძიება, როგორიც იყო დარბევა; ცნობილია, რომ ეს წესი სოფლის შიგნით მომხდარი სხვა შეუფერებელი და დაუშვებელი საქციელისათვის ხორციელდებოდა. მარბიელს სოფელივე გამოყოფდა და დაავალებდა დამნაშავის დასჯას. წყლის სამეურნეო გამოყენებასთან დაკავშირებით ეს წესი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ქართლსა და კახეთში ფართოდ დასტურდება[12]. როგორც ცნობილია, მორწყვის საქმეში სასოფლო წესრიგის დარღვევისა და ამის ნიადაგზე მოწყობილი დარბევის სიუჟეტი უდევს საფუძვლად ნ. ლომოურის საინტერესო მოთხრობას „ბედი უბედურთა“. რომელიც შიდა ქართლის XIX საუკუნის ყოფას ასახავს[13].

წყალსარგებლობის უფლებრივი რეგულირების სიძნელეებს ქმნის ერთი სპეციფიკური ვითარებაც, რაც, სხვათა შორის, საგანგებო დაკვირვების საგანი იყო XIX საუკუნეშიც კავკასიის საირიგაციო კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავების დროს[14]. ეს სიძნელეა თვით წყლის მიმართების განსაზღვრა მიწასთან. როგორც ცნობილია, სამხრეთის უმეტეს ქვეყანაში მიწა ეკონომიკური თვალსაზრისით წყალთან უშუალო კავშირში განიხილება, რადგან მიწა არაფერს არ წარმოადგენს წყლის გარეშე, ე. ი. მოურწყავად. აქედან წარმოსდგება წყალზე უფლების თავისებურებანიც. სამხრეთის ზოგიერთ ქვეყანაში კი, და მათ რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება, ამ მხრივ უკვე სხვა ვითარება გვაქვს. აქ წყლისა და მიწის ასეთი განუყრელი და ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირი არ არსებობს. მაშასადამე, აქ უკვე სხვაგვარი უფლებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას. ეს საკითხი იურიდიულ მეცნიერებაში აგრეთვე საგანგებო შესწავლის საგანია.

---

12 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.

13 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, მოთხრობები, თბ., 1959.

14 В. В. Д и н г е л ь ш т е т, О праве на воду Кавказ, 1881, №№ 109, 128, 129; მ ი ს ი ვ ე, Водовладение и ирригация, I, II, Тифлис, 1880—1883.

ერთი თავისებურებაც — წყლის რესურსების განსაკუთრებული თვისებები წყლის უფლებრივ ურთიერთობებს ანიჭებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც საერთოდ არ არის დამახასიათებელი სადგილმამულო ურთიერთობისათვის. ასე წყალსარგებლობა განსხვავებით მიწისსარგებლობისაგან, თავისი ბუნებით ერთობლივია, საერთოა; მაგალითად, ერთი და იგივე წყალსაცავი, როგორც წესი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნით (სამრეწველო, ჰიდროენერგეტიკული, კომუნალური, საირიგაციო, სასპორტო და სხვ.), ე. ი. ერთდროულად სხვადასხვა პირისა და ორგანიზაციის მიერ. ამ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასმელად, სარწყავად და სხვ. წყლის გამოყენება თვით ამ წყლის, როგორც მატერიალური სიკეთისა თუ სიმდიდრის ხარჯვას ნიშნავს, რაც არ არის დამახასიათებელი მიწათსარგებლობისათვის. აქედანვე გამომდინარეობს წყლის რესურსების უფლებრივი დაცვის თავისებურებანი. დასაცავი ობიექტის სპეციფიკური ხასიათი განსაზღვრავს აქ გამოყენებული დაცვის სახეობებისა და მეთოდების თავისებურებებსა და სირთულეს. წყლის რესურსების დაცვისათვის ისეთი ხერხები გამოიყენება, რაც არ იცის მიწათსარგებლობის ინსტიტუტმა (მაგალითად, სპეციალური დაცვითი ზონების შექმნა განსაკუთრებული უფლებრივი რეჟიმით და სხვ.). ამის საფუძველზე ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ საწყლო და სადგილმამულო-სამიწათმოქმედო სამართლებრივ-უფლებრივი ურთიერთობანი არ შეიძლება გაიგივდეს.

ზოგიერთ რესპუბლიკაში, და მათ შორის საქართველოშიც, შექმნილია საგანგებო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ახდენენ წყალსარგებლობის რეგულირებას. ასეთია, მაგალითად, დებულება წყალსარგებლობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში, მიღებული 1958 წლის 19 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. ამ დებულების თავისებურება ის არის, რომ ის ახდენს რეგლამენტირებას ერთდროულად არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობისას, არამედ წყალსარგებლობის სხვა სახეობებისასაც. იგი შეიცავს წყლის რესურსების გამოყენების ნორმებს სასმელად, სამკურნალოდ, სარწყავად, თევზჭერის, ხის დაცურებისა და სხვ. მიზნებისათვის. ყვარლის რაიონში „ჩალიანის" წყალსაცავის მოწყობაში საქმიანი მონაწილეობა მიიღეს წყალთა სასისტემო სამმართველომ, სატყეო მეურნეობამ, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სამუშაოზე ერთსულოვნად გამოვიდა ყვარლის, ჭიკაანის, კუჭატანის, წიწკანაანთ სერისა და სხვ. სოფლის მოსახ-

ლეობა, შეიარაღებული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო იარაღით და ასევე, ახალი ტექნიკით. გაიჩეხა „ჩალიანის“ ეკალ-ბარდი, საჭირო გახდა ასწლოვანი ხეების მოჭრა და ამოძირკვაც. ჩაგურგურას გასასვლელში დიდი ჯებირები ააგეს და მდინარეს ჩალიანისაკენ უყვეს პირი. მალე აქეთკენვე გადმოუშვეს ბურსის ერთი ტოტი. ასე დაიბადა მთებში ექვსი მილიონი კუბმეტრი ტევადობის წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა ახალი ტრადიციის მიხედვით „ყვარლის ზღვა“ უწოდა. ამჟამად მუშაობა გრძელდება, რომ „ყვარლის ზღვის“ წყალი მალე იქნეს მაქსიმალურად გამოყენებული სამეურნეო მიზნებისათვის.

„ყვარლის ზღვა“ ყოფის თვალსაზრისით სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. დასვენების დღეებში, ასევე ყოველ საღამოთი, მაღალი წიფლებითა და ცაცხვებით შემორკალულ „ზღვაზე“ მრავალი დამსვენებელი მოდის ახლო თუ შორეული სოფლებიდან. მოწყობილია საცურაო და საანკესო ადგილები, შემოღებულია ნავებით სეირნობა, ყოველთვის ბევრია ხალხი კაფე-რესტორანში, რომელიც „ზღვას“ გადაჰყურებს.

ირიგაციის საკითხებზე მსჯელობისას ჩვენ აუცილებლად ვთვლით გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილის ერთი მეტად საყურადღებო დაკვირვება, რომელიც მას საგანგებოდ აქვს შეტანილი გეოგრაფიაში. როგორც ცნობილია, ვახუშტი თავის აღწერილობებში დიდ ყურადღებას უთმობს წყლის სამეურნეო მნიშვნელობასა და გამოყენებას და ყოველთვის, სადაც კი ამის განსაკუთრებული საჭიროებაა, კონკრეტულად გადმოგვცემს ამა თუ იმ წყლის სარწყავად გამოყენების თავისებურებებს. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა მდინარე ლიახვის დახასიათება. ვახუშტი წერს: „არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი და მოვანი, საჭმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათჳს. თევზნი მრავალნი, რომელნი ველი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“ (ვახუშტი, აღწერა... 1941, გვ. 75). როგორც ვხედავთ, ამ ბოლო წინადადებაში ხაზი აქვს გასმული ლიახვის წყლის განსაკუთრებულ თვისებებს და მნიშვნელობას მორწყვაში. მართალია აქ ლაპარაკია ლიახვით მორწყული პურის ხარისხზე, გემოზე და ფერზე, მაგრამ უდავოა, რომ იგულისხმება ლიახვის წყლის საუკეთესო თვისებების მოქმედება საერთოდ სარწყავ კულტურებზე. ამას ადასტურებს ყოფაში დღემდე შემონახული ხალხური შეხედულება, რაც ხანგრ-

ძლიერი ტრადიციების ასახვას უნდა წარმოადგენდეს. ამასთან და-
კავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ასეთი დაკვირ-
ვება: ქარელის სამეურნეო ნაკვეთების მნიშვნელოვანი ნაწილი
მტკვრის წყლით ირწყვება. სალთვისის არხის გაფართოების შემ-
დეგ ბენზინიდან რკინის მილებით, რომლებიც ხიდზეა დაკიდებუ-
ლი, ქარელში გადაყვანილია სასმელი წყალი. ზოგიერთი მეურ-
ნე ამ წყაროს დღეს ხეხილის სარწყავად იყენებს და სრულიად
აშკარაა ამ წყლის განსაკუთრებით კეთილმყოფელი გავლენა ნა-
ყოფზე. ამ წყლით მორწყული ხილი უფრო ხარისხიანია, ტკბილი,
არომატული (ცნობა მოგვაწოდა ქარელის მცხოვრებმა იოსებ
ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილმა, 1963).

მაგრამ არა მარტო ამ მდინარის (ლიახვის) თვისებების შესა-
ხებ არის ხალხში შემონახული ცოდნა. ყოფაში გვხვდება ძალზე
კონკრეტული და ზუსტი ცნობები სარწყავად გამოყენებული წყა-
როს, ხევისა თუ მდინარის წყლების შესახებ, ირკვევა მათი და-
დებითი თუ უარყოფითი თვისებები მორწყვაში, უფრო მეტიც,
მათი მნიშვნელობა ცალკეული კულტურებისათვის.

ეჭვი არ არის და ეს კარგად ჩანს სპეციალური (სოფლის მე-
ურნეობის, ბოტანიკური და სხვ.) გამოკვლევებიდან, რომ სარწყავ
წყალს ქართლ-კახეთისა და მესხეთის მეხილეობის განვითარების
საქმეში განსაკუთრებული როლი მიუძღვის. სარწყავი წყალი ამ
შემთხვევაში უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ არა როგორც
მარტო მაცოცხლებელი ნესტის შემტანი მცენარეში, ისევე, რო-
გორც ეს გვალვის დროს წვიმას შეუძლიან, არამედ როგორც ფაქ-
ტორი შემოქმედებითი სამეურნეო ძიებისა ხეხილის ჯიშთა შექმ-
ნა-დამკვიდრების მრავალსაუკუნოვან „გლეხურ ლაბორატორიულ
პრაქტიკაში". ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია ხალხური
დიფერენცირებული ცოდნა ხეხილის ცალკეულ სახეობათა მორ-
წყვის რეჟიმისა სარწყავი წყლის თვისებების გათვალისწინებით
(წყლის შემადგენლობა, ტემპერატურა და სხვა), თვისებრივი შე-
დარება ურწყავისა და სარწყავის ხილისა. ნათქვამიდან გამომდი-
ნარეობს კულტურულ-ისტორიული ხასიათის ზოგადი კითხვა—შე-
იძლებოდა თუ არა ურწყავ პირობებში ისტორიულად ჩამოყალიბე-
ბულიყო ქართლის ბაღები ან მესხეთის ხეივნები, და შეიძლებოდა
თუ არა აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობას ხელოვნური
მორწყვის გარეშე მიეღწია ჯიშთა ისეთი სიმრავლისა ან განვითა-
რების ისეთი დონისათვის, როგორსაც მან წარსულში მიაღწია.
განვითარების ეს პროცესი ხომ დღესაც ჩვენს თვალწინ მიმდინა-
რეობს.

## 3. ბუნებრივ-საწარმოო ძალთა ხარისხობრივი ნიშან-თვისებები ქართულ ტოპონიმიკაში

ხალხურ შეფასებაზე დამყარებული ბუნებრივ-საწარმოო ძალებისა და რესურსების თვისებრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების, მათი ნატურული პოზიციის და ადამიანის მიერ მათი სასარგებლო გამოყენების შესაძლებლობის სურათის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ტოპონიმიკურ მონაცემებს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამეურნეო მიკროტოპონიმიკა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში ცოცხალ სასაუბრო ენასთან კავშირში განიხილება[15] და ამავე ენის საფუძველზე აიხსნება. თუმცა არის ცალკე შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ სამეურნეო ტოპონიმის აზრობრივი შინაარსი ამჟამად უკვე ჩამქრალია და მის აღსადგენად სოციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევაა საჭირო[16]. არაფერს ვამბობთ საკუთრივ ისტორიულ-გეოგრაფიულ, ენათმეცნიერულ ძიებებზე, რომელიც დღეს ფართო ფრონტით გაიშალა და შედეგებიც მნიშვნელოვანია.

ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ტოპონიმიკური მასალა ნაირგვარი ფორმით შემოინახა.

იმგვარი ტოპონიმების ფართო ჯგუფში, სადაც ბუნებრივი საწარმოო ძალების ცალკე კომპონენტებია ასახული, აშკარად გამოიყოფა მზესთან და მის ნათებასთან დაკავშირებული ტოპონიმები. გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს უკავშირდება გამოთქმა „ცხრათვალა მზე", რომელშიც მახვილი უკეთდება მზის განსაკუთრებული სამეურნეო მნიშვნელობის თვისებას (აკად. ნ. კეცხოველი). რადიაციულ ინსოლაციური ნიშან-თვისებით არის შეფასებული ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წერილობით ძეგლში ხმარებული გამოთქმა „მზის „მცხინვარება" (აკად. ი. ჯავახიშვილი). საკუთრივ ტოპონიმიკაში ამ მხრივ ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინება მ ზ ვ ა რ ე და მისი სა-

[15] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა (არაგვისა და ქსნის ხეობების მასალის მიხედვით), თსუ, შრ. XVI, 1949; ნ. კ ა ხ ი ძ ე, მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე, „მაცნე", 1966, № 3.

[16] შდრ. მ. გეგეშიძე, კოჯორი (ტოპონიმიკური დაკვირვება); კრებ. საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხები, მიძღვნილი აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბ., 1966; ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ტოპონიმიკური ძიებანი (კრობანი), მოხსენება ონომასტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ I რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე, თბ., 1980.

პირისპირო ჩრდილი რეგიონალური შიდა ვარიაციული სხვაობებით (მზვარი, ზვარე, მზორე, ჩდილო, ჩირდილი და სხვ)[17].

მზვარე და ჩრდილი შიდარეგიონალური ტოპონიმიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ჩანს მთელი საქართველოსათვის და ეს ბუნებრივიც არის, რადგან იგი გამომდინარეობს თვით ქვეყნის ობიექტური თავისებურებებიდან — მეტად თვალსაჩინო რელიეფური დანაწევრებისაგან. თავის მხრივ ეს ობიექტური პირობა საფუძვლად უნდა დასდებოდა ცხოვრების ხეობურად მოწყობის წესს, სადაც მზის და ჩრდილის მხარეებს სასოფლო მეურნეობაში წარმოების პროცესის თავისებური მარეგულირებელი ფუნქცია უნდა შესძენოდათ. მზისა და ჩრდილის მხარეების თვისებრივი განსხვავება, ჩანს, ძალზე ადრევეა საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის მიერ შემჩნეული, ხოლო ეს მოვლენა გამოხატულებას პოვებდა ჩვენთან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, დასახლების ფორმებსა და ორგანიზაციაში[18], სამეურნეო-საწარმოო საქმიანობაში და სხვაგან. სამეურნეო საქმიანობის სფეროდან ერთ პატარა მაგალითს დავასახელებთ. ზემო სვანეთში მზიან ადგილებში (ლამუჟ) და ჩრდილიანში (ლამპორალ) მოსული საქონლის საკვებ ბალახს ხალხი ერთმანეთისაგან თვისებრივად განასხვავებდა. საუკეთესო ბალახი კაფხვირი, რომელიც რძიანი და ყუათიანი იყო, მთის მზიან ადგილებში იზრდებოდა როგორც სამოვარზე, ისე სათიბში. ამას უახლოვდებოდა თვისებით მეორე ბალახი მულჯა. ამ ბალახების სიკეთეს ერთიორად ზრდიდა სამოვარ-სათიბების სიახლოვე მჟავე წყლებთან—ეს უკანასკნელი მადას უხსნიდა საქონელს. შემჩნეული აქვთ ისიც, რომ მზის გულის ბალახი თივისათვის უკეთესია, რადგან მალე ხმება, ამავე დროს ხმობაში ცოტას კლებულობს, ვიდრე ჩრდილიანის ბალახი. ტოპონიმებში ბუნებრივ-საწარმოო ძალების ცალ-ცალკე ელემენტის თვისებრივი ნიშნების ხალხური შეფასება და ასახვა შეიძლება ჰიდრონიმული წარმოშობის გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც თვალსაჩინოდ დავინახოთ.

---

[17] მაგ., სპეციალური გამოკვლევით აკად. ს. ჯიქიას დადგენილი აქვს, რომ ახალციხის საფაშოს პარალელური სახელწოდება ჩილდირი (ჩილდირის ვილაიეთი) ქართული წარმოშობისაა, რომ ჩილდირი მომდინარეობს ქართული სიტყვისაგან „ჩრდილი", რომელიც თურქულად გადმოცემულ იქნა ჩილდირის ფორმით და შემდეგ ამ სახით ჰპოვა მან გავრცელება (ს. ჯიქია, მზ ვარე ჩრდილი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 41, 1950).

[18] В. Ш. Джаошвили, Население грузии, Тб., 1968.

შეიმჩნევა, რომ ქართულ გეოგრაფიულ ონომასტიკონში ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების ერთი ნაწილის შიგნით ურთიერთშორის შინაარსობრივი სიახლოვე არსებობს, შეიმჩნევა აგრეთვე ამ სიახლოვის ახსნის შესაძლებლობა გენეტიკურ-სემასიოლოგიურ საფუძველზე. ძიების ერთ-ერთ საიმედო საყრდენად ჩანს ამ მოვლენების დაკავშირება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივ-საწარმოო ძალების განვითარების საერთო სპეციფიკასთან. ამ შემთხვევაში გამოყოფით არის განსახილველი წყლის სამეურნეო ფუნქცია, რასაც ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესში მრავალფეროვნება წარმოუქმნია. აქ მთავარი ჩანს წყლისა და მიწის ბუნებრივ-სამეურნეო შეერთება, რაც საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოვლენაა და რაც ადრევე შეუმჩნევია ადამიანს, რომელსაც ბუნებრივ საწარმოო ძალთა ასეთი „ურთიერთშეღწევა“ ძველთაგანვე მეურნეობის განვითარების სასარგებლო სამსახურში ჩაუყენებია.

„წყალხმელეთის“ მჭიდრო მეურნეობრივი სიახლოვე საქართველოსათვის ობიექტური დამახასიათებელი და ამავე დროს გამართლებული მოვლენა ჩანს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებას და ცხოვრების ხეობურად მოწყობის ისტორიულ აუცილებლობას. ს. ორბელიანის ლაკონურ განმარტებაში — „ხეობა — ერთ წყალზე ბევრი მოსახლე“, ცხადია მოვლენის მარტო სოციალური მხარე არ იგულისხმება.

უთუოდ ხ ე ო ბ ი ს შინაარსისაა ხ ე ვ ი ც, მაგრამ უფრო მცირე ფორმით და მასშტაბით. თავდაპირველი შინაარსით ხევიც წყალთან (მდინარესთან) დაკავშირებული მოვლენაა. საყურადღებოა, რომ სემასიოლოგიურად (ფუძისეული და ძირეული მასალა) ეს სიტყვა წყალთან სიახლოვეს ამჟღავნებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. მეორადი მოვლენა უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ხევის სოციალურ-ადმინისტრაციული და გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური ფუნქცია (ხევი, ხევისთავი, ხევისბერი...).

სამეურნეო მიზანშიმართულებით ბუნებრივ საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე ადგილი ჰქონდა ჰიდრონიმების ფუნქციურ ტრანსფორმაციას, რის გამოც იცვლებოდა თვით არსებითი სახელის თავდაპირველი შინაარსი: სიტყვაში ჭ ა ლ ა ძირეული ენობრივი მასალა, როგორც ფიქრობენ (აკად. ნ. კეცხოველი), წყალს უკავშირდება. ქართველურ ენებში წ და ჭ ბგერების ურთიერთმიმართების კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში ადრევეა დადგენილი. ამიტომ აქ შესაძლოა ვიგულვოთ გან-

ვითარების მსგავსი გზა: წ-ალ ჭ-ალ. საყურადღებოა სვანურში მდინარის აღმნიშვნელი კომპოზიტური წარმოების სახელწოდებებში ჭ ა ლ -ის შემონახულობა (მულახჭალა, მესტიაჭალა, კალაჭალა...). საყურადღებოა აგრეთვე აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ერთ-ერთი სამეურნეო ხერხი, რომელსაც გ ა ჭ ა ლ ა-ვ ე ბ ა ეწოდება და რაც იმაში მდგომარეობს, რომ სათიბებს გარკვეული მოსაზრებით მოჩვეტებულად რწყავენ (ნ. ჩიჯავაძე, ნ. კახიძე). საგულვებელია, რომ განვითარების ხანგრძლივ პროცესში, საკუთრივ ქართულ ენაში სიტყვის „ჭალა"-ს შინაარსი გაფართოვდა და იგი მდინარის გასწვრივი მიმდებარე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელიც გახდა. უფრო მეტიც, იგი იქცა ამავე ადგილებში მდებარე ტყეების აღმნიშვნელ სპეციალურ სახელადაც (ჭალა, ჭალაკი). აქაც საიმედოა საბას მოკლე და ზუსტი განმარტება: „ჭალა-წყლის პირი ნაყოფიერი". ნაყოფიერებისათვის ხაზგასმა აქ სავსებით კანონზომიერია, რადგან, როგორც ეს ეთნოგრაფიული ყოფის მონაცემებითაც დასტურდება, ყველა წყლის (მდინარის) პირი ადგილი ჭალად არ ითქმის და ასეთში იგულისხმება მხოლოდ ისეთი წყლიანი გარემო, რომელთანაც ადამიანს უხსოვარი დროიდან სამეურნეო კონტაქტი აქვს. არქეოლოგიურადაც დადასტურებულია ხეობათა დაბალ, მდინარის გასწვრივ სარტყელებში ადგილმდებარეობის სამეურნეო სიკეთე, რაც ალუვიალური ტერასული დანალექების სიუხვით აიხსნება, ამდაგვარი მოვლენები ცხოვრების ხეობური წესისათვის არის დამახასიათებელი და იგი საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ჩანს.

ამიტომვეა საქართველოში წყალთან დაკავშირებული ტოპონიმების მრავალფეროვნება, რაც არა მარტო ენის კუთხური ნაირგვარობით გამოიხატება და აიხსნება, არამედ სამეურნეო სარგებლიანობის თვისებრივი სხვაობის ნიშანიც აქვს. მაგალითად გამოდგება სავარაუდო საერთო საფუძვლის მქონე ჰიდრონიმ-ტოპონიმთა ერთი ჯგუფი ნ ო ყ ა, ნ ო ყ ო, ნ ო ღ ა, რომლებშიც მახვილი უკეთდება წყლიანი გარემოს მიკროეკოლოგიურ თავისებურებას — ნაყოფიერებას. სავარაუდოა ცნებების ნ ო ყ ი ე რ ი, ს ი ნ ო-ყ ი ე რ ე წარმომავლობა ნოყ-ა-საგან. ნ ო ყ ი ე რ ი ამჟამად საზრდოს თვისების აღსანიშნავადაც იხმარება, მაგრამ უფრო ადრე იგი კარგი მოსავლის მომცემი, პოხიერი ნიადაგის თვისების გამომხატველი უნდა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო. ამ სხეულების ფუძისეულ მასალაში გასარკვევია ნ ო ყ-ა-ს (ნოყ-ო-ს) და ნ ო ღ ა-ს ურთიერთმიმართება. ნ ო ღ ა დას. საქართველოს ყოფის მონაცემებით მდინარის გასწვრივ ნაყოფიერი ადგილია, რომელიც, ჩვეულებრივ, მდი-

ნარის მიერ არის მოლეკილი (მოსილული), ამ სახელს უწოდებენ შავ მიწასაც. ცნების სამეურნეო-საწარმოო მნიშვნელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული გეოგრაფიული სახელი ნ ო ღ ი ა და ჰიდრონიმები — პატარა მდინარეები ნ ო ღ ე ლ ა და ნ ო ღ ა ლ ე ჯ ი სამეგრელოში, ნოღა ქალაქის ცნების აღსანიშნავად მეორადი მოვლენა უნდა ჩანდეს.

წყალი და წყალთან სიახლოვე უნდა მონაწილეობდეს იმ ლექსიკურ მასალაშიც, რაც საფუძვლად უდევს მერე-ს ტიპის ონომასტიკურ ჯგუფს (მერისი, მერეთი, მერია, ჩხერიმელა||ჩხერისმელა და სხვ.). ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, რაც ისტორიულ წყაროებზე აქვს დამყარებული, მერე ეწოდებოდა მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს. ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ასეთი ვაკე ადგილები უფრო ნაყოფიერი იყო.

ასეთ საკითხებზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია ხალხის მიერ ადრევე შემჩნეული ის თავისებურებაც, რომ თვითონ მდინარის წყლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სამეურნეო სარგებლიანობის თვალსაზრისით. მათ რომ სპეციფიკური ნიშან-თვისებები ჰქონდათ, უთუოდ ხალხის კონკრეტულ ცოდნაზე დამყარებით აქვს თქმული ვახუშტის შემდეგი სიტყვები: „არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი. მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი და ფშოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი... რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვთა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი და სპეტაკი. გორის ზევით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგევისა წყალნი“ (ვახუშტი, აღწერა... 1920, გვ. 75).

სამეურნეო-საწარმოო მნიშვნელობის „შეწყალებულ“ ჰიდრონიმ-ტოპონიმებში, რომელთა ნაწილია აქ წარმოდგენილი, დასტურდება ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურება — ლექსიკური ძირეული და ფუძისეული მასალა თითქმის მთლიანად ქართულ-ქართველურია. ეს კი განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ფაქტია, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებისა და მეურნეობის დიდ სიძველესა და განვითარების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

## თავი მესამე

# ეკოლოგიური ასპექტი სოფლის დასახლებათა კულტურულ-ისტორიულ ტიპოლოგიაში

### 1. საერთო დახასიათება

ცნობილია, რომ სოფლის დასახლებათა კულტურულ-ისტორიული რაობისა და, განსაკუთრებით მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური სპეციფიკის განსაზღვრაში მთავარ საზომად გამოიყენება, როგორც წესი, ისტორიულ წარსულში წარმოქმნილი და ჩამოყალიბებული დასახლებისა და ნაგებობების ტიპების მეტ-ნაკლებად სტაბილური ფორმები, ხოლო მათი გენეტიკური განვითარების კვლევაში ასევე ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ცხოვრების სოციალური ორგანიზაციის ფორმები გვევლინებიან.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული ფორმების გამოხატულება, იქნება ეს დიდი თუ პატარა ოჯახების თანაცხოვრება, გვაროვნულ-ნათესაური პრინციპებით განსახლება, თავდაცვის სოციალური ორგანიზაცია და სხვ., მაინც დამჯდარი, მკვიდრი ცხოვრების ხასიათი და ცხოვრების შინაარსი სასოფლო დასახლებაში განპირობებულია არსებობის საშუალებათა წარმოების წესითა და ფორმებით. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს და განსაზღვრავს სასოფლო ცხოვრების იერს, დასახლების ტიპებსა და ფორმებს[1].

იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის რთულ და მრავალფეროვან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, განსაკუთრებით მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის ზედა სარტყლებში, წარმოების წესისა და კონკრეტული ფორმების წარმოქმნა-განვითარებაში გადამწყვეტ

---

[1] Г. И. Романова, Учет экологических требований при формировании системы расселения, Тезисы докладов Всесоюзного совещания по географии населения, Тб., 1979; В. С. Жекулин, Оптимизация отношений в сельской местности человека с природой, Тезисы докладов Всесоюзного совещания по географии населения, Тб., 1979.

როლს თამაშობდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, როგორც ობიექტური მოვლენა, საჭირო ხდება სასოფლო დასახლებების და განსახლების ტიპოლოგიაში არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიურ ასპექტებს. ეჭვს არ იწვევს ის, რომ სასოფლო ცხოვრების პირობებში მეურნეობრივი ტიპების საწარმოო მიმართულებისა და პროფილის, დასახლების ორგანიზაციის განსაზღვრასა და განვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორად გამოდიოდა ადგილობრივი ბუნებრივი წარმოო ძალების თვისებებისა და შესაძლებლობების სწორი და გონივრული შეხამება ადამიანის შრომის პროცესებთან. ამ მხრივ საქართველოს რთულ პირობებში შეიძლება საერთოდ გამოიყოს რეგიონალური, ლოკალური კომპლექსები, რომელთა სისტემური შესწავლა შუქს ფენს ადგილობრივი ბუნებრივი საწარმოო ძალების კორელაციურ ურთიერთობასა და ურთიერთმოქმედებას საზოგადოებრივ-სამეურნეო შრომის პროცესში[2].

საწარმოო პროცესების სტრუქტურიზაცია ნათლად გვაჩვენებს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს კომპონენტების განსხვავებულ თავისებურებებს სასოფლო დასახლებების მიკრორეგიონებში (მზის რადიაცია, რელიეფური ექსპოზიცია, მიკროკლიმატი, ჰიდროგრაფიული რეჟიმი, ნიადაგები, ეროზიული პროცესები, ბუნებრივი სტიქიები და სხვ.).

ამ მოვლენის გაუთვალისწინებლად ძნელია, მაგალითად, აიხსნას ისეთი ფაქტების მიზეზები, როცა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ერთნაირ, მაგრამ ტერიტორიული ნიშნით განსხვავებულ მთურ მიკრორეგიონებში ადამიანთა განსახლება და მათი დასახლებები ისტორიულად წარმოიქმნებოდნენ ერთ შემთხვევაში ღრმა ხეობების ძირზე მთის მდინარეთა სანაპიროს გაყოლებით (როგორც, მაგ., ზემო სვანეთი), სხვა შემთხვევაში კი, მდინარეთაგან საგრძნობლად დაშორებით— მთების შემაღლებულ ქედებზე, ამ ქედების ჰორიზონტალებზე (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი) (სურ. 2). ასეთივე მიდგომა სჭირდება მისი ტერიტორიის სამეურნეო დატერასების ეფექტურობისა თუ არამიზანშეწონილობის ახსნას,

---

[2] А. А. Ткаченко, Факторная экология в приложении к сельскому расселению, Тезисы докладов всесоюзного совещания по географии населения, Тб., 1979, А. Д. Лебедев, В. С. Преображенский, Е. Л. Райх, Антропоэкологический аспект проблемы «человек-среда», Изв. АН СССР, сер. геогр., 1972, № 4; Ю. В. Медведков, Расселение в свете представлений об антропоэкосистемах, в сб. «Развитие и регулирование систем расселения в СССР», М., 1974.

მთური (მცირე) ირიგაციის არათანაბარი გავრცელების მიზეზების ძიებას, მესაქონლური მეურნეობის შიდარეგიონალური პრაქტიკის კანონზომიერებათა შესწავლას და რიგი სხვა მოვლენი-

თუ ფაქტორის თავისებურებათა გარკვევას, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებდნენ სასოფლო დასახლებების თვისებასა და ხასიათზე.

შეიძლება დასმული პრობლემის შემადგენელ და ამავე დროსვე დამოუკიდებელ ნაწილად იყოს განხილული ე. წ. მთური კოშ-



სურ. 2. დასახლება აღმ. საქართველოს მთაში. სოფ. გერგეტი. უკან ყაზბეგის მთა. (ფოტო მ. გეგეშიძისა. 1967 წ.)

კური კულტურა. ამ საკითხის უპირატესმა შესწავლამ „მუდმივი გვაროვნული წყობილებისა“ და სოციალური დეტერმინიზმის კუთხით, დაამკვიდრა სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიურად აშკარად ცალმხრივი შეხედულება, რომელიც მაღალმთიანი ზოლის კოშკების (პირველ რიგში სვანური კოშკების) გენეზისსა და ფუნქციურ დანიშნულებას უკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ გვაროვნული გაერთიანებების შინაგან სოციალურ კონფლიქტებს ანდა გარეშე მტრებს თავდასხმებისაგან და-

ცვის უზრუნველყოფის საჭიროებებს. მიგვაჩნია, რომ ასეთი ფუნქცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთადერთი.

მთური ცხოვრების ეკოლოგიური კანონზომიერებების შუქზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაღალმთიანეთის განსაკუთრებით სპეციფიკურ გეოგრაფიულ რეგიონებში, როგორც, მაგალითად, დიდი კავკასიონის მარადთოვლიანი მთების მიმდებარე საცხოვრებელ არეალებში იალბუზის სამხრეთ და ჩრდილო კალთების უშუალო სიახლოვეს, ადგილი აქვს კოშკების სიმრავლეს და მათი განლაგების სისტემა ისტორიულად დაკავშირებულია ღრმა ხეობების ქვედა სარტყელების დასახლების თავისებურ ტიპთან, სადაც გარშემორტყმული ზვავსაშიში მაღალი მთების პირობებში სტიქიური უბედურებისაგან დაცვის ერთადერთ საიმედო გარანტიას წარმოადგენდნენ მაღალი და ამავე დროს უაღრესად ტკიცე და მკვიდრი კოშკები განსაკუთრებით მაგარი საძირკვლით, დასმული პრობლემის ამ მიმართულებით შემდგომ შესწავლას უდავოდ სტიმულს მისცემს მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის (ხელმძღვანელი პროფ. გ. ტუშინსკი) არქეოლოგიურ-გეოგრაფიული საველე კვლევა-ძიების შედეგები იალბუზის ახლო გარემოში ზელენჩუკისა და არხიზის რაიონებში.

აღნიშნულ საკითხებზე, ამ წიგნში, ცოტა ქვემოთ წარმოდგენილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა, რასაც თან ახლავს ავტორის აზრი და მოსაზრებანი პრობლემის ცალკე ასპექტების მიხედვით.

საერთოდ აღიარებულია, რომ ეკოლოგიურ კულტურულ-ისტორიულ გამოცდილებას არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ის მნიშვნელოვანია და საჭიროა ეკონომიკური და სოციალური აქტივიზაციის თანამედროვე რთული პრობლემების გადაწყვეტისათვისაც.

## 2. ბუნებრივი სტიქიები. განსახლებისა და დასახლების ფორმები (სვანური კოშკი)

სვანური კოშკი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო ხელოვნების თვალსაჩინო მიღწევაა და ამიტომ იგი, სავსებით კანონზომიერად, განიხილება კულტურის დამოუკიდებელ ელემენტად. კოშკური ტიპის ნაგებობანი საქართველოს ტერიტორიაზე ბარადაც და მთაშიც საკმაო რაოდენობით შემორჩა, მაგრამ, როგორც ვიცით, არც წარსულში და არც ახლა ამ კოშ-

კებს რაიმე ნიშნით — ან ტერიტორიულით, ან ტიპოლოგიურით თუ სხვა, დამოუკიდებელი კრებითი სახელწოდება არ მიუღიათ. სვანური კოშკი კი ამ მხრივ მართლაც გამონაკლისს წარმოადგენს და ლირსეულადაც აქვს მოპოვებული საკუთარი სახელი. ამ სახელს მისი საკუთარივე, საკმაოდ სპეციფიკური სახე განაპირობებს. დღეს ამაში ჩვენ ყველანი, პირველ რიგში, ესთეტიკურ მხარეს ვამჩნევთ და წამოვწევთ წინ. სვანური კოშკის იდეალე და სილამაზე სადად და მოხდენილად შერწყმული მაღალმთიან ბუნებრივ გარემოსთან, მიმზიდველ ლანდშაფტურ ერთეულს ქმნის საქართველოს რელიეფურ ნაირგვარობაში.

დღეისათვის სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში გაბატონებული ადგილი უჭირავს შეხედულებას, რომ საცხოვრებელ კომპლექსში მოცემული სვანური კოშკი თავისი დანიშნულებით საბრძოლო იყო, ემსახურებოდა საბრძოლო თავდაცვის მიზნებს[3]. ამასთანავე ახლოს დგას ფართოდ დამკვიდრებული შეხედულება, რომ თავისი წარმოშობა-მიკუთვნებულობით სვანური კოშკები გვაროვნულია[4], ე. ი. კოშკს ფლობდა გვარი და გვართა შორის შინაგანი შფოთისა და შუღლის დროს კოშკი იყო თვისტომთაგან თავდაცვისა თუ მათთან ბრძოლის საშუალება[5].

ეს შეხედულება სამართლიანად არის გაკრიტიკებული სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[6].

სოციალური არქაულობის კუთხით არის შეფასებული სვანური კოშკი, როგორც მთური ნაგებობა, ფართო დანიშნულების საცნობარო ლიტერატურაშიც, რაც, სამწუხაროდ, ცალმხრივ და, უფრო მეტიც, მცდარ წარმოდგენას აძლევს მკითხველს ქართული ყოფისა და მატერიალური კულტურის ამ შესანიშნავი ძეგლის შესახებ. ასე, გამოიყურება, მაგალითად, მთური კოშკების შეფასება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში ქართველების შესახებ დაბეჭდილ წერილში[7], სადაც საქართველოს მთის ისტო-

---

[3] იხ. გ. ს ო ხ ა შ ვ ი ლ ი, სვანეთი, თბ., 1971, გვ. 6—7:

[4] საცნობო დანიშნულების რუსულ გამოცემებში, ჩვეულებრივ იხმარება სახელწოდება «Родовые башни».

[5] Г. И. Л е ж а в а, М. М. Д ж а н д и е р и, Архитектура Сванети, М., 1938.

[6] В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 211, 212.

[7] იხ. БСЭ, т. VII, 1972, წერილი, Грузины, შდრ. Советская историческая энциклопедия, т. IV, 1964, წერილი—«Грузины».

რიული ჩამორჩენილობისა და კულტურული შეზღუდულობის ნიმუშად სისხლის აღების წესისა და მთური „პრიმიტიული" საცხოვრებლის გვერდით თავდაცვის მთური კოშკური ნაგებობაც არის დასახელებული. აქ, ამ შემთხვევაში, რამდენიმე შეცდომაა ერთად დაშვებული და პირველ რიგში ის, რომ საქართველოს მთის ყველა კოშკის ფუნქცია გაიგივებულია და დაყვანილია საბრძოლო-თავდაცვით დანიშნულებამდე. მთავარი მიზანი ყოველივე ამისა ალბათ ის არის, რომ ამ ნიშნების საფუძველზე საქართველოს მთაში, კერძოდ სვანეთში, ისტორიულად გახანგრძლივებული გვაროვნული წყობა ან მისი ძლიერი „გადმონაშთები" ეძებონ, მაშასადამე გათიშულად წარმოადგინონ საქართველოს მთისა და ბარის ისტორიული განვითარება, მოსწყვიტონ ისინი ერთმანეთს, გამოაცალკეონ და საკუთარი ისტორიული გზა მიუჩინონ.

ნიშანდობლივია, რომ ტრადიციული ქართული მეცნიერული აზრი საქართველოს მთისა და ბარის ამგვარ დაპირისპირებას არ იცნობს. ივ. ჯავახიშვილი — ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შეუდარებელი მცოდნე და ისტორიული მეცნიერების მწვერვალი, როგორც ცნობილია, არა თუ თიშავდა საქართველოს მთისა და ბარის ისტორიულ განვითარებას, პირიქით, მთლიანობაში განიხილავდა მას და თითოეულ მათგანს — მთასაც და ბარსაც ამ საერთო განვითარების ძირითად კომპონენტებად მიიჩნევდა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი პროცესის ისტორიულ კვლევა-ძიებაში არც „პირველყოფილობით" გატაცება მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს მოსაწონ საქმედ და ეს სავსებით გასაგებიც უნდა იყოს, რადგან საქართველოში — ხანგრძლივის მრავალფეროვანი ისტორიული წარსულისა და უძველესი ცივილიზაციის ამ ქვეყანაში ძნელი წარმოსადგენია, რომ მარტო ეთნოგრაფიითა და, გნებავთ, წერილობითი წყაროებით ადამიანი ასე ადვილად მისწვდეს საზოგადოების განვითარების უადრეს საფეხურებს და გულდაჯერებით სრულად აღადგინოს ჯგუფური ქორწინების, დედის გვარისა თუ ძველი ქვის ხანის სხვა „სოციალური სისტემები". სიტყვა „სოციალური სისტემები" ჩვენ შემთხვევით არ ჩაგვისვამს ბრჭყალებში, რადგან დასახელებულ ეპოქაში საზოგადოებას ჯერ კარგად არც აქვს გამოკვეთილი სოციალური სტრუქტურა და, მაშასადამე, ძნელია ლაპარაკი კონკრეტული ეთნიკური ერთობის არსებობაზე. ცალკეულ შრომებში გატარებული ეს აზრი, ძნელი დასანახი არ არის, განპირობებულია პირველყოფილობის სოციოლოგიური სქემების მიყენებით ჩვენი სინამდვილისადმი. ეს სქემები კი, რო-

გორც ცნობილია, აღმოცენებულია სხვაგან, სხვათა, უმთავრესად კი ისტორიული განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ტომების ყოფის მონაცემებზე. მოძებნილია კვლევის იოლი გზა. ნამდვილი მეცნიერული საფუძვლები კი გამომზეურებული არ არის, რადგან საქართველოს მთის არქეოლოგია ჯერ ისევ მცირე მასშტაბისაა, წერილობითი წყაროებიც გვაკლია და აკი აქამდე არც გვაქვს ერთიანი მეცნიერული კონცეფცია მთის ისტორიული განვითარების შესახებ. უთუოდ ეს ჰქონდა მხედველობაში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს სვანეთის ისტორიული წარსულის შესახებ მსჯელობის დროს, რაც მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა კიდეც. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ დღეს საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი, დიდი მუშაობის შესრულება სვანეთის შესახებ არსებული ყველა მასალისა და მეცნიერული ნააზრევის „კრიტიკის ცეცხლში“ გასატარებლად ამ მონაცემების ურთიერთისადმი შეწყობა-შეთანხმების მიზნით. ეს კი, მისი აზრით, იმიტომ იქნებოდა საჭირო, რომ დღეისათვის მეტისმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ. აქ ნ. ბერძენიშვილი ერთმანეთს უპირისპირებდა ერთი მხრივ, სვანეთის სამეურნეო-მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროებში ისტორიულად მიღწეული წარმატებების ფაქტიურ სურათს — არქეოლოგიური მონაპოვრებით დადასტურებულ სამეურნეო-მეტალურგიულ პრაქტიკას, სამკაულთა ოქრომჭედლობას, ასევე მაღალი ხელოვნებით შემუშავებულ სასოფლო-სამეურნეო წესებს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში, ხით-ხუროობის განსაცვიფრებელ ნიმუშებს, ქვითხუროობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობას, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენს „ვითომცდა ცნობა-ცოდნას სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ“[8]. მოტანილი ადგილიდან სრულიად აშკარაა თვით ნ. ბერძენიშვილის პოზიცია ამ აზრთა სხვაობაში, თუმცა საველე პირობებში დაწერილ ამ მცირე, ექვსგვერდიან ნაშრომში იგი ბუნებრივად ერიდება საბუთიანობაზე დამყარებულ კამათსა და მეცნიერულად ჩაღრმავებულ მსჯელობას, რასაც სხვა დროისათვის ჰპირდება მკითხველს. სამწუხაროდ, ნ. ბერძენიშვილს ამის გაკეთება აღარ დასცალდა.

[8] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 67.

მიუხედავად ამისა, ნ. ბერძენიშვილის ხსენებულ წერილში პრობლემური მნიშვნელობის ბევრი საყურადღებო მხარის დანახვა და ამოკითხვა შეიძლება, რომელთა ნაწილს დასაბუთებას ცდაც ახლავს. ამ საკითხებიდან ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს ნ. ბერძენიშვილის შეხედულება სვანთა პირველმოსახლეობის შესახებ მაჩუბ-მურყვამებით (მურყვამი სვანურად კოშკს ნიშნავს მ. გ.) მოსახლეობის ეპოქამდე. მკვლევარი მიიჩნევს, რომ სვანებიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ქართველ ტომთა წინაპრები, გარკვეულ დროს გორებად ცხოვრობდნენ, რომ მაჩუბ-მურყვამულ მოსახლეობას სვანეთში წინ უსწრებდა გორული მოსახლეობა[9]. იქვე მოცემული განმარტებით: „გორა" სოციალურად ძმობაა (კომუნა), ტექნიკურად კი ეს არის გალავანშემოვლებული ან მისადგომთა საგანგებო დახმარებით გამაგრებული ბორცვი — საცხოვრებელი თავშესაფარი მთელი ძმობისა, „გვარისა"[10]. ნ. ბერძენიშვილი აგრეთვე მიიჩნევს, რომ გვიანი ხანის სვანური სოფლების (ხევების) დიდი უმრავლესობა ეს არის „გორის" სოციალური და ტექნიკური განვითარება[11].

როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი აქ იმეორებს და სვანეთის კონკრეტული მასალით ცდილობს საბუთიანობა შემატოს თავის სოციოლოგიურ შეხედულებას „გორა"//„გვარის" შესახებ, რომელიც მან ამაზე ბევრად ადრე წამოაყენა ისტორიული ქვემო ქართლის, კახეთისა და სხვა კუთხეთა მაგალითზე. საბოლოოდ დასაბუთებული, გაზიარებული და განზოგადებული იქნება თუ არა ეს საყურადღებო შეხედულება-თეორია ქართველი ხალხის უადრესი ისტორიისა და, კერძოდ, ეთნოგენეზის კომპლექსურ საკითხებთან კავშირში და მათ შუქზე, ეს მომავლის კვლევაზე და პირველ რიგში არქეოლოგიურ ძიებათა გაფართოებაზე ბევრად არის დამოკიდებული. ამჟამად, ჩვენ მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას მივაქცევთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრების იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ მკვლევარი სვანურ დასახლებაში ნაგებობათა კოშკურ (მურყვამულ) ტიპს გენეტიკურად არ უკავშირებს გვაროვნულ თავდაპირველ დასახლებას, რომელიც ბევრად წინ უსწრებდა მაჩუბ-მურყვამულ მოსახლეობას, რომ, მაშასადამე, სვანურ კოშკს არ მიიჩნევს და არ განიხილავს გვარისა და გვაროვნულობის სიმბოლოდ, მიუხედავად იმი-

---

9 იქვე, გვ. 69;
10 იქვე.
11 იქვე, გვ. 70.

ნა, რომ გვიანი ხანის სვანური სოფლების (ხევების) დიდი უმრავლესობა, მკვლევრის აზრით, „გორის" სოციალური და ტექნიკური განვითარებაა[12]. თავის მხრივ, ნ. ბერძენიშვილის ამ მსჯელობაში დიდმნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ სამეურნეო-მატერიალური და სოციალური ცხოვრების მოვლენები განვითარება-წინსვლაშია განხილული და მკვლევარი „გვაროვნული დეტერმინიზმისაგან" თავისუფალია. ეს კი პირდაპირ გამომდინარეობს ნ. ბერძენიშვილის ამ პატარა წერილის სულისკვეთებიდან, რომელიც მიმართულია სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობის, კულტურული ჩამორჩენილობისა და სვანეთის „პირველყოფილობის" მცდარი შეხედულების უკუგდებისაკენ. მეცნიერებაში დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნ. ბერძენიშვილის აღნიშნულ წერილს სვანეთის ისტორიის შესახებ ნამდვილად პროგრამული მნიშვნელობა ენიჭება.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ დასმული საკითხის სრულად გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო შესწავლილი ობიექტის, მოვლენის, პროცესის უშუალო, თუ შეიძლება ითქვას, ფიზიკურ განხილვას, არამედ ყველა იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ექცევა დაკვირვების რკალში, მხარს უჭერს ან ეწინააღმდეგება მთავარ მოსაზრებებს ანდა აუცილებლად სჭირდება ანგარიშის გაწევა, ე. ი. საჭიროა ე. წ. გამორიცხვის წესის გამოყენებაც. ამ შემთხვევაში, სვანური კოშკის საერთო რაობისა და განსაკუთრებით კი მისი ფუნქციის გარკვევისათვის ასეთ ანგარიშგასაწევად გვესახება რამდენიმე შემავალი ფაქტი, მათ შორის ისეთები, რომლებიც ობიექტური რეალობის გამოხატულებაა. დავსძენთ, რომ ის შეხედულებები თუ მოსაზრებები, რომლებიც სვანურ კოშკში ერთადერთ მის ფუნქციად გვაროვნულობის სოციალური წიაღისათვის დამახასიათებელი შინაური შუღლის გამომხატველ ბრძოლა-თავდაცვას მიიჩნევენ, სრულიად პასუხგაუცემელს ტოვებენ ამ ფაქტებს. უფრო მეტიც, ეს ფაქტები, საკითხები ნებსით თუ უნებლიედ სრულიად არ ხვდება აღნიშნული შეხედულებების ავტორთა მსჯელობის ინტერესებში და, მაშასადამე, იგნორირებულია.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ ეს პასუხგაუცემელი და აუხსნელი ფაქტები აქ კითხვებში გამოვხატოთ:

1. თუ სვანური კოშკები გვაროვნული ცხოვრების სპეციფიკით ნაკარნახევი აუცილებლობაა, რატომ არ გვაქვს საქართველოს

---

[12] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70.

დანარჩენ მაღალმთიან ზოლში ან კავკასიის სხვა მაღალმთიან რეგიონებშიც, სადაც ზოგიერთ მკვლევარს მუდმივი ან გახანგრძლივებული გვაროვნულობის კერები ეგულება, უშუალოდ საცხოვრებელ კომპლექსებში ასევე მრავლად ჩართული კოშკები. თუ ამ შემთხვევაშიც შინაგან შუღლსა და გვართა შორის დაპირისპირებას არ გამოვრიცხავთ, როგორღა იცავდნენ ერთმანეთისაგან ფიზიკურად თავს ეს გვარები.

2. დასმული კითხვის ერთგვარი გაგრძელებაა და ამასაც პასუხი სჭირდება — სვანეთს გარდა ჰყავდა თუ არა მეზობელი მომხდური, მოძალადეები საქართველოს სხვა მაღალმთიანი ზოლის, ასევე კავკასიის შესაბამისი რეგიონების მოსახლეობას, რომელიც ალბათ ასევე გვაროვნულად ცხოვრობდა და, თუ ჰყავდა, როგორი იყო აქ მტრისაგან თავდაცვის ორგანიზაცია. იბადება აქვე სხვა კითხვაც. თუ სოფელს აქვს მისთვის აუცილებლად დამახასიათებელი ტერიტორიული ერთობის ფორმაც და შინაარსიც, ასეთ პირობებში გარეშე მტრისაგან თავდაცვის ერთობლივი ღონისძიებები უფრო ეფექტურია თუ ინდივიდუალური (ოჯახური).

3. სპეციალურ ლიტერატურაში[13] არ არის ნათლად მოცემული სვანური კოშკებისა და ციხე-სახლების ერთმანეთისაგან ფუნქციური გამიჯვნა, ან, პირიქით, მათი სიახლოვე, არც ის არის ახსნილი, თუ რით იყო გამოწვეული ერთსა და იმავე სოფელში მათი პარალელურად არსებობა. ციხე-სახლები ისტორიულად ცნობილი იყო სვანეთის გარდა საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში და რატომ აქაურ სოფლებშიც არ გაჩნდა საჭიროება ციხე-სახლებთან ერთად სვანური კოშკების მსგავსი ნაგებობის არსებობისა.

4. სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-ტერიტორიული კუთხეა ყოფისა და კულტურის ზოგად ქართული და რეგიონალური თავისებურებებით. ამის მიხედვით მთლიანად სვანეთი (ზემო სვანეთი და ქვემო სვანეთი) პირობითად და გარკვეული აზრით ერთ ეთნორეგიონად უნდა მივიჩნიოთ და რატომ არის, რომ შემორჩენილი კოშკების რაოდენობით ზემო და ქვემო სვანეთი ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განა აქ იკმარებს ზემო და ქვემო სვანეთის სოციალურ განვითარებაში არ-

[13] Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 гг. Грозный, 1963, с. 126—128; Е. И. Крупнов, Средневековая Ингушетия, М., 1971, с. 70; А. И. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЭС, т. II, Тб., 1968, с. 43 и сл.; В. Н. Басилов, В. П. Кобычев, Галгай—страна башен, СЭ, 1971, № 1, с. 124, рис. 2.

სებითი განსხვავების დასახელება, ასეთი რამ სინამდვილეში რომ ყოფილიყო კიდეც? ზემო სვანეთში — ენგურის ხეობაში მარად თოვლიანი მწვერვალების იალბუზის, უშბას, თეთნულდის, შხარას და სხვ. უშუალოდ მიმდებარე გარემოში 300-მდე კოშკი დგას. აქედან უშგულში და მესტიაში ორმოც-ორმოცი, მულახში, წანერის მთისძირა გაყოლებაზე 65-მდე. თავის მხრივ ამ თემში კოშკთა სიმრავლით ყურადღებას იპყრობს ლახამი, რომლის ნაკრძალად ქცევაც კი იყო ცოტა ადრე განზრახული. ქვემო სვანეთში კი ცხენისწყლის ხეობაზე, რომელიც ენგურის ხეობის სამხრეთით მდებარეობს, ამდენი კოშკი არ მოიპოვება არც ფიზიკურად და არც ნაშთების რაოდენობის მიხედვით.

ასეთი სხვაობა ახსნას მოითხოვს. ამიტომ საჭიროა სხვა კუთხითაც ვცადოთ სვანური კოშკების მთავარი ფუნქციის შეფასება. ეს კუთხეა ფართო მნიშვნელობით ეკოლოგიური კუთხე. რა კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმატურ და გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობებშია ჩამოყალიბებული ისტორიულად სვანების ყოფა, რა გავლენა აქვს მოხდენილი ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებსა და ფაქტორებს სვანების მეურნეობრივ-საწარმოო წესის, დასახლებისა და საცხოვრებელი ტიპის ჩამოყალიბებაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც, სამწუხაროდ, სპეციალურ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მთელი სისრულით, კომპლექსურად არც დაყენებულია და, ცხადია, არც გამოკვლეული. ჩვენ კარგად ვგრძნობთ იმასაც, რომ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლაში და მეცნიერულ კვალიფიკაციებში უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მტკიცედ არის ფეხმოკიდებული „სოციალური დეტერმინიზმის“ სქემები და თეორიები, რომელთაც, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავთ წამყვანი მნიშვნელობა. ამიტომ ამ წიგნში საკითხის განსხვავებულად დაყენება უთუოდ სკეპტიციზმსაც გამოიწვევს, მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დასმული საკითხის ეკოლოგიური ასპექტი სწორედ რომ საქართველოს მაღალმთიანეთის პირობებისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თვალსაზრისით არსებითია და ამ მიმართულებით სპეციალური დაკვირვების გაძლიერებას საჭიროებს.

სვანური კოშკების შესახებ, საკუთრივ სპეციალური ლიტერატურის გარდა, მსჯელობას ვხვდებით სხვადასხვა სახის პუბლიკაციებში. ასეთი მსჯელობანი, მოსაზრებები საკმაოდ ხშირია პრესის ფურცლებზე, საცნობარო ბუკლეტებში, გზამკვლევებში და

ეს ბუნებრივიც არის, რადგან უკვე ითქვა, სვანური კოშკი როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი, თავისი ნიშან-თვისებით უაღრესად თვალსაჩინოა და გამორჩეული. მაგრამ ამ ხასიათის მასალიდან ჩვენ ამჟამად ცალკე გვინდა გამოვყოთ ცნობილი ქართველი მწერლისა და დრამატურგის ვალერიან კანდელაკის მსჯელობა-მოსაზრება სვანური კოშკის წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ, რომელიც გვხვდება მის ვრცელსა და საქმიან წერილში დღევანდელი სვანეთის შესახებ და რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში" სათაურით „წერილი მეგობარს"[14]. დედააზრი ავტორის ამ საკითხზე მსჯელობისა ის არის, რომ უარყოფს ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება სვანური კოშკების კავშირის შესახებ შინაურ სისხლის აღება-მტრობასთან. ლოგიკურია ვ. კანდელაკის დაკვირვება და დასკვნა, რომ არ შეიძლებოდა სვანური კოშკი ვენდეტას ნიადაგზე შექმნილიყო „იმიტომ, რომ მოსისხართა მკაცრად ინდივიდუალური და გალიზიანებული ფსიქოლოგია სტილისა და კონსტრუქციის ერთიანობას არ დაიცავდა, იმ წესით და იმ სიზუსტით იმას არ შექმნიდა, რაც მისმა მოსისხლემ გააკეთა". ცხადია, სავსებით მართებულია ვ. კანდელაკის ის შეხედულებაც, რომ სვანური კოშკი კოლექტიური აზრის ნაყოფი და ერთობლივი შრომის შედეგია. ეთნოგრაფიულმა ყოფამ ეს ტრადიცია მეტნაკლებად შემოინახა.

კოშკების მშენებლობის ძველი ტრადიცია საქართველოში ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. საყურადღებოა წყაროთა მითითებანი ციხე-კოშკების სამშენებლო მასალის შესახებ, კერძოდ, ცნობები მთლიანად ხისგან ნაგები ციხე-კოშკების შესახებაც[15]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხის კოშკების აგების პრაქტიკა პირველად იქ უნდა დამკვიდრებულიყო, სადაც ხე უმთავრეს სამშენ მასალას წარმოადგენდა[16].

---

[14] გაზ. „კომუნისტი", 27 სექტემბერი, 1974.

[15] დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს საინტერესო საკითხს მოსინიკთა შესახებ, ფაქტიური მხარე, რომ მოსინიკები ხის კოშკებში ცხოვრობდნენ თითქოს ემთხვევა ამ ტომისათვის ბერძნების მიერ შერქმეულ (ქსენოფონტი) ეთნიკურ სახელს რაც „მოსინ-ოიკოსიდან" მომდინარე ჩანს. ასევე საყურადღებოა XIX საუკუნისათვის ჯიფორდ პალგრევის დამოწმება ტრაპეზუნ-სამსუნის ხაზზე, ტერიტორიის სიღრმეში, ხის კოშკების არსებობის შესახებ, მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემურ საკითხს მოსინიკთა, მისიმიელთა, სვანთა ეთნოისტორიული კავშირის შესახებ. მომავლის კვლევა ამ საკითხში ალბათ მეტ შუქს შეიტანს.

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 40.

მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში ან ისტორიულ წყაროებში სვანური ხის კოშკების შესახებ მითითება არ არის, მაგრამ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჩვენამდე მიღწეული სვანური კოშკების წინამორბედი სწორედ ხის კოშკები უნდა ყოფილიყო, რომელთა მშენებლობის ტექნიკა უთუოდ ახლოს იდგა ძელურ-ჯარგვალური ნაგებობის ტექნიკასთან. ივ. ჯავახიშვილს წყაროთა მონაცამებისა და ს. ორბელიანის განმარტებათა მიხედვით გამორკვეული აქვს, რომ ძელი მოჭრილი, გაუთლელი, მრგვალი, ხეპობელი ხე იყო და ჯარგვალი („ჯირგვალი“) ასეთი მრგვალი ხეებით სამ, ანდა ოთხკუთხედად მოჭდობით შეკრულ მაღალ, კოშკის მსგავს ნაგებობას ნიშნავდა[17]. ვფიქრობთ, ეს ოდინდელი სამშენებლო თავისებურება უნდა არეკლილი იყოს კოშკის სვანურ სახელწოდებაში მურ//მურყვამ, თუ დამტკიცდება მოსაზრება, რომ მარ||მორ||მურ||მერ ენობრივ მონაცემებში აქცენტირებულია მრგვალი, გრძელი მოჭრილი ხის (შდრ., მორი) თავისებურება[18].

ძალზე საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებანი კოშკის ტიპის ნაგებობათა ქართული სახელწოდებების წარმომავლობისა თუ მათი ურთიერთმიმართების შესახებ. მკვლევარს დადგენილი აქვს, რომ ტერმინი კოშკი პირველად მეცხრე საუკუნეში შემოდის საქართველოში სპარსეთიდან და არაბეთიდან, მანამდე კი ამგვარივე ნაგებობის აღსანიშნავად სხვა ტერმინი არსებობდა, რაც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გოდოლი უნდა იყოს, თუმცა მასვე შემჩნეული აქვს ძველ წყაროთა მიხედვით გოდოლისა და კოშკის ერთმანეთისაგან განსხვავება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება კოშკის სვანური სახლის მურყვამის||მურყვანის თავდაპირველი საერთო ზოგადი მნიშვნელობის შესახებ მთლიანად საქართველოსათვის. ამ დასკვნამდე მკვლევარი მიჰყავს იმ ეთნოგრაფიულ ფაქტს, რომ ხევსურული, ფშაური და თუშური წარმართული სარწმუნოებრივი წარმოდგენით „პირიმზეს“ ღვთაებას ეწოდება მურყვნოსელი. ხოლო მურყვნოსელი, უეჭველია, მურყვამისაგან არის ნაწარმოები და იმ პირს ნიშნავს, რომელიც მურყვამის ანუ კოშკის მფლობელია, ამ შემთხვევაში კი ღვთაებას, რომელსაც კოშკი აქვს[19].

რამდენადაც კოშკების მშენებლობა საქართველოსათვის ადრინდელი და ტრადიციული მოვლენაა და ამავე დროს მას ფარ-

---

[17] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, 162—163;

[18] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI, 1958.

[19] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

თო და მრავალფეროვანი გამოვლინება აქვს, უდავოა დროთა განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო კოშკების აგების მაღალი სამშენებლო ხალხური კულტურაც. ამაში იგულისხმება არა მარტო მშენებლობის დახვეწილი ტექნიკა, არამედ კოშკების ფორმათა ნაირგვარობა და ფუნქციური განსხვავებანი.

საქართველოს ტერიტორიაზე და მითუმეტეს სვანეთსა და სხვა მაღალმთიან რეგიონებში რომ ზვავსაშიშ მოვლენათა საწინააღმდეგო ხალხური ღონისძიებები პრაქტიკულად ხორციელდებოდა, ამაზე პირდაპირ მეტყველებს ვახუშტის მოკლე, მაგრამ ბევრისმეტყველი ცნობა, რომელიც „აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა" აღწერისას აქვს მოტანილი. იგი წერს: „გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკვეთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ"[20].

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე განსხვავებული მომენტი: „ზვავის კვეთება", როგორც სტიქიური მოვლენა ობიექტურად ცნობილია და ხალხი მის საწინააღმდეგო ღონისძიებებს მიმართავს. მნიშვნელობა აქვს კოშკის საშენებელ მასალას და ნაგებობის სიმტკიცეს, ყურადღება ექცევა კოშკის სეისმომედეგობას. ამას კი განაპირობებდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის ეკოლოგიური, სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური. რომელიმე ამ ფაქტორისათვის განმსაზღვრელი ან უპირატესი როლის მინიჭება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს.

ჩვენი ამ ნაშრომის მიზანიც კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე ყურადღების გამახვილებაა, რაშიაც სოციალურ ფაქტორებზე უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ეკოლოგიური ფაქტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ სვანური კოშკის ფუნქციის შეფასებაში ჩვენ არ გამოვრიცხავთ სოციალურ ფაქტორს, მაგრამ ამავე დროს მას არც ვანიჭებთ უპირველეს, ერთადერთ და გადამწყვეტ მნიშვნელობას სვანური კოშკების წარმოშობისა და ფუნქციონირების განსაზღვრაში. შინაური თუ მომხდური მტრისაგან თავდაცვა ამ კოშკებიდანაც შეიძლებოდა და ალბათ კარგადაც, მაგრამ ეს მისი მეორადი და საზოგადოების განვითარების შესაბამისად დროებითი ფუნქცია უფრო უნდა ყოფილიყო, თუმცა ამასაც საკუთარი

---

[20] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 111.

ისტორიული დასაბუთება და დამტკიცება სჭირდება. საქართველოს მაღალმთიანი ზოლის ამ საკუთარი თავისებურებების მქონე რეგიონში დამჯდარი ცხოვრების მდინარეთა ხეობების დაბალ კალაპოტში მოწყობა იმთავითვე მოითხოვდა ფიქრსა და ზრუნვას მთებით შემოზღუდულ უხვთოვლიან გარემოში თოვლის ზვავებითა და მეწყერებით გამოწვეული საფრთხისაგან თავის დაცვაზე. ხშირი, ნაკლებხშირი თუ პოტენციური კატასტროფები უთუოდ პირველ რიგში უკარნახებდნენ ადამიანებს ხელოვნურ შემაღლებებზე ეფიქრათ (საბას განმარტებით „შეეკოშკებინა-შეემაღლებინა".) სვანური კოშკი ამ ღონისძიების კონკრეტული გამოსახულებაა.

სვანური კოშკის ფუნქციის გარკვევისათვის, განსაკუთრებით მის გენეზისურ ეტაპზე, არსებითი მნიშვნელობა აქვს, ჩვენი აზრით, ეთნოგრაფიული ყოფის არა მარტო ნივთიერ ნაწილს, არამედ სულიერი ცხოვრების მონაცემებსაც. ამ ნაწილებს დღეისათვის შეიძლება სათანადო სისრულით დამუშავება კიდევ აკლდეთ, მაგრამ ზოგი რამ სვანების სულიერი ცხოვრების შესწავლილი სფეროდან უკვე გვაძლევს ხელშესახებ მინიშნებებს დასმული საკითხის შესახებ. აქ პირველ რიგში იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებანი და მოსაზრებანი „მურყვამობის" რიტუალზე, რისთვისაც მკვლევარი იყენებს გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ მასალებს.

როგორც ცნობილია, ქართველთა წარმართობის საერთო თვისებების გამოსარკვევად ივ. ჯავახიშვილმა ქართული და უცხო საისტორიო ნაწარმოებებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური თქმულებების, ზნე-ჩვეულებებისა და რწმენის მონაცემები შედარებით ისტორიულ ჭრილში შეისწავლა, ხოლო კვლევის შედეგები კი, რომელთა ნაწილი, ავტორის სიტყვით, ჯერ თუმცა სრულად გარკვეული და გადაჭრილი აზრის გამოხატულება არ იყო, — შეიტანა თავის ძირითად საისტორიო თხზულებაში[21].

ეს გამოკვლევა სტრუქტურის მხრივ რთულია და მეცნიერული დაკვირვებისა და შესწავლის მრავალ ასპექტს შეიცავს, რომელთა სრული თანმიმდევრული წარმოდგენა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ალბათ აუცილებელიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ამის საშუალება არ არის და იძულებული ვართ იქიდან მხოლოდ რამდენიმე საკითხს გავუსვათ ხაზი.

---

[21] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1928 (თავი მეორე).

ივ. ჯავახიშვილი ალორძინება-გამრავლებასთან დაკავშირებული ძველი ქართული წარმართული დღესასწაულების შედარებით შესწავლისას სვანური მურყვამობის, მელიაძ ტულეფიაძს, ადრეკილაძს, საქმისაძს, ქართულ-კახური ყეენობის რიტუალებში საერთო ნიშნებს ხედავს, ხოლო პირველადობას კვირიაძს დღესასწაულს აკუთვნებს. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მურყვამობის დღესასწაულის რიტუალურ მხარეს[22], სადაც ცენტრალური ადგილი თოვლისაგან გაკეთებულ კოშკს „მურყვამს" უჭირავს. თოვლის კოშკში ხის ტოტის ჩატანება, კოშკის ფალიური შემკულობა, რიტუალის მონაწილეთა ორ ნაწილად დაყოფა, ურთიერთშებრძოლება თოვლის კოშკის გადასაქცევად, კოშკის წაქცევის მიმართულების მიხედვით მოსავლიანობისა და გამრავლების გამოცნობა და სხვ. ამ დღესასწაულის დიდ სიძველეზე მეტყველებს. სვანეთში რიტუალური თოვლის კოშკების („მუსი მურყვამ") მკეთებლობის მრავალი ფაქტია დადასტურებული და აღწერილი ვ. ბარდაველიძის მიერ სვანურ ხალხურ დღეობათა ახალი წლის ციკლში[23].

თოვლის კოშკის მონაწილეობა გამრავლებისა და ნაყოფიერების უძველეს რელიგიურ იდეოლოგიაში თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, მარამ ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ამ ფაქტს საგანგებო მნიშვნელობაც ეძლევა. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ რიტუალის მთავარი ელემენტი — ხელოვნური კოშკი კეთდება სწორედ თოვლისაგან და არა სხვა მასალისაგან, რომ რიტუალის მთავარი სანახაობითი ელემენტია კოშკის გადაქცევა, აგრეთვე ისიც, რომ რიტუალი მთავრდება მზის სადიდებლით, რომელმაც სხვასთან ერთად უნდა შეამსუბუქოს ზამთრის სიძნელეები. მზეს სვანების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასვე უნდა შეექმნა „ლილე", როგორც ჰიმნი.

თოვლის ზვავები სპეციალურ ლიტერატურაში მეცნიერულად ვრცლად არის დახასიათებული. აქ ამჟამად მხოლოდ იმის აღნიშვნა იქნება საჭირო, რომ თოვლის ზვავად განიხილება თოვლის მასები მთის ფერდობებზე, რომლებიც მოძრაობაში მოდიან, დაცურდებიან და დაბლა ეხეთქებიან. ზვავის წარმოქმნა ყველა-

---

[22] ივ. ჯავახიშვილი ამ ნაწილში იყენებს არს. ონიანის, ეგნ. გაბლიანისა და ს. მაკალათიას ეთნოგრაფიულ აღწერილობებს;

[23] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფილისი, 1939.

მთიან რაიონშია შესაძლებელი, სადაც კი მყარი თოვლის საფარი ჩნდება. ზვავის წარმოშობას ხელს უწყობს მთის ფერდობის თოვლით გადატვირთვა და ქარბუქის დროს თოვლის ძველი საფარისა და ახლადმოსული თოვლის ერთმანეთთან სუსტი შეჭიდება, თოვლის სხვადასხვა ჰორიზონტებში ტემპერატურის ცვლა და სხვა ფაქტორები[24].

ფერდობზე თოვლის მოძრაობის ხასიათის მიხედვით ზვავების სამ ტიპს გამოყოფენ: თოვლის ნაშვავი მეწყერი, რომელიც ფერდობის მთელ ზედაპირზე ჩამოცურდება კალაპოტის გარეშე, ღარული ზვავი, რომელიც როგორც ვიწრო, ისე ფართო ხევებს და ეროზიულ ნალარს ჩამოჰყვება და მხტუნავი ზვავი, რომელიც საფეხურებზე და შვერებზე თავისუფლად ვარდება. სამივე სახეობა საშიშია, თუმცა მოსახლეობისათვის მეტ საფრთხეს უკალაპოტო ზვავები შეიცავენ.

თოვლის ზვავის სიჩქარე საშუალოდ შეადგენს 20—30 მეტრს წამში, სპეციალურ ლიტერატურაში[25] შესწავლილია ზვავების მოძრაობის ხასიათიც და დადგენილია, რომ ზვავებს უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვთ, რაც დიდ კატასტროფებს იწვევენ.

ზვავებისაგან თავდაცვის თანამედროვე მრავალი, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული, საშუალება არსებობს, რომლებიც მოიცავს პროფილაქტიკურ, საპროგნოზო და საინჟინრო ღონისძიებათა კომპლექსს. როგორც აღინიშნა, მეცნიერება ამ საქმეში ხალხურ ემპირიულ ცოდნასაც იყენებს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე კონკრეტულ გარემო-პირობებშია გამომუშავებული. უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ზვავებით საშიში ტერიტორიებისათვის სპეციალური რუკები დგება, რომლებზედაც გამოიყოფა რაიონები საფრთხის მნიშვნელოვანი, საშუალო და სუსტი ხარის-

---

[24] ამ საკითხზე არსებული ფართო ლიტერატურიდან დავასახელებთ ჩვენთვის შედარებით ცნობილ რამდენიმე ნაშრომს: Г. К. Тушинский,Лавины, М.,1949; Г. К. Тушинский, Н. М. Малиновская, изучение снежнего покрова и ледников, М., 1972 Г. К. Тушинский, Н. М. Малиновская, Основы общей и региональной гляциологии, Вып., II, Региональная часть, М., 1969; г. სულაქველიძე, თოვლის ზვავები კავკასიონზე, თბ., 1952, Физика снега и снежных лавин. Труды Высокогорного географичиеского Института, вып., 15, Л., 1970. Гл. редактор проф. Г. К. Сулакведидзе. Левиноопасные районы Советского союза, М., 1970; Оледнение Эльбруса, М., 1968.

[25] В. С. Читадзе, Лавинная опасность Баксанского ущелья, Гидрометеоиздат, Л., 1965; Стихийные бедствия: изучение и методы борьбы, М., 1978; Человек и стихия; Научно-популярный гидрометеорологический сбор ник на 1979 г., Л., 1978.

ხით, აგრეთვე პოტენციური საფრთხის რაიონები, რომლებიც შეიძლება როდესმე ზვავსაშიშ ადგილებად იქცნენ მთის ფერდობებზე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური პროცესების წყალობით. სსრ კავშირის ზვავსაშიში რაიონების ნაკრებ რუკაზე კავკასია შეყვანილია ზვავების მნიშვნელოვანი საფრთხის რაიონებში, სადაც ზვავები ხშირია და მათი ყოველწლიურად ჩამოცურება ხდება (БСЭ, третье изд., т. 14, М., 1973, с. 86, 87).

თოვლის ზვავების ზოგადი დახასიათების, აგრეთვე მათი ცალკე სპეციფიკური თვისების უკეთ წარმოდგენისათვის ჩვენ აქ მოვიტანთ სპეციალური ლიტერატურის ზოგიერთ მონაცემს. აღინიშნება, რომ სსრ კავშირის მთიანი რაიონების სამეურნეო ათვისების კვალად ზვავების ჩამოწოლის რეგისტრირებული შემთხვევების რიცხვიც იზრდება. ზვავები ყოველწლიურად არის კარპატებში, კამჩატკის, ჩუკოტკისა და სახალინის მთებში. მთების მთელი სამხრეთი სარტყელი, რომელიც საბჭოთა კავშირს ეკვრის, ზვავების ყოველწლიური ვარდნის ტერიტორიას წარმოადგენს. ზვავებს ადგილი აქვს ჩრდილო ტერიტორიაზეც[26]. აქვე მითითებულია დიდი საფრთხის შესახებაც, რომელიც ზვავებთან არის დაკავშირებული. ყურადღებას იქცევს იმ ფაქტის მეცნიერული კონსტატაციაც, რომ ზვავების ჩამოწოლა ზოგჯერ ასზე მეტი წლის წყვეტილით ხდება. ლიტერატურაში მოხსენებულია ვ. ფლიაიგის მიერ დადგენილ ფაქტი, რომ ბარტოლომბერგთან არსებულ ზვავის ნაღარში, რომლითაც 1954 წელს ჩამოსულმა ზვავმა დიდი კატასტროფა გამოიწვია, ასეთი დიდი რაოდენობის თოვლის ვარდნა აქ არ ყოფილა შემჩნეული 1689 წლიდან, ე. ი. 265 წელიწადს. ამიტომ არის, რომ ხშირად დროის წყვეტილი ზვავიდან ზვავამდე იწვევს არასაკმაოდ გამოცდილი სპეციალისტებისა და მშენებლების დეზორიენტაციას, რომლებიც ამ ადგილზე ახლადმოსული და დასახლებული მოსახლეობის ზედაპირული გამოკითხვით ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებენ, რომ თუ აქ უკანასკნელი 5—10 წლის განმავლობაში კატასტროფა არ მომხდარა, მაშასადამე, ზვავებიც არ ყოფილა საშიში[27]. ასეთი შეხედულებები გამოითქმება მაშინაც კი, როცა ძალზე თვალსაჩინოა ზვავების ჩამოწოლის გეომორფოლოგიური და გეობოტანიკური ნიშნები[28].

---

[26] Г. К. Тушинский, Н. М. Малиновский, Изучение снежного покрова и ледников, М., 1972, с. 51;

[27] იქვე.

[28] იქვე.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც, რომელიც ჩვენ მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს ის არის, რომ მართალია, დღეს მეცნიერულად კარგად არის შესწავლილი თოვლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, თოვლის საფარის კრისტალიზაციის პროცესი და ზვავის წარმოქმნის ზოგადი მორფოლოგიური საკითხები, მაგრამ მთავარი ზვავის მოვლენების გამოვლინების შესწავლაში არის ზვავთა რეჟიმის გეოგრაფიული ტიპების დადგენა, რომელთა განსხვავებულ იერსახეზე კონკრეტულ გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის მიკრორელიეფი და კლიმატი. სწორედ ამიტომვე ერთმანეთისაგან განარჩევენ სხვადასხვა მთების სისტემების ზვავის რეჟიმებს, უფრო მეტიც, თითოეული ამ სისტემის შინაგანი რეგიონების ზვავურ რეჟიმებს[29].

ბუნებრივია ამიტომ ისიც, რომ ადამიანთა გარემოსთან დამოკიდებულების ეკოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევისას, რაც მაღალმთიან ზოლში ბინადარი ცხოვრების მოწყობის, დასახლების ტიპისა და მეურნეობის სისტემებს უკავშირდება, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტულ რეგიონალურ თავისებურებებს.

სპეციალურ ლიტერატურაში როგორც ზვავების, ისე ყინულწარმოქმნის დროთა ცვალებადობას, რიტმს, აგრეთვე მათი მოქმედების მასშტაბებს, ეპოქალურ კლიმატურ პროცესებს უკავშირებენ[30]. მაგ., მიაჩნიათ, რომ დაბალი ტენიანობის ეპოქაში ჩვენი წ. ა. I ათასწლეულში (ე. წ. მეორე ქსეროთერმული პერიოდი) მთური გამყინვარება და ზვავების მოქმედება ძლიერ შემცირდა, ყინვები გაქრნენ მთის გადასასვლელებზე და ამის გამო გაუმჯობესდა სამიმოსვლო კავშირები ალპებსა და კავკასიონზე. რომაელები ამ დროს აგებენ მოკირწყლულ გზებს მაღალ გადასასვლელებზე, ამ დროსვე ხდება მაღალმთიანი ხეობების დასახლება ალპებსა და კავკასიაში (ალანების დასახლება დომბაის ველზე და არხიზში). ამ დროსვე აღინიშნება ჩრდილო ატლანტი-

---

[29] მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი (სვანეთი), თბ., 1970, გვ. 30.

[30] Г. К. Тушинский, Лавины (возникновение и защита от них), М., 1949, с. 24—27, წიგნში, ცალკე ქვეთავად გამოყოფილია გასული საუკუნის ცნობილი რუსი ინჟინრის ბ. სტატკოვსკის შეხედულებანი ამ საკითხზე. ქვეთავის სათაურია: «Неприменимость альпийских стандартов в изучении снежнолавинного режима Кавказа».

კის მცირე ყინულიანობა და გრენლანდიის დასახლება[31]. სამაგიეროდ, გაზრდილი ტენიანობის ეპოქაში, რომელიც მიმდინარე ათასწლეულის შუა და მეორე ნახევარზე მოდის, ამ ტენიანობამ გამოიწვია გამყინვარება ალპებში — ე. წ. ფერნაუს სტადია თოვლის საზღვრის დეპრესიით 130 მეტრით. დასავლეთი კავკასიისათვის ეს სტადია ალიბეკის სტადიად არის წოდებული. აქ თოვლიანობის ზრდამ ხელი შეუწყო ზვავების მოქმედების გაძლიერებას, რამაც გამოიწვია, მაგალითად, არხიზში ალანების სოფლის დაღუპვა[32]. მომცრო ყინვარები გაჩნდნენ სამხრეთ ურალში და კოლის ნახევარკუნძულის მთიან ტუნდრაში. შუა აზიაში გაიზარდა იმ მდინარეთა ჩამონადენი, რომლებიც ბალხაშის ტბაში ჩაედინებიან და რასთანაც დაკავშირებით შეინიშნება სოფლის მეურნეობის განვითარება და დასახლებების გაჩენა ბალხაშის სამხრეთი სანაპიროს გასწვრივ[33].

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხის ფარგლებში სტატიგრაფიული, გეომორფოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემები უფრო სრულია კავკასიონის ჩრდილო ნაწილისათვის, ამ მონაცემების შედარებითი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები, ვფიქრობთ, ასახავენ ამ მთლიანი რეგიონისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენებსაც. ამის გამო ჩვენ შევეცდებით სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ნიშანდობლივი მონაცემების შემოკლებულად გადმოცემას, თუმცა ყველაფრის გაზიარება ალბათ არ შეიძლება. მკვლევარნი ფიქრობენ[34], რომ ეპოქალურმა კლიმატურმა ცვლილებამ კავკასიაშიც გამოიწვია წყვეტილი ჩვ. წ. ა. I ათასწლეულში, რომელიც შედარებით მცირეთოვლიანობით და ზვავების ნაკლებობით ხასიათდებოდა. კავკასიის პირობებისათვის წყვეტილს ყინვარწარმოქმნასა და ზვავების მოქმედებაში არხიზის წყვეტილს უწოდებენ[35]. ამ დროს კლიმატი იალბუზის მაკროგარემოში უფრო თბილი და მშრალი იყო, ვიდრე ამჟამად. ასე იყო კავკასიის სხვა მწვერვალების რაიონებ-

[31] Оледнение Эльбруса, под редакцией проф. Г. К. Тушинского, М., 1968, с. 263.

[32] Оледнение Эльбруса, გვ. 263.

[33] იქვე.

[34] Д. Н. Г о н г а д з е, Некоторые вопросы образования и движения лавин на Кавказе, Автореферат кандидатской диссертации, 1953; В. А. Г е р а с и м о в, Катастрофические сели в долине Баксана, Природа, № 12, 1968.

[35] Г. К. Т у ш и н с к и й, Эволюция оледнения. Ритмы в оледнении и снежности Кавказа в историческое время წიგნში: «Оледнение Эльбруса», М., 1968, გვ. 258;

შიც, მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის იალბუზის კომპლექსური ექსპედიციის მონაცემებით, რომელიც საერთაშორისო გეოფიზიკური წლის (1957—1960) პერიოდში ჩატარდა და რომელსაც მეცნიერულ ხელმძღვანელობას პროფ. გ. ტუშინსკი უწევდა, ძალზე საინტერესო ჩანს ამ ექსპედიციის არქეოლოგიური ნაწილიც. გამოკვლეული იყო ალანთა ნაგებობების მრავალრიცხოვანი ნანგრევები, რომლებიც მდებარეობენ ამჟამად მოქმედი ზვავების გამონატანების კონუსებზე მდ. ზელენჩუკის აუზში არხიზის ხეობაში. აქ აბიშარა ახუბას ქედის ძირას ხევების გამონატანების კონუსებზე მდებარეობდა მთელი ქალაქი კვარტალებით, მოედნებით, ქუჩებით, სარწყავი სისტემებით. ამჟამად აქ დიდი ზვავების ჩამოწოლა ხდება, რომლებიც ზოგიერთ წელიწადს სოფ. არხიზამდე აღწევენ. არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ მდ. ზელენჩუკის ხეობაშიც ალანთა მსხვილი სოფელი მდებარეობდა, რომლის ნანგრევების შესწავლით ცხადი გახდა, რომ ეს სოფელიც თოვლის ზვავებს დაუნგრევია[36]. სოფ. არხიზის მახლობლად ერთ-ერთი გამონატანის კონუსზე მდებარეობს ამფითეატრის მაგვარი ქვის ნაშენები კედელი, რომლის დაბლა დიდი შენობის ნანგრევებია 15 მ დიამეტრითა და 3 მ სისქის კედლებით. ნანგრევებში დღესაც ხარობს გაველურებული ხეხილი. ყველა შესწავლილ ნანგრევზე[37] ჩანს, რომ ზვავების ჩამოწოლის მიმართულებიდან ნაგებობათა წყობა დანგრეულია, ხოლო სამშენი მასალა გაფანტულია ქვევით, კონუსის დაშვების მიმართულებით. ზოგიერთი ნაგებობის კედლის სისქე 1—1,3 მ, ხშირად კი 1,8 მეტრს აღწევდა. აქვე შენიშნეს ისეთი შენობების სიხშირე, რომელთა საერთო ფართობი 150 მ², სიგრძე დაახლოებით 13 მ და სიგანე 12 მეტრია. შენობათა კედლების ნაპირები სიპერდით არის გამოყვანილი, ხოლო მათ შორის ადგილი წვრილი ღორღითაა შევსებული. დარტყმის დროს ეს ღორღი გარეთ გატყორცნილია. არქეოლოგები ძალზე საყურადღებოდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ მთავარი ქუჩის მაღლა, განაპირა ადგილზე აღმოჩენილია 3 მეტრი სისქისა და 2 მეტრი სიგანის კედლები, რომლებიც კულისებად იყო განლაგებული და თითქოს ზვავების და მეწყერის საწინააღმდეგო ჯებირებს წარმოადგენდნენ, რომლითაც ხალხს თავისი ნაგებობები უნდა დაეცვა. ამავე გარემოში დადგენილია რადიალუ-

---

[36] იქვე, გვ. 259.

[37] А. М. Ш у л ь г и н, Снежный покров и его использовани е в сельском хозяйстве, Гидрометеоиздат, Л., 1962.

რად განტოტებული ნაშთები სარწყავი არხებისა, რომელთა სიგანე 2 მ აღწევს, აგრეთვე ნიადაგის ტერასები, რაც ძველ სარწყავ მიწათმოქმედებაზე მეტყველებს. ჩამოთვლილი ფაქტები ერთგვარ საფუძველს აძლევენ დასკვნისათვის, რომ სოფელი შეიძლებოდა გამონატანის კონუსზე წარმოქმნილიყო მხოლოდ იმ დროს, როცა ძალზე სიმშრალე და ზამთარი მცირეთოვლიანი იყო. ასეთ პერიოდად ვარაუდობენ ე. წ. არხიზის წყვეტილს ჩვ. წ. ა. პირველ ათასწლეულში[38].

სპეციალურ ლიტერატურაში[39] ხაზგასმით არის მითითებული, რომ თოვლის ზვავი წარმოადგენს ერთ-ერთ სტიქიურ უბედურებას, რომელიც განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებლებს[40]. ბუნებრივია, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მთის ზოლის მოსახლეობაში უნდა შემუშავებულიყო ამ მოვლენასთან აქტიური ბრძოლის პრაქტიკული ჩვევა-გამოცდილებანი. ხალხური ცოდნა საყურადღებოა როგორც ისტორიულად და ეთნოგრაფიულად, ისე ბუნებისმეტყველების შესაბამისი სპეციალობებისა და თანამედროვე მეცნიერულ-პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ მხრივ მართებული ჩანს შენიშვნა, რომ „სამწუხაროდ... დღესაც კი ხშირად ინჟინერ-მშენებლები და ზოგჯერ მთამსვლელებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივ მცხოვრებთა დაკვირვებას, წესებს, რომლებშიაც საუკუნეობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული ხალხური სიბრძნეა გამოხატული“[41].

ზემო სვანეთში თოვლის საფარის სისქე უშუალოდ მთებზე და მთის კალთებზე ხშირად 3—4 მეტრს აღწევს[42]. იმ ადგილებ-

---

38 Г. К. Тушинский, Эволюция оледенения, გვ. 259—260:

39 გ. სულაქველიძე, თოვლის ზვავები კავკასიონზე, თბ., 1952, გვ. 4.

40 М. А. Долов, Деформация снега при больших импульсных нагрузках, Тр. ВГИ, вып. 9, 1967.

41 თოვლის ზვავების შესწავლის საქმეში გამოყოფით აღინიშნება გამოჩენილი რუსი ინჟინრის ბორის სტატკოვსკის დამსახურება, რომელმაც ჯერ კიდევ ამ 100 წლის წინათ მსოფლიოში პირველად მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ზვავების შესწავლის საკითხი და რომელიც დიდი წარმატებით იყენებდა ხალხურ გამოცდილებას თოვლის ზვავების მოძრაობის შესწავლის საქმეში. ბ. სტატკოვსკიმ რამდენიმე მონოგრაფიაში, რომელთაგან მთავარია «Климаты Кавказа», მოგვცა სისტემატური აღწერა თოვლის ზვავებისა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ (ციტ-ირ გ. სულაქველიძე, თოვლის ზვავები კავკასიონზე, თბ., 1952, გვ. 4).

42 ე. კობახიძე, სვანეთის ბუნებრივი პირობები და რესურსები, წიგნში: მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი (სვანეთი), თბ., 1970, გვ. 31, 32.

ში, სადაც მთისძირა, ქალისპირული დასახლებაა, ადამიანი ადრევე ცდილა და ეხლაც ასე მოქმედებს, რომ მთის კალთის შეყოლებაზე უშუალოდ სოფლისა და სამეურნეო ნაკვეთების ტერიტორიის (დაბ. დაბდერ) გასწვრივ სხვადასხვა სახის წინაღობებს აწყობს ზვავისა (ჩვალ) თუ მეწყერის სიდიდის და დარტყმის ძალის გასანეიტრალებლად. ასეთი წინაღობებია მთის ტყიან კალთაზე საშუალო სიმაღლის წნული ღობურები, გავლებული სარტყლისებურად. ჩვეულებრივ ასეთი ღობურები ერთმანეთის პარალელურად, ანდა ადგილმდებარეობის შესაბამისად განსხვავებული კონფიგურაციით ეწყობა. მათ შორის დაშორების მანძილიც რელიეფის თავისებურებით განისაზღვრება. ზოგჯერ ღობურების შემცველია ადგილზევე მოჭრილი და სიგანეზე დაგდებული დიდი



სურ. 3. თოვლის ზვავით (თუ მეწყერით?) მიწის ქვეშ დატანილი კარმიდამოს ნაწილი ზემო სვანეთში (მესტია. ლანჩვალი. ლაგუნიაშის მიკროუბანი. ფოტო მ. აგეშიძისა. 1975 წ.)

ხეები. ამ წინაღობათა დანიშნულებაა პირველად მოთოვლილი და ჩაყინული დიდი, მძიმე მასის ადგილზე შეჩერება, შემდეგ მოსულ, ზედ დათოვლილ ზედაპირულ თოვლს ჩამოზვავებისას უკვე ნაკლები საშიშროება ახლავს. მთის კალთების ეროზიის საწინაღ-

მდეგო გამაგრებისათვის იცოდნენ აგრეთვე მთის კალთის დასაფეხურება (დატერასება), თუმცა ეს წესი ფართოდ გავრცელებული და ამ გარემოსთვის მთლიანად დამახასიათებელი არ ჩანს, მით უფრო, რომ აქაურ ტერასებს (ბაჯგ) სამეურნეო გამოყენება არა აქვთ — იგულისხმება მათზე მცენარეულის მოყვანა, მაგრამ ყველა ზემოხსენებული ხერხი გარკვეული ეფექტურობის მიუხედავად, თოვლის ზვავებისა და მეწყერების თავიდან ასაცდენად ანდა მათი მოცულობისა და ძალის შესამცირებლად იმ ადგილებში, სადაც უშუალოდ ადამიანთა საცხოვრისი იყო, მთის სტიქიის საწინააღმდეგო სრული გარანტია, ცხადია, ვერ იქნებოდა[43]. (სურ. 3). ადამიანთა საცხოვრისზე რომ ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს სვანეთის, განსაკუთრებით ზემო სვანეთის დასახლების ტიპის ზოგადი თავისებურება, რაც სოფლების ხეობურ-მდინარისპირულ განლაგებაში მდგომარეობს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზემო სვანეთის სოფლების უმეტესი ნაწილი ტერიტორიულად ხეობის ძირა ან საშუალო ზოლშია განფენილი და არა ზედ მთის ქედებზე. ჩვეულებრივ, ეს სოფლები მდინარეების პირას მდებარეობენ, მათგან საჭირო დაშორებით. უშუალოდ სოფელს ირგვლივ ეკვრის წვრილ ნაკვეთებად დანაწევრებული სამეურნეო ტერიტორია, რომელიც მხოლოდ სახნავ-სათესად ან ზოგიერთი სამეურნეო კულტურის (კარტოფილი, კანაფი; და სხვ.) მოსაყვანად გამოიყენება. ამ ტერიტორიის, როგორც ხეობის ალუვიალური და მთის ტყეებთან ახლო მდებარე ნაწილის ნაყოფიერება აქ დასახლებულ ადამიანს, როგორც ჩანს, ადრევე შეუმჩნევია, სარწყავი სათიბები კი, რომლებიც ადგილობრივი მესა-

---

[43] ზვავის წარმოქმნის მიზეზებისა და ზვავის მოქმედების შედეგების საინტერესო შეფასებას თუშეთის მაგალითზე ვხვდებით არნ. გეგეჭკორის წერილში. იგი წერს: „ადამიანის არამიზანშეწონილი საქმიანობით—ტყის გავრცელების საზღვრების დაბლა დაწევით, ეროზიაზე არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემა იქმნება ზვავების წარმოქმნის თვალსაზრისითაც. დღეს თუშეთის ხეობათა რიგი ტყიანი, ანდა ისეთი ადგილები, სადაც ტყის ვერტიკალური გავრცელება ეკოლოგიურად დასაშვებია, ზვავების ასპარეზად არის გადაქცეული, დადგენილია, რომ რაც უფრო დიდია ზვავის გარბენის მანძილი, მით უფრო მეტია მისი გამანადგურებელი ძალაც. მაშასადამე ტყეების შემცირებით ვზრდით რა ზვავების ძალის მოსაკრებ სასტარტო ასპარეზს, ამით განსაკუთრებით საშიშს ვხდით მათ. თუშეთის არაერთი სოფელი ზვავების მიერ წალეკვის ასპარეზს წარმოადგენს. 1976 წლის ზამთარში მოპირდაპირე ფერდობიდან დაშვებულმა ზვავმა სამართებელივით გასხიპა უმშვენიერესი სოფელი დართლო. ამავე წელს ზვავმა დიდი ზიანი მიაყენა სოფელ ჯვარბოსელასაც." (არნ. გეგეჭკორი, ბუნების დაცვის საკითხი თუშეთში, „საქართველოს ბუნება", 1980, №3, გვ. 4)

ქონლეობის საფუძველია და რომლებიც აგრეთვე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენდნენ, სოფლის მოშორებით ზოგჯერ ძალზე შორსაც, მთებში და მათ კალთებზე მოუწყვია. ადრევე უნდა შეემჩნია ადამიანს აქაურ ხეობათა ძირაზოლის სითბური რეჟიმის მნიშვნელოვანი განსხვავება ამავე გარემოს სხვა ნაწილებისაგან, ისევე როგორც ინვერსიული ქარების ხასიათი და გავლენა[44]. სპეციალურ დაკვირვებებში საგანგებოდ აღინიშნება მზის სითბური რეჟიმისა და გამოსხივების (რადიაციის) განსაკუთრებული ხასიათი და სიკეთე სვანეთისათვის.

ზემო სვანეთის საცხოვრებელი და სამეურნეო არეალის ეს მარტივი მონახაზი გვაჩვენებს, რომ საცხოვრისი ადგილი ხეობის ძირის გაყოლებით, მთის კალთის დაბლა ნაწილშია მოთავსებული და სოფელს წინამხრიდან თუ მდინარე ჩამოუდის უკანა მხრიდან უშუალოდ დიდი მთა აქვს წამოზიდული. ამავე დროს, რამდენადაც ეს დასახლებები ხეობის დაბლა ზოლშია განლაგებული, უმეტეს შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სოფლები მთებშია გამომწყვდეული, მაგრამ ასეთი პირობებში სტიქიური საფრთხის თვალსაზრისით უფრო ის მხარე, ე. ი. ის მთა არის ანგარიშგასაწევი და მოსარიდებელი, რომელიც სოფელს ზურგის მხრიდან უშუალოდ ეკვრის. როგორც წესი, ყველა დასახლებულ ადგილს ჩამოუდის ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი ხევი (ზოგჯერ ეწყლოც), რომლებსაც ზედა ზოლშივე ჩამოშლილი თოვლის თავისებური კოლექტორის როლი აკისრიათ და ზვავად ქცეული თოვლის მასის ღარულად გამოტანის ფუნქციას ასრულებენ (სურ. 4, 5).

სვანური დასახლების ეს თავისებურება, კერძოდ, სოფლების მდებარეობა ხეობათა ძირზე, დიდი მთების შუა, თითქმის ყოველთვის გვხვდება როგორც ძველი დროის, ისე თანამედროვე ალწერილობებში. ასეთ დასახლებებს ბუნების სტიქიის უშუალო საშიშ ზოლში ადამიანის მხრიდან სათანადო სიფრთხილე უნდა მოეთხოვა და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ კოშკთა სიმრავლე ზემო სვანეთში დიდთოვლიანობის, თოვლის ზვავობისა, მეწყერებისა და

---

[44] საყურადღებოა ამ მხრივ ზემო სვანეთის დასახლების ამ გეოგრაფიული თავისებურების შედარება საქართველოს სხვა მთის რეგიონებთან. მაგალითად, ხევსურეთში დასახლება უშუალოდ წყლის პირად იშვიათად გვხვდება და ამიტომაც არც ტიპიურია. ეს იმიტომაც, რომ თუ თვით ხევსურთა განმარტებას დაევმყარებით, „წყალ ჰალაციეია“, (შდრ. В. Ш. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968, с. 123—125).

აგრეთვე ღვარ-ცოფებისაგან თავდაცვის პროფილაქტიკით ნაკარნახევი უძველესი ტრადიციების გამოხატულება და უპირველესი ფუნქცია უნდა იყოს. საბრძოლო ფუნქცია კი მეორადი და ნაწილობრივი. საბრძოლო სოციალური ფუნქცია რომ მთავარი არ არის, ამაზე მეტყველებს თვალშისაცემი შეუსაბამობანი, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ერთგვარად გაძნელებელია სვანური კოშკის მშენებლობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების სრული, თანმიმდევრული ფიქსაცია და ეს გასაგებიც არის, მაგრამ შემონახული, შედარებით მცირე მონაცემებიც გვაძლევენ წარმოდგენას ამ პროცესების შესახებ. ჩვენ აქ ზოგიერთ ამ ცნობას მოვიყვანთ[45]: მეტად მნიშვნელოვანი იყო



სურ. 4. ზემო სვანეთი. მულახი. ისრებით ნაჩვენები ზვავის ამრიდი ხეები — თოვლის ბუნებრივი კოლექტორი (ფოტო მ. გეგეშიძისა, 1975 წ.)

---

[45] ქართული შინამრეწველობის მასალები. შეგროვებული ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით. ქვემო სვანეთი, მშენებლობა, მასალის ჩამწერი ფაფალა გარდაფხაძე-ქიქოძე. სვანური კოშკების მშენებლობის უფრო დაწვრილებითი და სრული აღწერილობა მოეპოვება ანზორ ქალდანს (იხ. „მაცნე", 1975, № 2).

შურყვამის ბალავარის („ჩუნ", მთლიანად „კრუვდ") ამოყვანა, რომელიც 1 1/2 საჟენზე უნდა ყოფილიყო აგებული. ბალავრის ამოყვანის პროცესში ზედ ოთხჯერ ასხამდნენ „გირწყალს". გირწყალი იყო სილისა და კირის შენაზავი, ორ ზომა კირს მესამედი სილა ემატებოდა. წყალს დაასხამდნენ და თოხით ურევდნენ, გირწყალი თხელი უნდა ყოფილიყო. იგი ისხმებოდა „ჩუნზე" ირგვლივ, მრგვალად „გირიმურგვალად". ბალავარის ჩადგმის შემდეგ იწყებოდა კედლების აშენება („ლიგმალ"), ეშაოზდა ორი „ელვანი". კედლის სისქე ხშირად 2 ალაბს ან 1 საჟენს უდრიდა. სი-



სურ. 5. ზემო სვანეთი. მესტია. კოშკები ცხ.კნ გორის კალთებზე (ფოტო მ. გეგეშიძისა, 1975 წ.)

მაღლე პირველ დარბაზამდე — 3 ალაბს. კოშკი ქვემო სვანეთში ორი-სამი დარბაზისაგან შედგებოდა, ზემო სვანეთში 5—6 სართულიანიც იყო. საშენ მასალად იყენებდნენ კლდის ქვას („კოჯა ბეჩვშუ"). გ. სოხაშვილი ასახელებს სვანების გადმოცემას[46], რომ კოშკების მშენებლობის დროს რძეში გახსნილ ჰვავის ფქვილს

[46] გ. სოხაშვილი, სვანეთი, თბ., 1971, გვ. 7.

კირ-ქვიშაში ურევდნენ და ამგვარი ხსნარით შედუღაბებული კოშკები უფრო გამძლე და მონუმენტური იყო.

თუმცა დასმული საკითხის გასაშუქებლად სათანადო მასალა უკვე მოიპოვება, რომლის ერთ ნაწილს ჩვენ ვიყენებთ კიდეც, მაგრამ ძნელი დასანახი არ არის ისიც, რომ ამ მიმართულებით დაკვირვებას გაფართოება და ჩაღრმავება სჭირდება, რაც, ჩვენი აზრით, მეტ დამაჯერებლობას შემატებს გამოთქმულ მოსაზრებას. ახლო მომავლის ასეთ სპეციალურ სამუშაოდ ჩვენ გვესახება საგანგებო პროგრამით ეთნოგრაფიული მასალის გამოვლინება ყოფაში, სადაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურ ასპექტებს. პარალელურად უნდა მოხდეს სვანური ზეპირსიტყვიერების, პროზაული ტექსტების და სხვ. ამავე კუთხით შემოწმება. ამავე დროს, უნდა ჩატარდეს სვანური კოშკების ტექნიკურ-საინჟინრო თვალსაზრისით შესწავლა-შეფასება. თუ წმინდა არქიტექტურული დახასიათებანი დღეისათვის საკმაოდ ბევრი გვაქვს როგორც სპეციალური მხატვრულ-ხუროთმოძღვრული, ისე მოგზაურთა შთაბეჭდილებების დონისა, სამაგიეროდ, აშკარად გვაკლია სვანური კოშკების სამშენებლო-ტექნიკური დახასიათება, რომელიც პასუხს გასცემდა ამ ნაგებობათა სივრცითი ორიენტაციის, მათი ფიზიკური სიმტკიცის, ზვავის დარტყმის ძალისადმი შეფარდების, სეისმომედეგობისა და სხვ. თავისებურებებს. აქ უთუოდ რაღაც კანონზომიერებებთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელიც შეიძლება ფორმულებშიც კი გამოიხატოს. ეს კი, თავის მხრივ, ხალხური ცოდნის პრაქტიკულ სიძველესაც წარმოაჩენს.

სვანური კოშკის ფუნქციაზე მსჯელობისას საკითხის არსის მეტნაკლებად სწორი წარმოდგენისათვის საჭიროდ მივიჩნევთ ერთი ისტორიული ცნობის გახსენებას, რომელიც სტრაბონს ეკუთვნის. ეს ცნობა სრული ანალოგიის მნიშვნელობით არ გამოდგება, მაგრამ ადამიანთა სტიქიასთან ბრძოლის იძულებითი მიხვედრილობის გამოხატულებას წარმოადგენს და თანამედროვე საკვლევაძიებო ჩაფიქრებისათვის საზრდოსაც ქმნის. „გეოგრაფიის" XI წიგნის მეთოთხმეტე თავში, რომელიც არმენიის დახასიათებას ეძღვნება, სტრაბონს მოჰყავს ერთი გაგონილი ცნობა თოვლიან მთებში ადამიანთა მოქმედების შესახებ. სტრაბონი მოგვითხრობს: „ხორზენე და კამბისენე უკიდურესი ჩრდილოეთის (მხარეები) არიან და განსაკუთრებით თოვლიანი (ესენი) ეკვრიან კავკასიის მთებს და იბერიასა და კოლხიდას. ამბობენ, რომ ხშირად ამ მთების უღელტეხილებზე მთელი მგზავრები თოვლში იგუდებიან, რადგანაც დიდძალი თოვლი იცის ხოლმე (თუ დიდი ქარბუქი? შენიშვნა

თ. ყაუხჩიშვილისა). ასეთი ხიფათისათვის (მგზავრებს) აქვთ ჯოხები, რომლებსაც ამოყოფენ ზემოთ გამოსაჩენად, რათა სუნთქვა გაუადვილდეთ (დანამქრულებს) და თანაც შეატყობინონ გამვლელებს. ამნაირად ღებულობენ (მათგან) შეწევნას — გამოთხრიან და გადარჩებიან ხოლმე"[47]. ეს ცნობა, რომელიც უთუოდ, ტრადიციული ემპირიული ცოდნის გამოხატულებაა კავკასიის მასშტაბით, როგორც ვთქვით, ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა არა როგორც მსგავსი მაგალითი, არამედ თოვლის სტიქიასთან ადამიანთა ბრძოლის თავისებური იდეის შემცველი.

ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-პეიზაჟური თავისებურებანი მრავლად არის წარმოდგენილი ლიტერატურულ მასალასა და ფოტო-კინო ფირებზე წლის ყველაზე მოხერხებული დროის, ზაფხულის მიხედვით. სამაგიეროდ, ნაკლებად არის ფიქსირებული ზამთრის სვანეთი. ამიტომ მისასალმებელია ქართველ კინოდოკუმენტალისტთა და რეჟისორ-ოპერატორის გია ჭუბაბრიას ბოლო ხანების ნამუშევრები „უშგული" და „თეთრი ზღაპარი", რომლებიც ამ ხარვეზებს უკვე ნაწილობრივ ავსებენ. ამ და სხვა ფილმების შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ „გ. ჭუბაბრია უმთავრესად ერთ თემას დასტრიალებს თავს: ეს არის ბუნების მკაცრ პირობებში ადამიანის პიროვნული სიძლიერის ჩვენება"[48]. რეცენზიას თან ახლავს უშგულის ზამთრის პეიზაჟის საინტერესო სურათი, გადაღებული გ. ჭუბაბრიას მიერ. ამ სურათს წარწერად გამოადგებოდა რეცენზიისავე სტრიქონები: „დათოვლილი გრანდიოზული მთების პანორამა. მთებშუა მომწყვდეული პატარა სოფელი. თოვლის საბურავიდან შავად ამოზიდული კოშკები და მაჩუბები"[49].

---

47 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ, 1957, გვ. 188.

48 ვ ა ხ ტ ა ნ გ ჩ ხ უ მ ი ა ნ ი, უბის წიგნაკიდან ეკრანამდე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 11 ოქტომბერი, 1974 წ.

49 იქვე.

# თავი მეოთხე

# თანამედროვე ტექნოგენური პროცესებისა და სამეურნეო-საწარმოო ტრადიციების რეგიონალური პრობლემები

## 1. სისტემური კვლევა

ქვემოთ წარმოდგენილია რეგიონალური კონკრეტულ-სოციალური გამოკვლევა. მისი სტრუქტურის გასარკვევად საჭიროა, ერთი მხრივ, ტექნოგენური პროცესების რაობისა და ამ პროცესების თანმხლები სოციალური მოვლენების ზოგადი და კერძო სპეციფიკის წარმოჩენა და, მეორე მხრივ, სამეურნეო-საწარმოო ტრადიციების რეგიონალური დახასიათება და შეფასება.

ნაშრომში მოცემულია ამ ორი სოციალური მოვლენის ურთიერთმიმართების თავისებურებების დადგენის ცდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონის — თუშეთის მაგალითზე.

კვლევის მიზანდასახულებაში შედიოდა ეკოლოგიური ფაქტორებისა და ბუნებრივ-საწარმოო პირობების როლის გარკვევა მეურნეობის ტრადიციული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, დაკვირვება სივრცობრივი კავშირურთიერთობების ადგილობრივ სპეციფიკასა და სოციალური პროცესების დინამიკაზე, თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიკურ სიახლეთა სოციალურ ეფექტზე.

კვლევის არაპირდაპირი მიზანდასახულება იყო გარკვეული მასალების მომზადება სოციალური განვითარების დაგეგმვის შესაძლო საჭიროებისათვის, აგრეთვე წინა წლებისა და ამ ახალი მონაცემების შედარებით განხილვის საფუძველზე ზოგადი მოსაზრებებისა და წინადადებების მომზადება რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სოციალურ პრობლემაზე. ნაშრომის ეს ნაწილი ჩამოყალიბდა მოხსენებითი ბარათის სახით, რომელიც გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს XVIII პლენუმისათვის მზადების პერიოდში (IX. 1975).

ნაშრომი მომზადდა მიმდინარე სტატისტიკურ-დოკუმენტური მასალის ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების, ადგილზე წარმოებული სოციოლოგიური გამოკითხვების (ინტერვიუ), ახმეტის რაიონის პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის ოპერატიული მასალისა და სხვ. საფუძველზე. ჩატარდა ნატურული კვლევა თუშების ახლანდელ საცხოვრისში (სოფლები ზემო ალვანი და ქვემო ალვანი) და თვით თუშეთში (სოფლები, საძოვრები, ფერმები). თუშეთში მოსახვედრად მანქანით, ცხენით და ფეხით გავლილია ძველი გზა: ახმეტა—ალვანი—ლალისყური—თორღვას აბანო—მელთკუდა—აკაეტის ხორხი—ომალო. დავბრუნდით ვერტმფრენით (ომალო-თელავი).

ჩვენს შესასწავლ საკითხებზე დაკვირვების სფეროდ თუშეთის აღება გარკვეულ მოსაზრებებს ემყარება, რის შესახებაც ქვემოთ იქნება აღნიშნული. ამჟამად კი საჭიროდ მივიჩნევთ თვით ამ კუთხის — საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი და საკუთარი იერსახის მქონე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის აღდგენას იმ მიზნით, რომ უფრო ნათელი გახდეს სოციალურ-ისტორიული მოვლენების დინამიკა და თვით ამ დინამიკური პროცესების შინაგანი მექანიზმი. ამას კი თავის მხრივ, მნიშვნელობა აქვს დღევანდელობის კუთხით დასმული საკითხების გარკვევისათვის.

საკუთრივ თუშეთის, ისევე როგორც საქართველოს მთის სხვა ისტორიულ-ტერიტორიული კუთხეების, ადრინდელი წარსული ჯერ კიდევ ბევრ გაურკვევლობას მოიცავს. ამ კუთხეთა ისტორიის კვლევაში, ჩვენთან დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ჯერჯერობით ისევ ეთნოგრაფიას და ნაწილობრივ ფოლკლორს უჭირავს წამყვანი ადგილი. სამეცნიერო ლიტერატურაშიც, შესატყვისად, აღნიშნული დარგების მონაცემები ჭარბობს. რომელიმე მოცემული საზოგადოების უძველესი ისტორიის კვლევისათვის ეთნოგრაფიას ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს ვერ იქნება კვლევის ერთადერთი და ამომწურავი საშუალება. მეთოდოლოგიურადაც ასეთი მიდგომა ნაკლოვანი აღმოჩნდება, მით უმეტეს თუ, ერთი მხრივ, მოცემულ საზოგადოებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და განვითარებაში წინ წასულია და, მეორე მხრივ, ეთნოგრაფიულ დაკვირვებას ამ დარგის ადრე მცდარად გაგებული დანიშნულების მიხედვით მხოლოდ განვითარების ადრინდელი (გვაროვნული) საფეხურის აღდგენა ევალება.

სხვათაშორის, სწორედ ასეთი განსხვავებული შეხედულებების წყალობითაა დღევანდელი მეცნიერული ცოდნა საქართველოს

მთის შესახებ ძნელ მდგომარეობაში. ამას ისიც ემატება რომ, თუ წინამორბედი ქართველი მკვლევარები საქართველოს ისტორიის ყველა პრობლემას ერთი ეთნოსის — ქართველი ხალხის, ქართველების შიგნით განიხილავდნენ, დღეს თავი იჩინა საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნიკურად განცალკევებულად შესწავლის ტენდენციამ. ცხადია, ეს უხეში შეცდომაა და ყოვლად მიუტევებელი. საქართველოს მთისა და ბარის ისტორია ერთმანეთს უპირისპირდება იმის ნაცვლად, რომ ქართველი ხალხის როგორც ეთნიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ისტორია მთლიანობაში განიხილებოდეს. საქართველოს ყველა ცალკე კუთხე, მათ შორის მთის კუთხეები, რომლებსაც ცხოვრების, ყოფის საკუთარი იერი დაჰკრავთ, არიან მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ-ტერიტორიული ერთეულები საქართველოსი, ქართველი ხალხისა. საქართველოს მთისა და ბარის გაყოფა შეცდომაა.

თუშეთსაც, რომლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული მომენტების აქ გახსენება გვსურს, ჩვენ ამავე პოზიციებიდან ვუდგებით, ხოლო თვით თუშეთის კონკრეტული ისტორიის მონაცემები ზემონათქვამის ნათელი ილუსტრაციაა. ცნობილია, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მთის რაიონები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის თანაცხოვრება მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ურთიერთგავლენას ახდენდა საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბების თვალსაზრისით და ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ობიექტურ სხვაობათა გამო ეს პროცესი შინაგანად ყოველთვის თანაბარი გამოხატულებისა არ იყო.

ნათქვამი შეეხება თუშეთსაც. თუშეთის, როგორც საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული კუთხის, გამოკვეთილად გაჩენის დრო და პირობები, ისევე როგორც ეს თანაბრად შეიძლება ვთქვათ საქართველოს სხვა კუთხეების მიმართაც, დღეისათვის ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის[1]. საკითხი რთულია და, ალბათ, მას პასუხს გასცემს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის მეცნიერული კვლევის დამაჯერებელი და სანდო შედეგები.

საკუთრივ თუშეთის ეთნო-სოციალურ ისტორიაში საყურადღებო და მნიშვნელოვანი პრობლემაა თუშებისა და წოვა-თუშების

[1] ეს კუთხე „თუშეთის“ სახელწოდებით პირველად მოხსენიებულია ლეონტი მროველის მიერ („ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, გვ. 126, 243).

(ბაცბების) გენეტიკური მიმართება. მეცნიერებაში თითქმის გადაწყვეტილად ითვლება, რომ წოვა-თუშები ჩაჩნურ-ინგუშური წარმოშობისანი არიან და ისტორიულ პროცესში მიგრაციული გაქონების შედეგად მოხდა მათი თუშებთან ასიმილაცია. ენობრივი და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით წოვა-თუშები დიდი ხნის გაქართველებულები არიან და მათს ამ შემორჩენილ სახელწოდებაშიც სწორედ ეს ისტორიული ცვლილებაა ასახული[2].

ვახუშტი ბაგრატიონი თუშებში ოთხ ჯგუფს (II თემს) გამოყოფს: წოვა, გომეწარი, ჩაღმა, ფარსმა. ამათგან გომეწარი და ჩაღმა „სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა", ხოლო წოვა და ფარსმა „სარწმუნოებით და ენით შერეულნი" (იგულისხმება ჩაჩნურ-ინგუშურთან ანუ ვახუშტისავე ენით ღლიღვ-ქისტურთან შერევა. მ. გ.)[3].

1831 წლის საკომლო აღწერის მიხედვით, თუშეთში 47 სოფელი იყო, რომლებიც თემების მიხედვით ასე ნაწილდებოდნენ: პირიქითში 12 სოფელი, გომეწარში —18, ჩაღმაში — 13, წოვაში — 4.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე მმართველობის შინაგანი სისტემა თუშეთში ტრადიციულ წესებს გამოხატავდა. შეერთების შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. მეფის ხელისუფლების გავრცელებამ გამოიწვია თუშეთის ახლებური დაყოფა. მოსახლეობა ექვს თემად განიწილდა: დართლოს, ფარსმის, ომალოს, ნაციხვარის, ჯვარ ბოსელის და ილიურთის თემებად. ყველა ეს თემი სამი წლით ირჩევდა მამასახლისს: მამასახლისს ჰყავდა ორი ან სამი მოადგილე — ნაცვალი, რომლებიც აგრეთვე სამი წლით აირჩეოდნენ. არჩევნებში თემის მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას.

თუშების ბარად მასობრივმა ჩამოსახლებამ მდგომარეობა არსებითად შეცვალა. ეს პროცესი XVIII ს. ბოლოს დაიწყო, მაგრამ მკვეთრი გამოხატულება მან მიიღო ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში. პირიქითის თემის დიდი ნაწილი დასახლდა ზემო ალვანში. სხვა დანარჩენი სამი თემის მოსახლეობა ჩაესახლა სოფელ გომეწარში, რომელსაც ამჟამად ქვემო ალვანი ეწოდება. ცხოვრობენ თუშები მეზობელ სოფლებშიც: ლალისყურში, ფშაველში, ლეჩურში.

---

[2] შდრ. В. А. Эланидзе, Социально-политическое развитие Тушети в эпоху феодализма (автореферат канд. диссертации), Тб., 1968, с. 6.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 104—105.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თუშეთის, ისე, როგორც სხვა მთიანი რეგიონების შესწავლაში ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მუშაობა უფრო ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება საკუთრივ ისტორიულ კვლევას, ეს მუშაობა ფართოდ და თანმიმდევრულად ახლახან გაიშალა. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთის ისტორიული განვითარების სპეციალურ შესწავლას ალბათ მართლაც ახალი, საკუთარი მეთოდოლოგიაც დასჭირდება, როგორც ამაზე სამართლიანად გაამახვილა ყურადღება, სამწუხაროდ, მხოლოდ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს, აკად. ნ. ბერძენიშვილმა (სვანეთთან დაკავშირებით). არც თუშეთის არქეოლოგია გვაქვს ისევე, როგორც დღეს ჯერ კიდევ არა გვაქვს საქართველოს მთის სრული მეცნიერული არქეოლოგია.

მიუხედავად სპეციალური მიზანმიმართული მუშაობის არარსებობისა, ბოლო ათი წლის მანძილზე იყო ცდები თუშეთის ისტორიული გამოკვლევისა, რომელთაგან უნდა გამოყოფით აღინიშნოს ვალერიან ელანიძის ნაშრომი „თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ეპოქაში"[4]. ეს ნაშრომი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში პროფ. შ. დუმბაძის ხელმძღვანელობით და იქვე იყო დაცული, როგორც საკანდიდატო დისერტაცია. ამ ნაშრომში დღესდღეობით ყველა ხელმისაწვდომი მასალაა გამოყენებული და გაანალიზებული — ქართული და რუსული საარქივო მონაცემები, ეკონომიკურ-სტატისტიკური მასალა, დოკუმენტური წყაროები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები და სხვ.

ნაშრომის საერთო ან სპეციალური შეფასება ჩვენი არც მიზანია, არც კომპეტენცია, მით უმეტეს ეს უკვე თავის დროზეა გაკეთებული.

ამჟამად ამ ნაშრომს მასში გამოყენებული ფაქტიური მასალის თვალსაზრისით მივმართავთ და მისი ანალიზის შედეგად ავტორის მიერ მიღებულ ცალკეულ დასკვნებს ვიყენებთ და ვემყარებით.

რა არის თვალსაჩინო? — თუშეთი — ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი ქართული რეგიონი, ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთის ბართან. ქართული სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თუშეთი კახეთის საშუალებით, როცა ის კახეთის ნაწილად განიხილებოდა, ზოგჯე-

---

[4] ჩვენც აქ ძირითადად ვ. ელანიძის ამ ნაშრომით ვსარგებლობთ.

რაც ცალკე (მაგ., თუშეთის სამოურაო), კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციების შესაბამისად, საქართველოს ცხოვრებაში უშუალოდ იყო ჩაბმული.

ყბადაღებული თეზისი საქართველოს მთის ისტორიული კარჩაკეტილობის, ბარისაგან მოწყვეტილობის, საერთო ჩამორჩენილობის შესახებ თუშეთის მაგალითზეც უსუსურად და ტენდენციურად გამოიყურება. ასევე მცდარი ჩანს იმავე მაგალითზე მთის შინაგან სოციალურ ორგანიზაციაში გახანგრძლივებული გვაროვნული წყობილების გულვება. თუშეთის პირობებისათვის დადგენილი წესი (პერიოდი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე) ამ რეგიონში მიწათსარგებლობის თემური ფორმების არსებობის შესახებ „თემურობის" იმავე სპეციფიკას შეიცავს, რაც სხვა კუთხეებისათვისაც იყო დამახასიათებელი: მიწის მფლობელი იყო თემი — თუშეთში რამდენიმე სოფლისაგან შემდგარი. ე. ი. ტერიტორიული თემი, ხოლო მიწა სარგებლობისათვის კომლობრივ ნაწილდებოდა. მაგრამ, რომ კომლობრივი, ე. ი. კერძო სარგებლობაში მყოფი ეს სათემო მიწა თემის საკუთრება არ იყო ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რეალურად ხელმისაწვდომი დოკუმენტური წყაროებით (ეს წყაროები კი გვიან ფეოდალური ხანისაა), თუშეთი ქვეყნის სამეფო კარს ყოველწლიურ საგანგებო გადასახადს უხდიდა — ე. წ. „საბალახოს". საბალახოს შემადგენლობა და მოცულობა კომლობრივ აღირიცხებოდა ნატურით (ცხვარი და ბატკანი) ან ზოგჯერ ფულად გადასახადში. ცნობილი მოღვაწის მ. მაჩაბლის გამოანგარიშებით, თუშების განკარგულებაში მყოფი მიწის ფართობი 975,50 დესეტინას შეადგენდა. აქედან სახნავ-სათესად გამოიყენებოდა 565,30 დესეტინა, ხოლო 410,20 დესეტინა შეადგენდა ალპურ ზონას — საზაფხულო საძოვრებს.

თუშების საერთო მფლობელობაში იყო ცნობილი ალვანის მინდორიც, რომელიც საერთო ჯამში 2160,5 ჰექტარ მიწას შეიცავდა. თითოეულ ოჯახს გამოყოფილი ჰქონდა განსაზღვრული ოდენობის მიწა აქ დასასახლებლად ან დასამუშავებლად. ალვანის მინდორი, როგორც ზამთრის საძოვარი, თუშების მფლობელობაში ძალიან დიდი ხნის წინათვე უნდა ყოფილიყო. XVI საუკუნიდან კი ეს ფაქტი დოკუმენტურად დასტურდება სამეფო ბრძანების სიგელების სახით.

ამ ფაქტში ისტორიკოსები ცენტრალური ხელისუფლების ორმხრივ დაინტერესებას ხედავდნენ — მეცხვარეობის განვითარე-

ზისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და თუშების ეკონომიკურ და პოლიტიკურ კაბალაში მოქცევას.

ალვანის ველზე თუშების მასობრივად ჩამოსახლებამ მათი საზამთრო საძოვრების გეოგრაფიული საზღვრების შეცვლა გამოიწვია შირაქისა და სამუხის ველების მიმართულებით, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ამ ადგილებს თუშები ბევრად ადრე იცნობდნენ და იყენებდნენ, ვიდრე მათი ბარში ჩამოსახლება მოხდებოდა.

დადგენილია თუშების ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის ბევრი საინტერესო ისტორიული ფაქტი — საერთო-საქვეყნო საქმეებში ჩახედულობა, ბრძოლებში გამოსვლა, დიპლომატიურ სარბიელზე მონაწილეობაც კი საქართველო-რუსეთის, საქართველო-სპარსეთის, საქართველო-დაღესტნის და სხვ. ქვეყნების ურთიერთობაში.

ამ მხრივ მარტო 1659 წლის ცნობილი აჯანყების გახსენება იკმარებდა, რომელსაც თუშები ედგნენ სათავეში და რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო სპარსელების მიერ ჩამოსახლებული თურქი მომთაბარეებისაგან კახეთის გათავისუფლება.

მაგრამ ყველა დასახელებული მოვლენის (და ისეთებისაც, რომელთა აქ აღნიშვნა ვერ მოხერხდა) ახსნისათვის მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ეკონომიკური ფაქტორისა და საწარმოო ძალთა განვითარების ტენდენციების ისტორიულ შეფასებას[5].

ხანგრძლივი განვითარების მანძილზე თუშეთის სამეურნეო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი, მსგავსად სხვა ქართული მთის რეგიონებისა, მესაქონლეობას მოუპოვებია. თუშთა განსახლების მაკრორეგიონის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ადგილობრივმა სპეციფიკამ, უთუოდ, ხელი უნდა შეეწყო მესაქონლეობის მრავალფეროვანი დარგებიდან მეცხვარეობისა და მეცხენეობის დაწინაურებისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტებს, რქოსან საქონელს, ცხვარს თუშები ცვლიდნენ კახეთში ღვინოსა და პურზე, ბორჩალოსა და ყაზახის თათრებში — მარილზე. თუშები ვაჭრობდნენ ამავე პროდუქტებით მეზობელ ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან, ხოლო თუშური ყველითა და მატყლით სავაჭროდ უფრო შორს მიდიოდნენ.

---

[5] გრ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ეკონომიკური დარაიონება, თბ. 1970.

თუშეთში მეცხვარეობის დაწინაურება, ცხადია, მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაფართოების პერიოდთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს. ეს ბევრად ადრინდელი, თანმიმდევრული განვითარების შედეგია და ამავე დროს კახეთის მთისა და ბარის საწარმოო ძალთა ურთიერთმოქმედების და შრომის საზოგადოებრივი ისტორიული განაწილების თავისებური გამოხატულება[6].

რასაკვირველია, ამ მოვლენის საერთო შეფასებაში კონკრეტული სოციალურ-ისტორიული ფაქტორების მნიშვნელობა გასათვალისწინებელია, მაგრამ მთავარი ამ მხრივ მაინც მოვლენის საერთო ობიექტური ხასიათია. ამის დასამტკიცებლად ზემოთ მოტანილი მასალაც იკმარებდა, მაგრამ აქ მაინც გვინდა ვახუშტი ბაგრატიონის ლაკონური დახასიათება მოვიყვანოთ: „არამედ კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მათთა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმამჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა. ...ხოლო ფარშმანი უფრო მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზდებიან(ნ) კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ"[7]. მთისა და ბარის ასეთი ობიექტური, იძულებითი კავშირის შესახებ სხვაგანაც ლაპარაკობს ვახუშტი, როცა ის ფშავ-ხევსურეთის დახასიათებას გვაძლევს: „სიმწირისათვის მონებენ ვისაცა უპყრავს თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ"[8].

საქართველოს მთისა და ბარის ასეთი კავშირი, როგორც ობიექტური კანონზომიერების გამოხატულება და შედეგი, ბუნებრივია, ქვეყნის საწარმოო ძალების საერთო განვითარებას უწყობდა ხელს[9]. თუშეთის მაგალითი გვაჩვენებს ამ ორმხრივი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიულ შედეგებს სხვადასხვა ასპექტით, რომელთაგან ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს მთავარი — სამეურნეო-ეკონომიკური და სამეურნეოკულტურული ასპექტები.

თუშური ცხვრის, თუშური ცხენის (იგივე კახური ცხენის, რომელიც ფართო საექსპორტო საგანი იყო შუა საუკუნეების სა-

---

[6] გრ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.

[7] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., 1941, გვ. 102.

[8] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 92.

[9] შდრ. მ. გეგეშიძე, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი კულტურულ-სამეურნეო კავშირურთიერთობის შესახებ. „მაცნე", 1973, 2.

ქართველოში), მესაქონლეობის სახელგანთქმული თუშური პროდუქტების შექმნა მთისა და ბარის ამ ორმხრივი კავშირისა და ხანგრძლივი საწარმოო შემოქმედებითი ჩვევებისა და ტრადიციების გამოხატულებაა.

ამ საწარმოო ტრადიციებს სოციალურ პლანში, თავის მხრივ, მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს, რომელთაგან ჩვენი საკვლევი თემის მიზანდასახულების შესაბამისად პირველ რიგში უნდა გამოიყოს წარსული და თანამედროვე ძირითადი საწარმოო-დარგობრივი საქმიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები. ამის გამოყოფა კი იმისათვის არის აუცილებელი, რომ ეს გვეხმარება ბევრი თანამედროვე სოციალური პრობლემის უკეთ გაგებაში. ეს პრობლემებია კონკრეტულ სოციალურ გარემოში საწარმოო ორიენტაციის სპეციფიკა, საწარმოო პროფესიების პრესტიჟი, თაობათა ურთიერთობა ტრადიციულ და არატრადიციულ საწარმოო სფეროებში, ტექნიკური პროგრესის სოციალური და სოციალურ-კულტურული შეფასება, ტექნოგენური ინოვაციების საფუძვლების გარკვევა მოცემული სოციალური გარემოს თავისებურებებთან მიმართებაში და სხვ.

ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელთა ახლო წინაპრები თუშეთიდან არიან აქ ჩამოსახლებულნი, ხოლო ასეთი ნაწილი კი ამ სოფლების მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს შეადგენს, ბარული ცხოვრების წესის სრულ „გამოვლინებას“ ახდენს. „ბარული ცხოვრების წესს“ რაიმე განსაკუთრებული და განსხვავებული ნიშნით კი არ ვხმარობთ, არამედ ვგულისხმობთ საწარმოო დასაქმების ამ გარემოსათვის შესაფერ სტრუქტურას, რაც პირველ რიგში მრავალდარგოვან მიწათმოქმედებაში გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მექანიზაციის შესაფერი დონით.

სამეურნეო-საწარმოო ბრიგადებში ადგილზე წარმოებული პირადი დაკვირვებით, აგრეთვე სამიწათმოქმედო საქმიანობაში ჩაბმულთა გამოკითხვით გაირკვა საქმის კარგ ცოდნაზე დამყარებული თვალსაჩინო შრომითი აქტივობა, ფართო წვდომა ადგილობრივი მიწათმოქმედების ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ არსში, სამიწათმოქმედო მანქანური ტექნიკის უფრო ფართოდ გამოყენებისადმი მისწრაფება, ტექნიკური ცოდნის სრულყოფის სურვილი[10]. ამის გამო სრულიად კანონზომიერი ჩანს სასაუბრო მასა-

[10] В. П. Жеженко, Н. Е. Овчинников, Х. Шарипов, Техника, труд и человек, М., 1963.

ლაში (ინტერვიუ) თანამედროვე ტექნიკური ლექსიკის საკმაო მრავალფეროვნება, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი გაფორმებით ისინი ქართული ენის სასაუბრო ნორმებს ძნელად ემორჩილებიან. ბუნებრივია, აქ დავინახოთ ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცოდნის დიფერენცირებული გავრცელება არა იმდენად მწიგნობრულ ბაზაზე, რამდენადაც საკუთარი საწარმოო გამოცდილების გზით.

რაც შეეხება უშუალოდ სამიწათმოქმედო პროცესების აგრობიოლოგიურ ცოდნას, ესეც ძირითადად ხალხურ საწარმოო ემპირიკაზეა დამყარებული, თუმცა ცალკეულ პრაქტიკულ განსაზღვრებებში თანამედროვე მეცნიერული ცოდნის ელემენტებიც შეიმჩნევა, რომელთა აქ არსებობა სამიწათმოქმედო ტექნიკის ფართო შემოღწევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. დაკვირვება გვიჩვენებს ამ მოვლენების განვითარების ტენდენციებს, განსაკუთრებით, სოფლის მშრომელთა ახალგაზრდულ ნაწილში. მოსალოდნელი სოციალური შედეგი კი შემდგომ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ქართული მეცხვარეობის მთა-ბარულობა იყო და არის ამ დარგის ძირითადი სპეციფიკა და საარსებო პრინციპი. ეს პრინციპი მდგომარეობს ცხვრის ზაფხულისა (ალპური) და ზამთრის (დაბლობის ველები) საძოვრების რეგულარულ კალენდარულ მონაცვლეობაში. ტერიტორიული მონაცვლეობა დროთა განმავლობაში სივრცობრივი ცვლის კანონზომიერ გამოხატულებად იქცევა. საწარმოო-ეკონომიკურ ჭრილშიც და სოციალურ ჭრილშიც ეს კანონზომიერება უკვე ერთგვარი სისტემაა შინაგანი ურთიერთმოქმედი კომპონენტებით.

ტერიტორიული მონაცვლეობა მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის სამეურნეო-გეოგრაფიულ გარემოში თანაბრად აყენებს საკვების, გზის, უსაფრთხო მოძრაობის, ბიო-ფიზიოლოგიური ცვლილებების, შრომის სოციალური ორგანიზაციისა და სხვა პრობლემებს.

ხანგრძლივ საწარმოო საფუძველზე დამყარებულ სამეურნეო პრაქტიკაში ეს პრობლემები ემპირიულად წყდება. ყალიბდება ემპირიული სამეურნეო ტრადიციები მნიშვნელოვანი და საყურადღებო მატერიალურ და სოციალურ-კულტურული ასპექტებით. თავისთავად ეს პროცესი დიდ სიძნელეებს ხვდება, ხშირად რთულს და არც თუ იოლად გადასაჭრელს, რაც დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ხასიათის პრობლემებთან და სიტუაციებთან.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თვით თუშეთი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი ისტორია, როგორც ზოგადი ექსკურსიდანაც ვნახეთ, ფაქტიურად ზამთრის საძოვრებისათვის ბრძოლაა ჯერ კიდევ დიდი ხნიდან გაღმა მხარში, ალაზნის მარცხენა ნაწილში, ალვანის ველზე, ხოლო ამ ადგილებში მათი ჩამოსახლების შემდეგ კი — შირაქში.

მომთაბარული მეცხვარეობის ეს დარგობრივი სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკა, რაც მისი ტერიტორიულ-მოძრავი ხასიათიდან გამომდინარეობს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ მომენტებსაც უკავშირდება და გამოხატავს.

პირველ რიგში აღსანიშნავია მიკრო და ზოგჯერ მაკრო-სამეურნეო და სოციალური გარემოს იძულებითი ცვლა, რაც, სხვათა შორის, არც ერთი ძირითადი სამეურნეო პროფილის სხვა დარგისათვის არ არის დამახასიათებელი. სამეურნეო გარემოს ცვლა მარტო გეოგრაფიული მოვლენა არ არის, სოციალურ პლანში მას ბევრი თანმხლები მომენტი სდევს.

აღსანიშნავია სოციალურ-ფსიქოლოგიური სიძნელეები „საკუთარი სამეურნეო და საცხოვრისი გარემოდან" დროებით გასვლისა, რაც თავის მხრივ, უკავშირდება სამარშრუტო მანძილის დაფარვის სიძნელეებს, ნაწილობრივ კი — ახალ სამეურნეო გარემოში მოწყობის სპეციფიკას. ძველ დროში ეს პროცესები სოციალურ-პოლიტიკური დონის მოვლენებსაც უკავშირდებოდა, რაშიც ისევ თუშეთის მაგალითით ვრწმუნდებით, ხოლო ასეთი პროცესების სპეციფიკა და სოციალურ-ეკონომიკური არსი საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მასალაზე აქვს ახსნილი და შეფასებული ივ. ჯავახიშვილს[11].

სოციალისტური მეურნეობისა და წარმოების წესის პირობებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, სამეურნეო-რეგიონალური კავშირურთიერთობები ახალ პრინციპზეა დამყარებული, წარმოიშვა ახალი, თვისებრივად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური კავშირები, ურთიერთგაგება, ურთიერთდახმარება.

ამასთან ერთად ვიცით, რომ საქართველოში ბევრი საწარმოო-სამეურნეო დარგი ისევ ტრადიციულ ფორმებს და პრინციპებს ემყარება.

ეს პირველ რიგში მთის ზოლის სამეურნეო სფეროებს ეხება და განსაკუთრებით კი მთურ მესაქონლეობას, რომელმაც ბევრი

---

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1918.

რამ ტრადიციული საკუთრივ ბარულ მესაქონლეობასაც შემატა.

ასეთ პირობებში საგრძნობი სიმწვავით იჩინა თავი ტრადიციული ფორმების შემდგომი რაციონალიზაციისა და განვითარების საჭიროებამ, მეორე მხრივ, ზოგიერთი ტრადიციული ფორმის შეცვლის მიზანშეწონილობამ, თავის მხრივ, სამეურნეო-ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისა და განვითარების აუცილებლობამ, რაც საერთო წინსვლის, პროგრესის აუცილებელი პირობაა[12].

რამდენადაც ასეთ ზოგად საკითხებზე მსჯელობა ამ შემთხვევაში მეცხვარეობის საკითხებს დაუკავშირდა და ამ დარგის მდგომარეობა უნდა წარმოიჩინოს შესასწავლი რეგიონის — თუშეთის მაგალითზე, ჩვენ უშუალოდ შევეხებით კონკრეტულ მონაცემებს დოკუმენტური მასალებისა და საკუთრივ სოციალური ინფორმაციის მიხედვით, რაც ადგილზეა მოპოვებული.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საჭირო, უკეთ — საჭირბოროტო როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობით ცხვრის ტრასების საკითხის ცალკე გამოყოფა.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში იყო რამდენიმე ცდა ცხვრის ფარების ტრანსპორტირებისა მექანიზებული საშუალებებით, ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე, და პირიქით, ცხვარი სართულებად მოწყობილი ავტომანქანებით გაჰყავდათ. იყენებდნენ სარკინიგზო ტრანსპორტსაც (1974 წლის აპრილ-მაისში წითელწყაროს რკინიგზის სადგურზე პირადად ჩვენ რამდენჯერმე დავესწარით სატვირთო ეშელონში ცხვრის ფარების შეყვანას, შირაქის ზამთრის საძოვრებიდან აქ თავისი ფეხით ჩამოყვანილი ცხვარი რკინიგზით მარნეულამდე გადაჰყავდათ, საიდანაც ცხვარი უნდა გაერეკათ მიჩენილ საზაფხულო საძოვრებზე მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით).

ცხვრის მექანიზებული წესით ტრანსპორტირება ახალი, დღევანდელი განვითარებისათვის შესაფერი წესია. ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება საერთო განვითარებას უწყობს ხელს. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს ახალი წესი ტრადიციულ წესთან დაპირისპირებაში ბევრ არსებით ნაკლს შეიცავს, რის გამო უპირატესობა ძველ, ტრადიციულად გამოცდილ წესს დარჩა. მაგრამ ეს ტრადიციული წესიც რომ დღევანდელი განვითარების საერთო ფონზე შეცვლას, შევსებას მოითხოვს, ესეც ფაქტია.

მაშასადამე, პრობლემა გადასაწყვეტი რჩება.

---

[12] В. П. Жёжеленко, Н. Е. Овчинников, Х. Шарипов, დასახ. ნაშრ.

რა სიძნელეებია დასაძლევი? როგორც ჩანს, უმთავრესად იმის გამო, რომ თუშეთს ფართო და საუცხოო ალპური საძოვრები აქვს, ხოლო მეცხვარეობის პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა ამ გზით უფრო არის შესაძლებელი, ძალაში დარჩება მეცხვარეობის ტრადიციული მთა-ბარული ფორმა.

ვერტიკალური ზონალობის სიმკვეთრე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზაფხულის საძოვრებისა და ზამთრის საძოვრების გეოგრაფიული, განსაკუთრებით ზღვის დონიდან სიმაღლეთა ამპლიტუდა დიდია (საშუალოდ 600—3 500 მ), ძალაში სტოვებს ცხვრის ბიო-ფიზიოლოგიური ადაპტაციის სიძნელეებს. ტრადიციული ემპირიკა გვაჩვენებს, რომ სიმაღლეთა ასეთი სხვაობის დაძლევა ცხოველის ორგანიზმისათვის მხოლოდ თანდათანობით არის შესაძლებელი და გამართლებული და არა უცბად.

თანდათანობითი დაძლევა ორგანიზმის თანდათანობით შეჩვევას, შეგუებას გულისხმობს სიმაღლის ცვლილებით გამოწვეულ გარემოპირობების ნაირგვარობასთან.

თუშეთიდან შირაქისაკენ გარეკილი ცხვარი გზაში 10—12 დღე იმყოფება. ბარიდან მთაში აყვანას კი ბევრად მეტი სჭირდება. მოძრაობაში გამოყენებული ეს დრო ხალხური დაკვირვებით საჭიროა ცოცხალი ორგანიზმის ადაპტაციური ცვლილებებისათვის (გადარეკვის სეზონის მოსვლისას ბარში ერთ ადგილას დიდხანს გაჩერებული ცხვარი, რომელიც შედარებით სწრაფად აიყვანეს მთაში, შესაძლებელია, როგორც აქ იტყვიან „ნაბარევი“ ანუ „ჩასიცხული“ იყოს და ვერც გაუძლოს მთის ჰაერისა და წყლის უცბად შეცვლას).

ავტოტრანსპორტის გადაყვანას ზემოთქმულთან ერთად ის ნაკლიც აღმოაჩნდა, რომ მოძრაობის დროს ცხვარი ერთმანეთს ეხეთქება და ზიანდება („იბეჟებიან და იხოცებიან“).

აქვე გასათვალისწინებელია, რომ რელიეფური სიძნელეების გამო ვერ ხერხდება ცხვრის მიყვანა დანიშნულების ადგილებამდე. ეს განსაკუთრებით შეეხება საზაფხულო საძოვრების რეგიონებს.

არის სხვა სიძნელეებიც, რომელთა ერთად გათვალისწინება მნიშვნელოვნად ჩრდილავს ტრანსპორტირების ტექნიკური საშუალებების სიკეთეს მეცხვარეობაში. მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობა ცალმხრივ ხასიათს მიიღებდა, რომ აქვე არ იყოს განხილული და შეფასებული მეორე მომენტიც, რომელიც დღევანდელი განვითარების პროცესებს უშუალოდ უკავშირდება და მისგანვე გამომდინარეობს: საკითხი ეხება მეცხვარეობის ძველი, ტრადიციული მომთაბარეობის პირობებში, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს,

ცხვრის გადასარეკი ტრასების პრობლემას — ტრასების ფიზიკურ მდგომარეობას და პრაქტიკული გამოყენების ეფექტს.

სოციალური ინფორმაციის მთელი მასალა, რომელიც ამ საკითხზე სულ სხვადასხვა გარემოშია მოპოვებული (ახმეტა, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, აგრეთვე წითელი წყარო, კასრის წყალი, ელდარი) ერთხმად მიუთითებს ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაზე. ეს არის ცხვრის ტრასების მდგომარეობა და ვარგისიანობა ცხვრის მოძრაობისათვის. ეკონომიკურ, ზოტექნიკურ და სხვა ხასიათის ლიტერატურაში ეს საკითხები სათანადოდ არის შესწავლილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ამ საქმის რეალური მდგომარეობა ჩვენი დაკვირვების სფეროში შემავალ საკითხებთან და ტერიტორიებთან დაკავშირებით.

მეცხვარეობის დარგის საწარმოო სფეროში ჩაბმული მუშაკების, სპეციალისტების საერთო აღიარებით ცხვრის გადასარეკი ტრასები მძიმე მდგომარეობაშია, ზოგან აღარც არის. ტრადიციულად ეს ტრასები თავისი გარკვეული და დადგენილი მარშრუტით იყო ცნობილი, რომლის ნაპირა საზღვრები მტკიცედ გამოკვეთილი არ იყო. ამ ტრასაზე მიმავალი ცხვარი გზაშივე იკვებებოდა ბალახით და ისვენებდა. დღეს ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილია, რადგან ტრასების ეს ფართობი ადგილობრივი სამეურნეო მიზნებით არის ათვისებული — მოხნულია, გაშენებულია სამეურნეო კულტურები. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, დამუშავებულ ფართობებს მავთულხლართი აქვს შემოვლებული: გასავლელი ცხვრისათვის ვიწრო ზოლადაა დატოვებული და ჩვეულებრივ იგი შარაგზას ან ასფალტს მიუყვება. ძველად ტრასებზე დასასვენებელი ადგილები იყო, მაგალითად, თელავის ბოლოზე, გურჯაანის ბოლოზე, ჩუმლაყის ბოლოზე, წნორთან, ვაქირის ბოლოზე, ეს ადგილები დღეს სულ მოხნულია და ცხვარი მშიერი მიდის, ამასთან ვიწრო გზით მარტო მტვერში სიარული ცხვრის დაავადებას იწვევს.

იმ პირთა მონაწილეობით, რომელთაც უხდებოდათ და უხდებათ თუშეთ-შირაქის მარშრუტებზე ცხვრის ტარება, ჩვენ შევეცადეთ გეოგრაფიული ნიშნით აღგვედგინა ეს ტრასები. კოლექტიურმა ინფორმაციამ (პასუხს ერთად იძლეოდა 4 პირი), ჩვენი აზრით, უზრუნველყო მეტ-ნაკლები სიზუსტე როგორც ტოპონიმიკურ, ისე მიკროგარემოთა მოკლე დახასიათებებში (მასალა ინახება ჩვენთან, მ. გ.).

ტ რ ა ს ე ბ ი: თ ო რ ღ ვ ა ს გ ზ ა—აბანოსხევი, სტორი, ლეჩური, ფშაველი, შაქრიანის ხიდი, კონდოლი (უერთდება ცენტრალურ ტრასას — არხის პირს).

ყ ა დ ო რ ი ს გ ზ ა — პირიქით ალაზანი (ანდიისყოისუ) ხუფრი, ხოტრახო, ყვითილა, ჯაჭვის ხიდი, საბუე, ენისელი, შაქრიანი, წნორი, გედიქი, ელია, მირზაანი, პატარა შირაქი, შირაქი, სამუხი.

ა ლ ა ზ ნ ი ს თ ა ვ ი ს გ ზ ა — ომალო, ბოჭორმა, დოჭუ, ბეღელა, ჯვარბოსელი, კოკლათა, ვეძისხევი, ვერხოანი, წარო, წოვათა, ალაზნის თავი, წიფლოვანი, ტბათანა, ძიბახევი, ბირკიანი, მატანი, ახმეტა, რუისპირი, კურდღელაური, კონდოლი (უერთდება ცენტრალურ ტრასას — არხის პირს).

ლ ა ფ ა ნ ყ უ რ ი ს გ ზ ა — ომალო, ცოკალთა, შავიკლდე, ოთხწყარო, საირმოს ღელე, ბოკვიან ღელე, ლაფანყური, ნაფარეული, შაქრიანი.

ჩამოთვლილი ტრასებიდან უპირატესობას ანიჭებენ ყადორისას და მეტწილადაც ამით დადიან („ცხვარს აქედანაც და იქიდანაც საძოვარი აქვს, მშიერი არ დარჩება, გზაში 15 დღეა, შორს უვლის, თან სძოვს“).

დასახელებული ტრასებიდან ზოგიერთი, ცალკე მონაკვეთების მიხედვით, უშუალოდ ჩვენც გვინახავს. მაგალითად, 1974 წელს ვნახეთ მონაკვეთი „გედიქის ხევი — გამარჯვება (უზუნდარა) — ელია“ (პატარა შირაქისაკენ). 1975 წ. მონაკვეთი „ლალისყური — ლეჩური — თორღვას აბანო — საცხვრე კორჯი — ფიცრის ჭალა“ (II ჭანჭახოვანი), 1975 წ. მონაკვეთი „ბირკიანი — მატანი — ახმეტა — რუისპირი — კურდღელაური — კონდოლი“. უფრო ადრე — 1940 წ. მონაკვეთი „საბუე — ყადორი — ხუფრი — ხუტრახო“ („ენიმკის“ ინსტიტუტის დიდოეთის ექსპედიციის შემადგენლობაში).

საზოგადოებრივი აზრის მონაცემები ცხვრის გადასარეკი ტრასების მდგომარეობის შესახებ სინამდვილეს სწორად ასახავს. სწორია ცნობები შირაქსა და სამუხში საძოვრების შემცირების შესახებ: „სამუხში წინათ სამ სულ ცხვარზე გაანგარიშებული იყო 1 ჰექტარი, ეხლა კი 6—7 სულს ვაყენებთ. უჭირთ“.

დღევანდელი თუშეთის შესახებ რამდენიმე ნარკვევია დაწერილი, მათ შორის მწერალ თინა დონჟაშვილის ჩანაწერები. ეთნოგრაფიული კუთხით თუშეთის დღევანდელობაა დანახული თ. ოჩიაურის სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში „სტუმრად თუშებთან“ (1969), არის სხვა ხასიათის ცალკე წერილებიც. გადალე-

ბულია სპეციალური კინონარკვევი თუშეთის შესახებ, რომელშიაც წინ არის წამოწეული თანამედროვე ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების რამდენიმე ასპექტი. ველზე მუშაობის დროს ადგილზე შევხვდით კინომუშაკთა და მსახიობთა კოლექტივს, რომელთაც გადაიღეს მხატვრული ფილმი მეცხვარეობის წლიური ციკლის შესახებ სახელწოდებით „წელიწადის ოთხი დრო" (შემდეგ ეწოდა „თუში მეცხვარე").

დავრწმუნდით, რომ ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი და ხვალინდელი პრობლემების გასარკვევად უთუოდ მნიშვნელობა ექნება საზოგადოებრივი აზრის შესწავლას ფართო, კომპლექსური პროგრამით, რაშიაც სათანადო ადგილი უნდა დაიჭიროს თუშეთის ბარისა და მთის მოსახლეობის კონკრეტულ-სოციოლოგიურმა შესწავლამ. თუშეთი დღეისათვის დაშლილია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ომალოს სასოფლო საბჭოში 1966 წლის სააღრიცხვო მაჩვენებლებით გაერთიანებულია თვით ომალოს ჩათვლით 23 სოფელი[13]. ესენია: ომალო, შენაქო, დიკლო, ჯვარბოსელი, ვაკისძირი, ვესტმო, ილურთა, ვესტომთა, გოგლურთა, დოჭუ, ბოჭორმა, ჭეშო, ქუმელაურთა, ხისო, შტროლთა, ნაციხარი, ჩიგლაურთა, ხახაბო, დართლო, დანო, ყვავლო, ქველურთა. აქაურ სოფელთა რიცხვი თუშების ბარში ჩასახლებამდე დიდად შემცირებულია, მაგრამ თვით ამ დარჩენილ სოფლებშიაც მოსახლეობა თითზე ჩამოსათვლელია. — ზამთრობით ამ 23 სოფლიდან საცხოვრებლად რჩება ხალხი 4—5 სოფელში, ისიც თითოეულში 2—3 კომლი, უპირატესად მოხუცები.

შედარებით გამოცოცხლება ეტყობა აქაურ სოფლებს ზაფხულობით, როცა ბარიდან აკითხავენ თავის საცხოვრებელ კარმიდამოს, ამათ რიცხვში არ შედიან მეცხვარეობაში დაბანდებული პირები (თუშები), რომლებიც ცხვართან ერთად ამოდიან აქ და მათთან ერთადვე ბრუნდებიან ბარში.

ბარიდან შუა გაზაფხულზე ამოსულნი ნაწილობრივ მცირე მასშტაბის ხვნა-თესვას მისდევენ. ზაფხულობით აქ ამოსულთა უმრავლესობის მიზანია ოჯახის მიხედვა და დასვენება. ამ მხრივ უფრო ხალხმრავლობაა დაბა ომალოში (არის სოფელი ომალოც. დაბა ომალოს ახლანდელ ადგილას სოფელ ომალოს წინათ ბოსლები ჰქონია), აგრეთვე შენაქოსა და დიკლოში, მნიშვნელოვნად ნაკლებია ხალხი პირიქითში, შინასატრანსპორტო მომსახურებისა-

---

[13] საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1966. იხ. „ახმეტის რაიონი".

თვის გარკვეულ პუნქტებში ამჟამად ვერტმფრენია გამოყენებული, მაგრამ ძირითად სატრანსპორტო საშუალებად ისევ ცხენი რჩება.

თვალშისაცემია თავისებურება, რომელიც უთუოდ შედარებით ახალი მოვლენაა, რომ სოფლის იმ ოჯახში, რომლებშიაც ხალხი ტრიალებს, როგორც წესი, ხნიერი ქალია დიასახლისის როლში და მას ბევრი ბავშვი ახვევია დაახლოებით 5-დან 11—12 წლის ასაკისა. ყველა ამ ბავშვს ერთი ქალი უვლის (ზოგჯერ დამხმარეც ჰყავს). ბარიდან დასასვენებლად ამოსული ეს ბავშვები დიასახლისის შვილიშვილები ან ახლო ნათესავები არიან. პირველი შთაბეჭდილებით ასეთი სახლები საბავშვო ბაღებს გვანან.

აღწერილი მოვლენა ალბათ იმის მაუწყებელია, რომ მიტოვებული თუშეთი თანდათან ისევ გამოცოცხლდება და საზაფხულო დასვენების კერად დარჩება. ომალოში საავტომობილო გზის შეყვანა ამ პროცესს დააჩქარებს. ახლო პერსპექტივით კი სავარაუდებელია საწარმოო სოფლის მეურნეობის დამკვიდრება, რასაც ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი გეგმა ითვალისწინებს და რომელშიც ნაგულისხმევია რეგიონის ეკოლოგიური სპეციფიკაც. უფრო მეტიც, რესპუბლიკაში ბოლო წლებში გააქტიურებული პოლიტიკა მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, რაც მატერიალურ სტიმულირებაშიც გამოიხატა, ბიძგს აძლევს სოციალურ ძვრებს, პირველ რიგში კი მთის რეგიონებიდან მიგრაციული ნაკადების შემცირებას და პარალელურად, მთის რეგიონების მიმართულებით ბარიდან რეემიგრაციული პროცესების დაწყებას, როგორც ეს ხდება სოფ. ჰერემის მაგალითზე. მსგავსი პროცესი რეემიგრაციისა, მართალია, ჯერ მცირე მასშტაბით, შევნიშნეთ თუშეთშიც ჩვენი ადგილზე საექსპედიციო მუშაობის დროს 1979 წ.

ცოცხალი ფუნქცია შერჩათ ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებს (ამ საკითხებს რამდენიმე წლის მანძილზე სწავლობს და მეცნიერულ-ტექნიკურ ფიქსაციას ახდენს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია მირიან ხუციშვილის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციის 1975 წელსაც შევხვდით თუშეთში. იქვე იყო სადაზვერვო მიზნებით მუზეუმის არქეოლოგთა ჯგუფი ტ. ლოსაბერიძის ხელმძღვანელობით). სახატო რიტუალები ეთნოგრაფიულად სრულად არის აღწერილი, ამიტომ აქ აღარ არის აუცილებელი მათი დახასიათება. დავსძენთ, რომ ჩვენი ყურადღება მიიქცია აქაურთა შინაგანმა ფარულმა

განწყობილებამ მოახლოებული სახატო დღეობისადმი. ასეთი დღეობები აგვისტოში მიყოლებით უნდა გამართულიყო ე. წ. შულტობის წესის დაცვით. სოციალური ინფორმაციის მასალები თავისებურ შუქს ფენს ასეთ დღეობათა სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. უთუოდ ანგარიშგასაწევია, მაგალითად, ასეთი განმარტება: „ძველი დღეობები ხალხს აკავშირებდა. გვარიც, ნათესაობაც, ადამიანობაც, ნამუსიც — ყველაფერი თითქოს ნამდვილი იყო. მივიდოდა, დროსაც გაატარებდა, მოილხენდა. აუცილებლად უნდა მისულიყო. ვერ გააცდენდა, ვაი თუ დავისაჯოო. ეხლა სულ მოუცლელობაა, მაგრამ გული მაინც მიუწევს".

საკითხი ჩამაფიქრებელია და პირველ ნაწილში საყურადღებო ვითარებაზედაც მიუთითებს — სახატო დღეობები მარტო ეთნოგრაფიული ნიშნით კი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ამას ჩვენ დღეს ვაკეთებთ, არამედ სოციოლოგიური კუთხითაც — დღეობა არის საზოგადოებრივი თავშეყრა. ადამიანი სოციალური არსებაა და მისთვის ასეთი თავშეყრა აუცილებელი მოთხოვნაც არის. ასეთი თავშეყრა წინათ ოჯახურ შემადგენლობით ხდებოდა, ოჯახური კავშირი კი ახლო და შორეული ნათესაური კავშირის გამოხატულებაც არის. ნათესაური კავშირები სოციალურობის ერთ-ერთი რელიეფური და არსებითი ფორმა იყო. თანამედროვე პირობებში ნათესაური კავშირების შესუსტება სოციალურ ღირებულებათა ახალი სისტემებით არის კომპენსირებული. ზოგიერთ ხალხში (მათ შორის ქართველებში) ნათესაური კავშირების შენარჩუნება ეთნიკური მთლიანობის შენარჩუნების მიზანდასახულებას ემსახურება. საზოგადოების ცალკეული ფენების საზოგადოებრივი აზრის მონაცემებიც ადასტურებენ ამას. მაშასადამე, ხატობა-დღეობების სოციალური შინაარსი გენეზისის თვალსაზრისით თუ ადრინდელია და რწმენა-წარმოდგენების სისტემებს თავისებურად ასახავს, რაშიაც ვარიაციული სხვაობით თავს იჩენს ხოლმე ეთნიკური და ტერიტორიულ-კუთხური თავისებურებანი, ამავე ხატობა-დღეობების სოციოლოგიური თავისებურება საზოგადოების თავშეყრის ზოგადი მოთხოვნის რეალიზაციას წარმოადგენს. საზოგადოების ამ რიგის თავშეყრა ძნელადღა განიხილება რელიგიური რწმენის უშუალო და ერთადერთ გამოხატულებად, თუმცა ხალხის გარკვეული ნაწილი სახატო დღეობასთან დაკავშირებულ წესსა და რიგს ისევ რწმენის საფუძველზე აღასრულებს.

აქ შეიძლება ერთი კერძო მოსაზრებაც გამოითქვას: ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი სახა-

ტო დღეობა ტერიტორიული ფუნქციით მეტ-ნაკლებად შეზღუდულია და, ჩვეულებრივ, უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტულ მაკრო ან. უფრო ხშირად, მიკრორეგიონს. ასეთ პირობებში სახატო დღეობა თავისებურად ამთლიანებს ამ რეგიონის გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ყველა კომპონენტსა და ელემენტს. ეს კომპონენტები კი, პირველ რიგში, ბუნებრივ-საწარმოო ძალთა ის ნაირგვარობაა, რომელთანაც ამ გარემოში ადამიანს ხანგრძლივი დროის საწარმოო-სამეურნეო ურთიერთობა და კონტაქტები ჰქონია; ამ საფუძველზეა აღმოცენებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების რეგიონალური სისტემებიც, რომელთა სოციალური შინაარსი, საბოლოო ჯამში, სხვა არაფერია თუ არა ნაყოფიერების, გამრავლებისა და კეთილდღეობისაკენ მიმართული თხოვნა-ვედრების გამოხატულება. ჩვევად ქცეული ეს რელიგიური ტრადიციები ღრმა ფესვების მქონეა და მათი სოციალური ძალა და გამძლეობაც იმაზეა დამოკიდებული, თუ მოცემულ გარემოში ადამიანები რამდენად და როგორ ინარჩუნებენ ბუნებრივ საწარმოო ძალებთან პრაქტიკულ კავშირს. ამ კავშირის ფონი, ჩვეულებრივ არის კონკრეტული შრომითი პროცესები, მაგრამ შეიძლება ასეთი შრომითი პროცესები აღარც წარმოადგენდნენ რეალურ ფონს, თუმცა ჩვევა-წესებად ადრევე ქცეული ეს რწმენა-წარმოდგენები ისევ ინარჩუნებდნენ სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობას, როცა ძალაში რჩება გარემომცველი ბუნებრივი გარემოს, მისი შემადგენელი კომპონენტების სიყვარული და ზოგჯერ თაყვანისცემაც, ადრევე აღმოცენებული და შესისხლხორცებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მეშვეობითობის საფუძველზე. ზოგ შემთხვევაში დასაშვებია აქ მიკრორეგიონალური პატრიოტიზმის საწყისებიც ვიგულვოთ. სახატო დღეობების სოციალური მიზიდულობის ძალაც და სოციალური გამძლეობაც დღევანდელ პირობებში ამ კრიტერიუმის საფუძველზე უნდა გაიზომოს და შეფასდეს. შემთხვევითი არ არის, რომ სახატო დღეობების სიტყვიერ მასალებში (სადიდებლები, დალოცვის ფორმულები, ვედრება-შეხვეწნის ტექსტები) ძალზე დაკონკრეტებულა ბუნებრივ-საწარმოო ძალთა ნომენკლატურა და მათი სიკეთის ხარისხი. ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ეს საკითხი საკმაო სისრულით არის დამუშავებული, საიდანაც გამოყოფით უნდა აღინიშნოს პროფ. ვ. ბარდაველიძის სპეციალური გამოკვლევები[14].

[14] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხის კულტისათვის საქართველოში, თბ., 1926; მ ი ს ი ვ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი; მ ი ს ი ვ ე, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

ნათქვამიდან იმ ზოგადი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სახატო დღეობებში ხალხის სიარული საზოგადოებრივი კავშირების ფორმების მატარებელია, ტრადიციულ გამოხატულებასაც წარმოადგენს და ასეთი კავშირების დღევანდელ პირობებში შენარჩუნების სურვილსაც. სოფლად სოციალურ-კულტურული მშენებლობის დღევანდელი პროცესი და ღონისძიებები აშკარაა ბევრად ჩამორჩება სასურველ დონეს. სოფლის კლუბი თუ კულტურის სახლი ადამიანის სოციალურ ღირებულებათა და მოთხოვნილებათა პლანში ჯერ კიდევ ვერ იქცნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ნამდვილ ცენტრებად. ხატსა და ეკლესიას შერჩათ სოციალური მიზიდულობის ძალა, ზოგან ძალზე ძლიერადაც.

სოფლის კლუბისა თუ კულტურის სახლის დღევანდელი საზოგადოებრივი ფუნქცია, სამწუხაროდ, შეზღუდულია, როგორ მრავალფეროვნადაც არ უნდა გამოიყურებოდეს მისი შინაგანი მუშაობა. საქმე ის არის, რომ ამ მუშაობის ძირითადი და ალბათ ერთადერთი ფუნქცია წრეობრივ საქმიანობაში გამოიხატება. შექმნილია სხვადასხვა წრე. ამ წრეებს თავისი წევრები ჰყავთ. შემადგენლობა ყველა შემთხვევაში გარკვეულად განსაზღვრული, შეზღუდული და სოფლის მოსახლეობის ფართო მასისათვის მიუწვდომელია. მიუწვდომლობა სურვილების შეზღუდვით კი არ არის გამოწვეული, არამედ ასეთი სურვილების უქონლობით. წრეობრივი საქმიანობა ხომ არც ყველა ასაკის პირთათვის არის შესაფერი.

რჩება გადასაწყვეტი ყველაზე მთავარი პრობლემა — თავისუფალი დროის პრობლემა. მართალია, თავისუფალი დრო სამეურნეო ციკლის მაღალი რიტმულობის პერიოდებში სოფლის ცხოვრებაში გარკვეულ ელფერს ღებულობს, ხშირად რეალურად გამქრალია კიდეც, მაგრამ, რაც არის და როცა კი შეიძლება მისი ნამდვილად გამოყენება, ეფექტურობა აკლია.

რით უნდა მივაღწიოთ თავისუფალი დროის გონივრულად და სასარგებლოდ გამოყენებას? ამ საკითხს არა მარტო შესასწავლი რეგიონისათვის, არამედ საერთოდაც, პირველ რიგში სჭირდება მოგვარება სოციალურ ჭრილში. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, ასევე სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ფასეულობით ორიენტაციის ცვლილებანი ამის რეალური საფუძველი უნდა გახდეს. ფასეულობითი ორიენტაციების მრავალმხრივ და მრავალფეროვან ერთობაში ყოვლად სასურველია ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიჭიროს ბუნების სიყვარულმა საერთოდ და მშობლიური გარემოს განსაკუთრებულმა თაყვანისცემამ.

ამრიგად:

1. საკითხის სოციალურ-ისტორიულ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს თუშეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიანი რეგიონის, უწყვეტ და მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკურ კავშირს საქართველოს ბართან (კახეთი). ეს კავშირი გამოიხატება მთა-ბარული მეცხვარეობის უმთავრესი საარსებო პრინციპის — საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სეზონური ცვლის ფაქტორში. ამავე დროს კონკრეტული საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით აუცილებლობის გამოხატულებას წარმოადგენს და ამ გაგებით იგი ობიექტური კანონზომიერების ასახვაა როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით.

ხანგრძლივი საწარმოო-სამეურნეო პრაქტიკის საფუძველზე, რაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიით აღინუსხება, ჩამოყალიბებულია მეცხოველეობის, პირველ რიგში მეცხვარეობის საწარმოო ტრადიციები, რომლებშიაც თანაბარი სიძლიერით არის ასახული სამეურნეო-ეკონომიკური და სამეურნეო-კულტურული მხარეების სპეციფიკა. ორივე ეს მხარე წარმოგვიდგება რთული სამეურნეო სისტემის სახით, რომელშიაც მოქცეული კომპონენტები ურთიერთმოქმედ კავშირურთიერთობაში იმყოფებიან. თავისთავად ეს სისტემა კონკრეტულ ეკოლოგიურ და ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემაა. პირველ რიგში იგულისხმება მთა-ბარობა. ამ სისტემის უშუალო კულტურულ-ისტორიული წარმონაქმნია სახელგანთქმული თუშური ცხვარი— მუხლმაგარი, გამძლე და მაღალპროდუქტიული. თუშური ცხვარი აღმოსავლეთ საქართველოს მეცხოველეობის მაკრორეგიონში დღესაც სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის ცენტრშია მოქცეული.

2. საკითხის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით განხილვა წინ წამოსწევს ტრადიციული სამეურნეო სისტემების მიმართების პრობლემას თანამედროვე ტექნოგენურ პროცესებთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ სიახლეებთან.

კონკრეტულ ბუნებრივ-საწარმოო პირობებში ამ საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ, როცა, ერთი მხრივ, ძირითად საწარმოო საქმიანობად რჩება ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეურნეო სისტემები, ხოლო მეორე მხრივ, დღევანდელი საზოგადოებრივი განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად ადგილი აქვს საწარმოო ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის პროცესებს, საჭიროა ამ თანამედროვე სიახლეთა ტექნიკურ-ეკონომიკურ გაუმჯობესებათა შემოტანისა და დანერგვის

პირობებისა და შესაძლებლობის კონკრეტული ცოდნა და გათვალისწინება. ამ ცოდნის შემუშავება ტრადიციული საწარმოო სფეროს სისტემური შესწავლის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, მაშასადამე, სიახლეთა დანერგვა და ტექნიკურ-ეკონომიკური გაუმჯობესებანი უნდა განხორციელდეს არა როგორც ნამდვილად ახალის, მაგრამ განყენებულის მექანიკური შეტანა წარმოების მოცემულ დარგში, არამედ როგორც ამ დარგის ტრადიციული თავისებურების შემდგომი განვითარების მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

ნაშრომში განხილული მასალის შეჯამება გვიჩვენებს, რომ ამჟამად ბარში მოსახლე თუშებმა (სოფლები ზემო და ქვემო ალვანი და სხვ.) მრავალდარგოვან ტრადიციულ მიწათმოქმედებაში (უპირატესად მემინდვრეობა, მევენახეობა) წარმატებით აითვისეს სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარების შესაფერი თანამედროვე სამიწათმოქმედო ტექნიკა, რაც სამიწათმოქმედო ტრადიციული სისტემის შინაგან ცვლილებებსაც დაუკავშირდა და სწორად შეეხამა. მეორე მხრივ, მეცხოველეობაში (უპირატესად მეცხვარეობა) გაძნელდა და არც გამართლდა ცალკეულ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა. მეცხვარეობის სამეურნეო სისტემაში შინაგანი ტრადიციული კომპონენტების შეცვლა ფრთხილი და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ გათვალისწინების საჭიროებას აყენებს (მექანიზებული ტრანსპორტირება, ცხვრის გადასარეკი ტრასები).

ნაშრომში განხილული მასალები და დაკვირვების სხვა მონაცემები საფუძვლად დაედო მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებთან დაკავშირებით და გადაეცა ზემდგომ ორგანოებს.

## 2. რეგიონალური ეთნო-სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკის საკითხები

ჩვენს უფრო ადრინდელ ნაშრომში რეგიონალური სოციალური კვლევის მეთოდოლოგიურ-მეთოდური საკითხების შესახებ[15] აღნიშნული გვქონდა, რომ მრავალ ფორმასა და ხერხს შო-

[15] მ. გეგეშიძე, რეგიონალური კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის მიზნები და ამოცანები: სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური

რის დღეს სათანადო ყურადღება ექცევა ე. წ. რეგიონალურ კვლევას, როცა საკვლევ ობიექტად დაისახება ერთი კონკრეტული ტერიტორიული ერთეული საწარმოო საქმიანობის მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი პროფილით და მოსახლეობის ასევე მეტ-ნაკლები სტაბილური შემადგენლობით. ასეთ რეგიონს შეიძლება თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს, ანდა შეიძლება ახლად წარმოქმნილი იყოს. პირველ შემთხვევაში სოციალური კვლევის მიზნებში სხვა მნიშვნელოვან მხარეთა შორის სათანადო ადგილს იჭერს ტრადიციულისა და ახალის ურთიერთმიმართების პრობლემა, რომლის შესასწავლად საჭიროა ისტორიულ-სოციალური თვალთახედვის გამოყენებაც.

სწორედ ეს განსაზღვრავდა ჩვენს საკვლევ თემასაც, როცა სვანეთის ტრადიციული და თანამედროვე სამეურნეო-საწარმოო დარგების შედარებითი შესწავლა იქნა მიზნად დასახული ეკოლოგიური, კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური კუთხით. საკვლევი თემის ჩამოთვლილი ეს ფაქტები დარგობრივად სხვადასხვაა, მაგრამ ჩვენ ისინი გავაერთიანეთ სოციალური მნიშვნელით. ამ თემაში მახვილი სოციალურ ფონს უკეთდება, ამიტომ თემაც არ შეიძლება ამოწურული იყოს. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომპლექსის ნაწილი.

კომპლექსის ცნების გაგებისათვის კი ამ შემთხვევაში შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ იმ მოთხოვნების ჩამოთვლით, რაც, ვთქვათ, რაიონული დაგეგმარების წინაშეა დღევანდელობის მიერ დაყენებული: სპეციალურ ლიტერატურაში რაიონული დაგეგმარების ძირითადი მიზანი ასე განისაზღვრება — წარმოებისა, მეურნეობისა და მშენებლობის ყველა სახეობის გეგმაზომიერი განლაგება რაიონში და რაიონის ტერიტორიის რაციონალური გამოყენება საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ყოველმხრივი ამაღლების, მშენებლობის დანახარჯების შემცირების, შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ინტერესებისათვის[16]. რაიონული დაგეგმარების უფრო არსებით თავისებურებას შეადგენს მეურნეობის, წარმოებისა და მშენებლობის პერსპექტიული განვითარებისა და განლაგების, საერთოდ

---

აქტივიზაციის პრობლემებისადმი (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1971, გვ. 3. კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების დიდი ნაწილი შევიდა ცალკე წიგნში—საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური აქტივიზაციის საკითხები, თბ., 1975.

[16] Д. И. Богорад, Конструктивная география района, Основы районной планировки, М., 1965, გვ. 3.

რაიონის მთელი ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა. რაიონის თითოეული ეს ელემენტი შეისწავლება და პროექტდება არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთდამოკიდებულებაში და რაიონის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში[17].

მაშასადამე, კომპლექსურობა მთავარი საფუძველია რეგიონალური სოციალური კვლევისა, რაც, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს მოცემულ გარემოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთდაკავშირებული მოვლენების შესწავლას[18].

როგორც ცნობილია, ჯვარ-ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით ამ მშენებლობის ყველა მონაწილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი. წერილში სათანადოდ არის შეფასებული ამ საშვილიშვილო საქმის მნიშვნელობა და მასში მონაწილე შრომითი კოლექტივების თავდადებული შრომა. აქვე მკაფიოდ არის განსაზღვრული ის სიკეთე, რომელიც სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებას უნდა მოჰყვეს. საჭიროდ მივიჩნევთ მისალმების ტექსტიდან ამ ადგილის მოტანას: „მაღალმთიანი სვანეთის ახალ საავტომობილო გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის შემდგომი განვითარებისათვის, განამტკიცებს მის კავშირს რესპუბლიკის სხვა რეგიონებთან, გააქტიურებს მისი მოსახლეობის ცხოვრების ყველა მხარეს, კიდევ უფრო სრულად მოემსახურება საზოგადოებას სვანეთის ბუნებრივი პირობები, მისი ისტორიული ძეგლები და ტრადიციები, უფრო მრავალფეროვანი და ლამაზი გახდება მისი მცხოვრებლების ყოფა, გადიდდება მათი წვლილი საბჭოთა ხალხის აღმშენებლობით საქმიანობაში" (გაზ. „კომუნისტი", 1977 წლის 28 ოქტომბერი, № 252).

ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური მეცნიერების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა[19]. თვითონ დარგი მთელი თავისი ძირითადი ასპექტებით ბიოლოგიურ მეცნიერებათა სფე-

---

[17] იქვე. იხ. აგრეთვე «Экономико-экологическая эффективность использования природных компонентов при застройке территории больших городов» სერიაში: ГОСИНТИ. Обзоры по проблемам больших городов, М., 1978.

[18] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

[19] Задачи развития экологических исследований в СССР; журн. «Экология», изд. «Наука», 1977, № 5, გვ. 14.

როს განეკუთვნება, მაგრამ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ნაწილში ის დიდ სოციალურ პრობლემებს წამოჭრის და ამდენად სოციალურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი ობიექტიც ხდება. ჩვენ აქ შეგვეძლო კონკრეტული მაჩვენებლებით ნათელგვეყო ზემოთ თქმული, მაგრამ ვფიქრობთ ყველაზე მკაფიოდ ეს აზრი გამოკვეთილია ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ XXV ყრილობაზე თქმულ შემდეგ სიტყვებში: „შეიძლება და საჭიროა, ამხანაგებო, გავაკეთილშობილოთ ბუნება, დავეხმაროთ ბუნებას სრულად გაშალოს თავისი სასიცოცხლო ძალები. არის ასეთი უბრალო, ყველასათვის ცნობილი გამოთქმა „აყვავებული მხარე". ასე ეძახიან მიწებს, სადაც ადამიანთა ცოდნა, გამოცდილება, მათი ბუნებასთან კავშირი და სიყვარული ჭეშმარიტად სასწაულებს ახდენენ. ეს ჩვენი სოციალისტური გზაა. მაშასადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ სოფლის მეურნეობა, როგორც უდიდესი, მუდმივმოქმედი მექანიზმი ცოცხალი ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვისა და კულტივირებისა. და ბუნებაც ჩვენ ერთიასად მოგვიზღავს"[20].

რამდენადაც ორივე შემთხვევაში ე. ი. ზემო და ქვემო სვანეთში შესწავლის ობიექტი ერთი და იგივე იყო და შესასწავლი მიდგომაც და ხერხებიც ასევე ერთნაირი, ჩვენ აქ საჭიროდ ვთვლით შედარებით დაწვრილებით დავახასიათოთ კვლევის მეთოდოლოგიურ-მეთოდური მხარე. ამასთან ქვემოთქმული, ჩვენი აზრით, საერთო საკითხებსაც აღძრავს.

როგორც ცნობილია, სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის სოციოლოგიაში სოციალური ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა ხერხით ხდება. ზოგჯერ ეს ხერხები ერთმანეთს უახლოვდებიან და ურთიერთს ავსებენ, ზოგჯერ, დამოუკიდებელი ხასიათის გამო, დამოუკიდებლადაც გამოიყენებიან. ყველა შემთხვევაში თითოეულ ხერხს თავისი საკუთარი მეთოდური საფუძველი აქვს და ლოგიკურად გამართლებულ პრინციპებს ემყარება. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ ხერხებს აგრეთვე ზოგად და კერძო ხერხებად (მეთოდებად) ჰყოფენ[21].

დაკვირვების მეთოდს სოციოლოგიაში, როგორც ინფორმაციის შეგროვების მეთოდს, სოციალური კვლევა-ძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ხანდახან ამ მეთოდისათვის მინიჭებული ეს მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი სოციოლოგი

---

[20] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976.

[21] ა. ზ დ რ ა ვ ო მ ი ს ლ ო ვ ი, სოციალური კვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა. თბ., 1975; Ю. П. В о р о н о в, Методы сбора информации в социологическом исследовании, «Статистика», М., 1974, გვ. 127.

სოციალური მეცნიერებების ყველა მეთოდს თვლის დაკვირვების ვარიანტებად. ასეთი მიდგომითა და გაგებით სოციოლოგიის ყველა მეთოდი ასე დაიყოფა (ვსარგებლობთ ი. ვორონოვის თხრობით): ა. დოკუმენტური დაკვირვებანი (სტატისტიკური და სხვა დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი). ბ. პირდაპირი ექსტენსიური დაკვირვებანი (საუბარი და ანკეტირება). გ. პირდაპირი ინტენსიური დაკვირვებანი (საუბარი და ანკეტირება). გ. პირდაპირი ინტენსიური დაკვირვებანი (ინტერვიუ, ტესტები, ჩართული დაკვირვება)[22].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ მთავარ მომენტს, როცა საუბარი ეხება დაკვირვებას სოციოლოგიაში, უპირველესად მხედველობაში აქვთ დაკვირვება ფსიქოლოგიური, დაკვირვება ადამიანთა ქცევაზე, რის საფუძველზედაც კეთდება ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური დასკვნები. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში დაკვირვება განიმარტება და გაიგება პრინციპულად განსხვავებული სახით, ვიდრე ეს კეთდება, ვთქვათ, სტატისტიკაში. მიაჩნიათ, რომ სტატისტიკური დაკვირვება არის ინფორმაციის შეგროვება მთლიანად, მაშინ, როცა ფსიქოლოგიური დაკვირვება სოციოლოგიაში არის მხოლოდ კერძო მეთოდი სოციალური ინფორმაციის შეგროვებისა[23].

არსებობს დაკვირვების სახეობათა სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომელთაგან პრაქტიკული მუშაობისათვის მეტ მნიშვნელობას აძლევენ იმ კლასიფიკაციას, რომელიც სხვებზე მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერპრეტაციის პრობლემასთან. ეს კი ნიშნავს საკლასიფიკაციო ნიშნით ე. წ. პირდაპირი და არაპირდაპირი დაკვირვების გამოყოფას[24]. პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების მიხედვით დადგენილად ითვლება, რომ სოციოლოგიაში ჩვეულებრივ გამოიყენება ე. წ. არაპირდაპირი დაკვირვება, ე. ი. დაკვირვება არა თვით საკვლევ სოციალურ მოვლენაზე ან პროცესზე, არამედ მის გამოვლინებაზე სხვა, მრავალრიცხოვანი ფაქტების სახით. ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩვენც იმავე ძალზე თვალსაჩინო მაგალითს გავიმეორებთ, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში საამისოდ არის დასახელებული: კადრების პოტენციური დენადობის გამოკვლევა· არ შეიძლება პირდაპირი დაკვირვებით, რადგან ეს მოვლენა არ

22 Ю. П. Воронов, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

23 იქვე.

24 Л. С. Кутузова, Основные методы исследования социальных явлений, В сб.: некоторые проблемы методологии научного исследования, М., 1965, გვ. 109 (ამ ნაშრომს ვუთითებთ ვორონოვის მიხედვით, გვ. 128).

დგას სოციალური ფაქტის დონეზე, სამაგიეროდ, არაპირდაპირი, ირიბი დაკვირვება, მაგალითად, სიტყვიერ ქცევა-მოქმედებაზე, მუშაკთა გამოთქმა-მოსაზრებების ფიქსაცია რომელიმე სხვა წარმოება-დაწესებულებაში მუშაობის უპირატესობაზე, შეიძლება გახდეს ინფორმაციის წყარო ამ სოციალური მოვლენის შესახებ, რომელზედაც უშუალო დაკვირვება, როგორც ითქვა, შეუძლებელია. მაშასადამე, არაპირდაპირი ე. ი. ირიბი დაკვირვების მთავარი თავისებურებაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, — დაუკვირვებადი სიდიდის ფიქსირების ცდა[25]. ასეთი მიდგომა ხელსაყრელი აღმოჩნდა ეკოლოგიის სოციალურ-კულტურული საკითხების კვლევაშიც.

დაკვირვების საკლასიფიკაციო ჯგუფში აქცევენ აგრეთვე ე. წ. *ბუნებრივ* და *დაგეგმარებით* დაკვირვებას. ბუნებრივი დაკვირვების დროს მკვლევარი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ყოველგვარი მიმართული ზემოქმედება საკვლევ სოციალურ პროცესზე, ცდილობს აღწეროს სოციალური ფაქტები მათს ბუნებრივ გამოვლინებაში, რომელიც დამოუკიდებელი იქნება თვით ამ დაკვირვებისაგან.

დაგეგმარებული დაკვირვების დროს ხდება იმ გარემოს მიზანმიმართული შეცვლა, რომელშიაც იმყოფება დაკვირვების ობიექტი. მაგალითი ისევ სპეციალური ლიტერატურიდან მოგვაქვს: რომელიმე საწარმოში (დაწესებულებაში) განზრახ შეიცვალა საცხოვრებელი ფართობის განაწილების პირობები, ვთქვათ, საცხოვრებელი ფართობის მიღება პირდაპირ დამოკიდებული ხდება მუშაობის სტაჟზე, ან ის მიეცემა ამ საწარმოში მოწვეულ პირებს, ან კიდევ ყოველგვარი რიგის გარეშე—წარმოების მოწინავეებს და ა. შ. დაგეგმარებული დაკვირვების დროს ამ შემთხვევაში მოხდება განზრახ შეცვლილი პირობების შედეგად მომხდარი ცვლილებების ფიქსირება, მისი გავლენისა, მაგალითად, კადრების დენადობაზე, შრომისადმი დამოკიდებულებაზე და სხვ.[26] თავისთავად ეს მიდგომა სოციალური ექსპერიმენტის ელემენტებსაც შეიცავს.

სოციოლოგიური დაკვირვების კლასიფიკაციაში ცალკე სახეობად გამოყოფენ ე. წ. *კონტროლქვეშ მოქცეულ დაკვირვებას* და *კონტროლგარეშე დაკვირვებას*. ეს იმის მიხედვით, თუ როგორია დაკვირვების მიმართულების ხარისხი, ანუ რამდენად ზუსტად არის ფიქსირებული ის,

---

[25] Ю. П. Воронов, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

[26] იქვე.

რაც მკვლევარს აინტერესებს. ზოგჯერ კონტროლქვეშ მოქცეულ დაკვირვებას სტრუქტურალიზებულსაც უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასწარ განსაზღვრულია იმის სტრუქტურა, რასაც უნდა დააკვირდნენ.

კონტროლქვეშ მოქცეული დაკვირვების კერძო შემთხვევაა ე. წ. კლინიკური დაკვირვება, როცა დამკვირებელს წინასწარ აქვს ფორმირებული და ჩამოყალიბებული წარმოდგენა მოცემული სოციალური მოვლენის შესახებ მისი ნორმების პათოლოგიის თუ სხვა კუთხით, ზემოთ რამდენჯერმე იყო დასახელებული მაგალითები კადრების დენადობის შესახებ. ამჯერადაც, ამავე სფეროდან შეიძლებოდა კადრების დენადობის ე. წ. ნორმალური და არანორმალური ფორმები გამოგვეყო, რომლებიც შეიძლება გამოდგეს ამ სფეროში კლინიკური დაკვირვების საწარმოებლად.

სოციალური დაკვირვების საკლასიფიკაციო სისტემაში არის აგრეთვე ე. წ. ღია და დაფარული დაკვირვებები და ჩართული და არაჩართული დაკვირვებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სოციალურ სფეროში დაკვირვებისათვის. ამავე დროს დაკვირვების ეს ფორმები აღძრავენ და წინ წამოსწევენ ეთიკური პლანის რიგ პრობლემას[27]. კერძოდ, ეს მხარე უფრო ნათლად ჩანს ბუნების დაცვის სოციალური პრობლემების კვლევაში.

ღია დაკვირვება განსხვავდება ფარულისაგან იმით, რომ დაკვირვების ობიექტმა იცის, რომ მას აკვირდებიან, ეს რამდენადმე ცვლის და ამახინჯებს ინფორმაციის შეკრების შედეგს. ამიტომ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებით დადგენილად თვლიან, რომ ინფორმაციის მოპოვების ეს მეთოდი მისაღებია მხოლოდ მაშინ, როცა დაკვირვების ობიექტს, ერთი იქნება თუ რამდენიმე პირი, აქვთ, გარკვეული დაინტერესება გამოკვლევის შედეგებში. ამ მეთოდის უპირატესობა, სამაგიეროდ იმაში უნდა დავინახოთ, რომ ასეთ შემთხვევებში მკვლევარს ეხსნება მორალური პასუხისმგებლობა თვითონ იმ ფაქტის გამო, რომ ის დაკვირვებას აწარმოებს, ბევრ შემთხვევაში მყარდება აგრეთვე მეტი ურთიერთგაგება დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის.

ჩართული დაკვირვების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ამ დროს დამკვირვებელი აქტიურია და, როგორც

[27] Ю. П. Воронов, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

წესი, რიგითი პირიც — მონაწილე მისი დაკვირვების საგნად ქცეული მოვლენებისა. ჩართული დაკვირვება ერთადერთი მეთოდია საინტერესო სოციალური პროცესების რეგისტრაციისა, თან უფრო მეტი ინფორმაციის მომტანია, ვიდრე გარედან დაკვირვება.

სოციალური დაკვირვების ფორმების საკლასიფიკაციო ნიშნით განსხვავების გარდა, სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ უშუალოდ პროცესს დაკვირვებისას საერთო, ზოგადი ხერხების მიხედვით.

ერთ-ერთი ასეთი მომენტია ფაქტების შერჩევა დაკვირვებისათვის, რასაც დამკვირვებელი აკეთებს როგორც დაკვირვების დაწყებამდე, რაც, ჩვეულებრივ, პროგრამის შედგენის დროს ხდება, ასევე დაკვირვების დროს და მისი დამთავრების შემდეგ, როცა შედეგების ანალიზი მიმდინარეობს. ამ ხერხს ნაკლი ახლავს და, როგორც სამართლიანად არის მიჩნეული, ეს ნაკლი უფრო სუბიექტური მიზეზით არის გაპირობებული, ვიდრე ამ ხერხის მეთოდური არსით. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ხერხის გამოყენების დროს დამკვირვებელი ზუსტად და თანმიმდევრულად არ აფიქსირებს ყველაფერს, რადგან იმედი აქვს, რომ ჩაუწერლადაც შესძლებს უწყვეტ დაკვირვებას, ყოველ შემთხვევაში, ყველაფრის დახსომებით აღდგენას, რაც საბოლოო ჯამში, როგორც, წესი, განუხორციელებელი ხდება. ობიექტურად თუ შევხედავთ ამ მოვლენას, ეს მართლაც ძნელია. ერთ ადამიანს არ შეუძლია ყველა მიმდინარე შემთხვევისა და ფაქტის ზუსტი და სინქრონული ფიქსაცია, ამიტომ უმჯობესად და სასურველად არის მიჩნეული, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, როგორმე წინასწარ განისაზღვროს ის ფაქტები, რომელიც დამკვირვებელმა უნდა შენიშნოს და მათზე შეაჩეროს უმთავრესი ყურადღება უშუალოდ დაკვირვების პროცესში[28].

მეორე მომენტია ფაქტების წინასწარგანსაზღვრული, შეგნებული დამახინჯება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დამკვირვებელს შესასწავლი სოციალური პროცესის მიმდინარეობაში შეაქვს გამიზნული ცვლილებები. ასეთი ცვლილებები აღნიშნულ პროცესს ან უფრო თვალსაჩინოს ხდიან, ან ზღუდავენ ამ პროცესის ძირითადი გამოვლინებების მთლიანობას. დაგეგმარებული დაკვირვებაც ასეთი წინასწარგანზრახული ცვლილება-დამახინჯებებით ასევე ახლოა ექსპერიმენტთან და ზოგჯერ სოციალური ექსპერიმენტის კერძო შემთხვევად მიიჩნევა. წინასწარ-

[28] Ю. П. В о р о н о в, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

განზრახული დამახინჯების ეს ხერხი უპირატესად გამოიყენება მაშინ, როცა შესასწავლი სოციალური პროცესისათვის მეტი თვალსაჩინოების მინიჭება სურთ.

დაკვირვების მეთოდით სოციალური ინფორმაციის მოპოვება-შესწავლის ერთ-ერთი არსებითი მომენტია **დაკვირვების შედეგების ჩაწერა.** როგორც ცნობილია, ასეთი ჩაწერა შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც დაკვირვების დროს, ისე მის შემდეგ.

ჩვენი მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკისა და გამოცდილების მიხედვით და ამაში კი ჩვენს ეთნოგრაფიულ საქმიანობასაც ვგულისხმობთ, სავსებით უნდა დავეთანხმოთ სპეციალურ ლიტერატურაში იმის კანონზომიერებად მიჩნევა-აღიარებას, რომ სოციალურ პროცესებზე მიმდინარე დაკვირვების ჩაწერა უნდა მაშინვე მოხდეს, რადგან ერთ დღეზე მეტი ინტერვალით ამის გაკეთება უკვე თვალშისაცემად მოქმედებს ჩაწერის ხარისხზე[29]. ჩაწერა თავის მხრივ, საკუთარ, ასევე პრაქტიკით შემოწმებულ, წესებს ემყარება. ჩვეულებრივ, აქ გამოიყენება სიმბოლოების წინასწარ შემუშავებული სისტემა და შედეგების ჩაწერა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს დეკოდირების, ჩანაწერის გაშიფრვისა და მოწესრიგების ეტაპს. გაშიფვრა გულისხმობს საველე პირობებში შესრულებული ჩანაწერების სისტემაში მოყვანას და დამუშავებისათვის მოხერხებული სახის მიცემას ე. ი. მონაცემების გარკვეული სტანდარტული ფორმით განლაგებას, რაც თვითონ მკვლევარმა უნდა შეიმუშაოს. ასე მზადდება **საკვლევი მატრიცა.** ამ უკანასკნელს კი უპირატესი გამოყენება აქვს საკვლევი მონაცემების მოსალოდნელი მანქანური დამუშავების დროს. საერთოდ კი, როგორც ითქვა, დამკვირვებლის წინაშე დასმული ამოცანის შესაბამისად, შეიძლება ფაქტებზე დაკვირვების ჩაწერის კონკრეტული წესების შემუშავება. საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ასეთი ჩაწერის მეთოდები, სქემები, წესები[30], რომელთა აქ ვრცლად განხილვის საშუალება არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ მოკლედ შევჩერდებით სოციალური ფაქტებისა და მოვლენების ჩაწერით ფიქსაციის იმ ფორმაზე, რო-

---

[29] Ю. П. Воронов., დასახ. ნაშრ., 130.

[30] იხ. ა. ზდრავომისლოვი, სოციალური კვლევა-ძიების მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1976., Л. С. Кутузова, Основные методы исследования социальных явлений—в кн.: Некоторые проблемы методологии научного исследования, М., 1965; В. А. Ядов, Социологическое исследование, методология, программа, методы, М., 1972, და სხვ.

მელიც საველე დღიურის სახით ხორციელდება და რომელსაც უშუალოდ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს.

* * *

ლენტეხის რაიონის თანამედროვე სამეურნეო-საწარმოო პროფილი, როგორც ეს კომპლექსური გამოკვლევებით არის ცნობილი, თავის დიდ ნაწილში ასახავს ამ გარემოში ადამიანთა დასაქმების ტრადიციულ სტრუქტურას. წამყვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, რაშიც, თავის მხრივ, დომინანტურია მეცხოველეობა მსხვილფეხა მესაქონლეობის სახით. ეს დარგი მეხორცეობისა და რძის პროდუქტების მწარმოებლური მიმართულებისაა. მიწათმოქმედების ხვედრითი წონა მნიშვნელოვანია, მაგრამ წარსულისაგან განსხვავებით საგრძნობლად დარღვეულია მიწათმოქმედების შიდადარგობრივი შეთანაწყობა. რაიონის თითქმის ყველა თემში (მიკრორაიონში) უპირატესობა აქვს მოპოვებული ხილის მოყვანას (კურკოვან-თესლოვანნი), მემინდვრეობა ემყარება სიმინდის წარმოებას, სრულიად უმნიშვნელოა პურეული კულტურის ადგილი. ცალკე ადგილი უჭირავს კარტოფილის მოყვანას.

ეს ობიექტური სურათი ხელახლაა დანახული და დადასტურებული ნაბეჭდი ეკონომიკური ინფორმაციის და ადგილზე წარმოებული ეთნოგრაფიული დაკვირვების მონაცემების შედარების საფუძველზე.

ახლანდელი ვითარება და ამ რაიონის სოფლის მეურნეობის ახლო მომავლის ტრადიციული დარგობრივი სტაბილურობა (მეცხოველეობის ერთგვარი უპირატესი ნიშნით) წინ წამოწევს ლოკალური მნიშვნელობის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ პრობლემებს, რომელთა შორის მთავარია არსებულ პირობებში სასოფლო-საწარმოო რეზერვების გამოვლინება და, მეორე მხრივ, მათ გაფართოებაზე ზრუნვა.

თუ წინა წლების (იგულისხმება 70-იანი წლების პერიოდი) სამეურნეო პრაქტიკასა და გამოცდილებას ლენტეხის რაიონის ცხოვრებაში გარკვეული თვალსაზრისით სოციალური ექსპერიმენტის მნიშვნელობას მივანიჭებთ, ხოლო ამ ექსპერიმენტის შედეგებს პირველ რიგში დღევანდელი საზოგადოებრივი აზრის დონეზე განვიხილავთ და შევაფასებთ, მაშინ ნახსენები წინა წლების სამეურნეო დაგეგმვა ახლანდელი, მიმდინარე პერი-

ოდის სამეურნეო დაგეგმვასთან შედარებით უპირატესობას იძენს. ეს უპირატესობა აისახება საზოგადოებრივი აზრის დონეზეც — რაიონში შემოწმებული საზოგადოებრივი აზრი ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის სახვადასხვა სოციალურ-პროფესიულ ჯგუფში, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სამეურნეო-საწარმოო პროცესში უშუალოდ ჩაბმულთა და მონაწილეთა აზრი, მხარს უჭერს სამეურნეო-ეკონომიკური დაგეგმვის ისეთ პრაქტიკას, რომელიც დამყარებულია ლენტეხის შიდარაიონული, მიკრორეგიონალური თავისებურებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინების პრინციპზე. საგეგმო მაჩვენებლები ამის მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული.

დაგეგმვისა და მეურნეობრივი მართვის ეკოლოგიური და ეთნოგრაფიული კუთხით შემოწმება და განხილვა, რაშიც გათვალისწინებულია კულტურულ-ისტორიული შედარებითი მასალაც, ნათქვამს ადასტურებს. დასახლებისა და მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაცია ნათლად გამოხატავს ცხოვრების ხეობური მოწყობის ისტორიულ კანონზომიერებას. ასეთ პირობებში, როცა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ სფეროებში ახლო მომავლისათვის ინოვაციური რადიკალური ცვლილება-გარდაქმნები მოსალოდნელი არ არის (პირველ რიგში იგულისხმება მთური ტექნიკური სიახლენი), განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს ტრადიციულ სამეურნეო-საწარმოო ცოდნა-გამოცდილების ეფექტური გამოყენება და ზრუნვა მათ შემდგომ რაციონალიზაციაზე.

აქ გასათვალისწინებელია ის ცნობილი, ისტორიულად შემოწმებული ფაქტიც, რომ ხალხური საწარმოო ჩვევები და ტრადიციები, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება ეკოლოგიურ-ეკონომიკური კანონზომიერებისა მეურნეობის რეგიონალურ ტრადიციულ სისტემაში, მკაფიოდ ასახავენ დადებით და უარყოფით მხარეებს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსა და ადამიანის ისტორიული შრომითი პრაქტიკის კომპონენტების კორელაციურ შეთანაწყობაში.

აქედანვე გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ მაღალმთიანეთისა და ამ შემთხვევაში ქვემო სვანეთის რთული სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ეთნოსოციალური და სოციალურ-ეკონომიკური შესწავლა მოითხოვენ სისტემურ მიდგომას, რომლის მთავარი ამოცანა იქნება მეურნეობრივი კომპლექსის მრავალი ელემენტის ურთიერთკავშირის, ანუ კორელაციური ადგილის გონივრული განსაზღვრა. ამ ამოცანის რეალიზაციის ობიექტური საფუძველია ის ცნობილი ვითარება, რომ მეურნეობის ამა თუ იმ

დარგის ხანგრძლივი ისტორიის მქონე რეგიონებში ხალხური საწარმოო ტრადიციები და ემპირიული საწარმოო ცოდნა და გამოცდილება არის თავისებური, თან უტყუარი ინდიკატორი ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან ადამიანის შემოქმედებითი შრომითი დამოკიდებულებისა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული ცოდნის ეს კონდენსირებულ-სტაბილური მარაგი, მისი სისტემური კვლევის შემთხვევაში და საფუძველზე, ნიადაგს უქმნის რეგიონალური მეურნეობრივი განვითარების ოპტიმალური პარამეტრების დაძებნას.

სოფლის მეურნეობის პრაქტიკით აგრეთვე ცნობილია, რომ მეურნეობის განვითარებაში ლოკალური სიახლეები, ამ გარემოსათვის მანამდე უცნობი ღონისძიებები სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტის მნიშვნელობას იძენს. ამიტომვე საჭირო ხდება მოსალოდნელი ეფექტის გარანტიის საფუძვლებში მეტი ადგილი დაეთმოს ემპირიული საწარმოო ცოდნისა და გამოცდილების როგორც საერთო სტრუქტურის, ისე შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეთავსების წინასწარ ანალიზს.

ზემო სვანეთში მეურნეობის ძირითადი ტრადიციული დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სისტემურმა ეთნოგრაფიულ-ეკონომიკურმა შესწავლამ თავის დროზე კარგად გამოავლინა მთის პირობებისათვის სისტემური მიდგომის გამოყენების სიკეთე[31]. გაირკვა, რომ მეურნეობის ეს ორი მთავარი დარგი, მიუხედავად მათი ერთი შეხედვით დამოუკიდებელი მნიშვნელობისა, ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ურთიერთსაც განაპირობებს. მართალია, ასეთი კავშირი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში საერთოდ დადგენილია, როგორც სიმბიოზური მეურნეობის გამოხატულება, მაგრამ ამ შემთხვევაში (ე. ი. ზემო სვანეთის მაგალითზე) ეს კავშირი უფრო დიფერენცირებულად გამოვლინდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, როგორც ცალკე მეურნეობრივი სტრუქტურების, შინაგანი კომპონენტების კორელაციური კავშირების სახით. თუ ამ კავშირს პირობითი სქემატური წრის სახეს მივცემთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: გარემო ხელსაყრელია მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის, ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონელი მხოლოდ ბაგურ კვებაზე შეიძლება იყოს, საზრუნავი ხდება ზამთრის საკვები მარაგი, ზამთრის სა-

---

[31] მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), თბ., 1962, თავი IV—მორწყვა ზემო სვანეთში.

ქვები მარაგის საკმარისი რაოდენობით მისაღებად ადგილობრივ გარემოშივე საჭირო ხდება სათიბი მეურნეობის ყოველმხრივ გაფართოება, ამის ერთ-ერთ გარანტირებულ საფუძვლად იქცევა მორწყვა, ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივი საწარმოო ძალების ხელსაყრელი შეთანაწყობა წარმოქმნის სარწყავ სათიბ მეურნეობას, როგორც სამიწათმოქმედო მეურნეობრივი სისტემის ნაწილს, მაგრამ ეს ნაწილი მესაქონლეობის განუყოფელ კომპონენტად იქცევა. სარწყავი სათიბი მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაცია რთულ რელიეფურ პირობებში ხდება. გარემოს ხეობური დანაწევრება და წყნარი რელიეფის მქონე სასარგებლო ტერიტორიის საერთო სიმცირე საჭიროს ხდის სარწყავი სათიბების მოწყობას დაფერდებულ ადგილებში. კალთებზე, ის თავის მხრივ წარმოქმნის ირიგაციულ ეროზიის საშიშროებას, საჭირო ხდება ხალხური ტექნიკური ცოდნის წრთობა და ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ხერხების მიგნება. სარწყავ სათიბებში მკვიდრდება ბალახის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან, ერთი მხრივ, მაღალი ყუათიანობით და რძის ხარისხზე კეთილი ზეგავლენით, მეორე მხრივ, ხშირ და ხლართიან ფესვთა სისტემით, რაც ნიადაგის ზედა ფენებს ამაგრებს და წყლით დაშლას ნაკლებ საშიშს ხდის.

ასეთია ზოგადად ის ბუნებრივ-მეურნეობრივი რკალი, რომელიც ზემო სვანეთში ტრადიციულ, ძირითად საწარმოო დარგებს— მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ახასიათებს. საქმე გვაქვს საკმაოდ რთული აღნაგობის სისტემასთან, რომლის სტრუქტურის აგებაც და სრულყოფაც უშუალოდ ადამიანს ეკუთვნის, ადამიანის მიზანმიმართული, ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა უძევს საფუძვლად ყოველივე ამას. ამ გაგებით ზემოთ აღწერილი მოვლენა მარტო ტექნიკურ-მეურნეობრივი კი არ არის, არამედ სოციალურიც. სოციალურობის აქცენტს აძლიერებს ამ საქმეში ტრადიციულად დამკვიდრებული შრომის ორგანიზაციის ფორმებიც.

ახლა, თუ დახასიათებულ ბუნებრივ-მეურნეობრივ რკალს გამოკვეთილი სტრუქტურის შემცველობის გამო, სადაც ცალკე კომპონენტები მოქმედი ფუნქციის მქონენი არიან, პირობითად გარკვეული მოდელის მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ შეიძლება ამ მოდელის გამოყენების საკითხის დასმაც.

ენგურის ხეობა მდინარის ზემო წელში გეოგრაფიულად უფრო მაღლა (ჩრდილოეთით) მდებარეობს ვიდრე ცხენისწყლისა. მარადთოვლიანი დიდი მთებით შემოზღუდულობა ენგურის ხეო-

ბის ზემო წელში ლოკალური ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურ რეჟიმს ქმნის. აქვე დადგენილია მზის მნიშვნელოვანი რადიაცია ზაფხულის თვეებში და მცხუნვარების თავისებური სამეურნეო ეფექტი[32]. იგი სარწყავ სათიბში მცენარის გაძლიერებული ტრანსპირაციის საფუძველია, რაც ერთ სამეურნეო სეზონში თივის სამი მოსავლის აღების შესაძლებლობას იძლევა, თავისებური რეჟიმი და სამეურნეო ეფექტი აქვს ენგურის ხეობისათვის დამახასიათებელ ინვერსიულ ქარებს.

ბუნებრივი საწარმოო ძალების ეს და კიდევ სხვა თავისებურებანი, რომელთა აქ დასახელება ვეღარ ხერხდება, ადამიანის პრაქტიკული, შემოქმედებითი საქმიანობით მრავალკომპონენტიანი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი გამხდარა, მაგრამ ბუნებრივ-საწარმოო ძალების ეს თავისებურებანი აღარ გვხვდებიან ან განსხვავებულია ცხენისწყლის ხეობაში, ამიტომ არც მეურნეობრივი სისტემები ემთხვევიან შინაგანად ერთმანეთს. მაკრორეგიონი კი (ამ შემთხვევაში ეთნორეგიონიც) ერთია. ცხენისწყლის ხეობის განსხვავებული კლიმატურ-გეოგრაფიული რეჟიმი, ჰიდროგრაფიული, ინსოლაციური და სხვა თავისებურებანი ენგურის ხეობისათვის აღწერილი სარწყავი სათიბი მეურნეობის ტიპის ჩამოსაყალიბებლად აშკარად არასაკმარისი ჩანან.

ყოველივე ამის საუკეთესო ამსახველი თვით ხალხის სამეურნეო-საწარმოო პრაქტიკაა.

დასახლებისა და მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაცია ნათლად გამოხატავს ცხოვრების ხეობური მოწყობის ისტორიულ კანონზომიერებას და თავისებურებას. ასეთ პირობებში, როცა სოფლის მეურნეობის ტრადიციულ სფეროში ახლო მომავლისათვის ინოვაციური რადიკალური ცვლილება-გარდაქმნები მოსალოდნელი არ არის (იგულისხმება მთური ტექნიკური სიახლენი), განსაკუთრებით მნიშვნელობას ინარჩუნებს ტრადიციული სამეურნეო საწარმოო ცოდნა-გამოცდილების ეფექტური გამოყენება და ზრუნვა მათ შემდგომ რაციონალიზაციაზე.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ მაღალმთიანეთისა და ამ შემთხვევაში ქვემო სვანეთის რთული სამეურნეო-კულტუ-

---

[32] „ლახამულას გადავხედავთ, ყანები აღებულია, აქ-იქ არის მხოლოდ დარჩენილი, თითქოს უეცრად გახურებულ თონეში მოვხვდითო, ისეთი სიცხე ვიგრძენით, ალმური იდგა ირგვლივ . საკვირველია. ამ სიცხეს იწვევს ის, რომ ფერდობი სამხრეთისაკენ არის მიქცეული და მოტიტვლებული კლდეები (ტყეები უკვე გაუნადგურებიათ) ძალზე ხურდებიან მზის სხივებით" — ნ. კეცხოველი, თოვლიან მთებში თბ., 1943, გვ. 90—92.

რული კომპლექსების ეთნოსოციალური და სოციალურ-ეკონომიკური შესწავლა მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რომლის მთავარი ამოცანა იქნება მეურნეობრივი კომპლექსის მრავალი ელემენტის ურთიერთკავშირის, ანუ კორელაციური ადგილის გონივრული განსაზღვრა. ამ ამოცანის რეალიზაციის ობიექტური საფუძველია ის ცნობილი ვითარება, რომ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ხანგრძლივი ისტორიის მქონე რეგიონებში ხალხური საწარმოო ტრადიციები და ემპირიული საწარმოო ცოდნა და გამოცდილება არის თავისებური, თან უტყუარი ინდიკატორი ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან ადამიანის შემოქმედებითი შრომითი დამოკიდებულებისა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული ცოდნის ეს კონდენსირებულ-სტაბილური მარაგი, მისი სისტემური კვლევის შემთხვევაში და საფუძველზე, მიადაგს უქმნის რეგიონალური მეურნეობრივი განვითარების ოპტიმალური პარამეტრების ძიებნას.

სოფლის მეურნეობის პრაქტიკით აგრეთვე ცნობილია, რომ მეურნეობის განვითარებაში ლოკალური სიახლეები, ამ გარემოსათვის მანამდე უცნობი ღონისძიებები, სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტის მნიშვნელობას იძენს. ამიტომვე საჭირო ხდება მოსალოდნელი ეფექტის გარანტიის საფუძვლებში მეტი ადგილი დაეთმოს ემპირიული საწარმოო ცოდნისა და გამოცდილების როგორც საერთო სტრუქტურის, ისე შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეთავსებულობის წინასწარ ანალიზს.

### 3. სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის კულტურულ-ისტორიული ტრადიციების რაციონალიზაციის საკითხები

ბუნებათსარგებლობის კულტურულ-ისტორიული ტრადიციების რაციონალიზაციის პრობლემის გადაწყვეტაში ამოსავალი პოზიცია დაემყარება იმ დებულებას, რომ საზოგადოებისა და ბუნების მრავალფეროვან კავშირს საფუძვლად უდევს შრომითი საქმიანობა. გასათვალისწინებელი იქნება ის ცნობილი ვითარებაც, რომ ადამიანისა და მისი გარემომცველი ბუნების ურთიერთმოქმედება ემორჩილება ისტორიული პროცესის კანონზომიერებას, საზოგადოებრივი წარმოების ფორმების ცვლას.

მაკრო და მიკრორეგიონებში, სადაც სოფლისმეურნეობრივი წარმოება ტრადიციულ პროფილს ინარჩუნებს, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ლოკალური ტრადიციული შრომითი ჩვევებისა და სა-

წარმოო გამოცდილების თანამედროვე მეცნიერულ და პრაქტიკულ გამოყენებას. ხალხური საწარმოო ტრადიციები და ემპირიული ცოდნა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების თავისებურ ინდიკატორს წარმოადგენენ იმ რეგიონებში, რომლებსაც სოფლისმეურნეობრივი ხანგრძლივი და სტაბილური ისტორია აქვთ.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესახებ შექმნილი ცოდნის დიდი მარაგი გამოავლენს ცალკეული ელმენტების დადებით თუ უარყოფით მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის რეგიონალური სისტემის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კანონზომიერებებთან მიმართებაში. ყველა ამ მაჩვენებლის ცოდნა და მისთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი წინაპირობაა რეგიონალური სოფლისმეურნეობრივი განვითარების თანამედროვე მეცნიერული დაგეგმვისათვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იგი ცალკეულ რეგიონებში (მაგ., მთა და მაღალმთიანეთი) ინოვაციური ტექნიკური ხასიათის რადიკალური ღონისძიებების განხორციელების დროს, რაც განსაკუთრებით წამოსწევს წინ ტრადიციული საწარმოო ემპირიკის რაციონალური გამოყენებისა და მისი მეცნიერული გამდიდრების პრობლემას.

სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ტექნიკური და ეკონომიკური სიახლე ვერ ამართლებს თავს ცალკეულ ბუნებრივ და კულტურულ-ისტორიულ პირობებში. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სოფლისმეურნეობრივი წარმოების ემპირიული ცოდნის საერთო სტრუქტურისა და ყველა შემადგენელი ელემენტის ურთიერთმოქმედების წინასწარულ ანალიზს.

ტრადიციული სამეურნეო-საწარმოო ჩვევებისა და ემპირიული გამოცდილების თანამედროვე რეგიონალური ცოდნა და გათვალისწინება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი თავის თავში ადამიანისა და გარემომცველი ბუნების საუკუნეებით შემოწმებული და გამოცდილი ურთიერთმოქმედების სპეციფიკის კონცენტრირებას ახდენდნენ. ყოველივე ამის მნიშვნელობა იზრდება ისეთ სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, როგორშიც იმყოფებიან, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონები.

ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერება გრძელვადიანი ატმოსფერული კლიმატური და გეოგრაფიული პირობების კვლევასა და პროგნოზირებაში განსაკუთრებულ კატეგორიაში გამოყოფს ე. წ. არარეპრეზენტატულ დაკვირვებებს, რომლებიც უმ-

თავრესად განეკუთვნებიან ხეობებსა და ხეობათა დაბლობებს, მაღალმთიან რეგიონებს, ღრმულებს, ტყეების ზოლებს, მაშინ, როცა ატმოსფერული პროცესების ანალიზისა და სინოპტიკური რუკების შექმნის დროს ემყარება რეპრეზენტატული დაკვირვებების მონაცემებს, რომლებიც უფრო ეფექტურად ტარდება ხოლმე ღია ზღვაში, მცირე კუნძულებზე, ხმელეთზე — ვაკე ადგილმდებარეობაზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა მრავალფეროვანი ტრადიციული საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების შესწავლის პრაქტიკული დიდმნიშვნელობის შესახებ. კონკრეტულ სამეურნეო არეალებში წარმოქმნილი და განვითარებული საწარმოო ტრადიციები გაპირობებულნი არიან ბუნებრივ-ეკოლოგიური და საწარმოო-სოციალური პროცესების განსაზღვრული ერთობით.

ასეთ არეალებში ფიქსირებული ადგილობრივი ხერხები, სამეურნეო-საწარმოო ტრადიციები ჩვენს წინ წარმოდგებიან თავისებური რთული სისტემების სახით, რომელთა შემადგენელი კომპონენტები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, რომელიც სამიწათმოქმედო მეურნეობის ფორმების დიდი ნაირგვარობით გამოირჩევა.

განვიხილოთ ამათგან ძველი და ტრადიციული ორი ფორმა— ტერასული სარწყავი მეურნეობა შუა მთის ზოლისა და მაღალმთიანეთის სარწყავი სათიბი მეურნეობა. ორივე ამ ფორმის შესახებ ზემოთ ნაწილობრივ უკვე იყო ლაპარაკი.

საქართველო ძირითადად მთიანი ქვეყანაა. მთის ხეობათა ზოლში, მთის ფერდა და გვერდობ ადგილებში მიწათმოქმედება ძველთაგან დაკავშირებული იყო მიწის დასაფეხურებასთან, დატერასებასთან. ტერასები ეწყობოდა მიწათმოქმედებისათვის უფრო მეტად ხელსაყრელ ადგილებში[33]. სხვა მთიანი ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ტერასებზე უპირატესად მონოკულტურებს აშენებდნენ, საქართველოში, დაღესტანში და კავკასიის ზოგ სხვა რეგიონში ტერასები გამოიყენებოდა მრავალპროფილიანი მეურნეობის საწარმოებლად მრავალგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. სამხრეთ საქართველოში ტერასები ეწყობოდა მდინარის ხეობათა საკმაოდ დიდ დაფერდებებზე (30—40°). კონკრეტული რელიეფური პირობების მიხედვით ტერასები გამოირჩეოდ-

---

[33] მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1962; ლ. ბერიაშვილი, მემინდვრეობა მესხეთში, თბ., 1972; ნ. ჩიჯავაძე, ტერასული მეურნეობა საქართველოში, თბ., 1976.

ნენ სიდიდის, კონფიგურაციისა და მშენებლობის ხასიათის მიხედვით. ჩვეულებრივ, ისინი მრავალსაფეხურიანი იყვნენ. მათი ფრონტალური კედლები ქვისაგან იყო მშრალად ნაგები. ადგილის დაქანების მიხედვით ტერასებს სხვადასხვა სიმაღლე და სიგანე ჰქონდათ. ტერასებზე ადამიანის გულმოდგინე შრომით იქმნებოდა ხელოვნური კულტურული ნიადაგი, რომლის სიღრმე ზოგჯერ 1 მეტრამდე აღწევდა. ფართოდ გამოიყენებოდა იარუსებრივი მორწყვა წყაროებისა და ნაკადულების წყლებით. სარწყავი წყლის მიწოდება გართულებული იყო მთის დანაწევრებული რელიეფით.

საქართველოსა და დაღესტნის ტერასული მთური მეურნეობის დამახასიათებელი თავისებურება იყო ტერასირებული ნაკვეთების ფართობის მარჯვე და ინტენსიური გამოყენება. ჩვეულებრივ, ტერასები ეწყობოდა მზის მხარეს მიმართულ სამხრეთ ფერდობებზე, რომლებიც საკმაოდ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით. ტერასებზე ხარობდა ხეხილი, ბაღ-ბოსტნეული, პარკოსანი მცენარეული, რომელთა მაჩრდილობელი და ნახევრადმაჩრდილობელი თვისებები კარგად იყო ერთმანეთთან შეხამებული, რის გამო ეს მცენარეული ზრდაში ერთმანეთს ხელს არ უშლიდა[34]. სამხრეთ საქართველოს ტერასულ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ვაზს[35]. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შედეგად (ტერასირებული ნაკვეთების გაწმენდა, ჰუმუსის ფენის შენახვა, მორწყვა, ნაკელით განოყიერება) ასეთი ბაღ-მინდვრების ნიადაგის გამოყენების კოეფიციენტი ყოველთვის მაღალი იყო.

ამრიგად, ტერასული სამიწათმოქმედო მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც შრომითი ღონისძიებების განსაზღვრული სისტემა, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებისა და პირობების (რელიეფი, ჰიდროგრაფიული რეჟიმი, კლიმატი, ნიადაგები) ეფექტური სამეურნეო გამოყენებისაკენ.

თითოეული ამ ფაქტორის როლის განსაზღვრა მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში მოითხოვს სხვადასხვა ლანდშაფტის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებას, როგორიცაა

---

[34] Г. Л. Магакян и Г. В. Василенко, Горное орошение Дагестана, Махачкала, 1938; М. К. Гегешидзе, Террасное орошаемое земледелие на Кавказе, М., 1964 (доклад на VII международном конгрессе антропологических и этнографических наук).

[35] მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში.

შუამთიანეთის ხეობათა დაბლობები, ზეგანი და მაღალმთიანეთის ხეობები. დადგენილია, რომ უმთავრესად საშუალო ზოლის მთისწინეთი (ზღვის დონიდან 800—1500 მ) მოიცავს საქართველოს უფრო მეტად თბილსა და მშრალ რაიონებს. აქ ნიადაგებისა და კლიმატის, სითბოს, ნესტისა და აორთქლების ურთიერთშეხამება განსაზღვრავს ამა თუ იმ სამეურნეო ღონისძიების ხასიათს, მაგალითად, ხელოვნურ მორწყვას მთაში. მთის რაიონებისათვის დამახასიათებელი მზის მხურვალებისა და რადიაციის მნიშვნელოვანი ხანგრძლივობა განსაზღვრავს ნიადაგების გათბობის ინტენსივობას და მცენარეებში ტრანსპირაციის გაძლიერებას. მთის რაიონების ეს მაჩვენებლები უახლოვდება საქართველოს დაბლობის მკვეთრი გვალვიანი რაიონების მაჩვენებლებს. მსგავსი მოვლენებ- შენიშნულია კავკასიის სხვა მთიან ქვეყნებში, აგრეთვე პამირში, ალპებში[36].

მსგავსი ბუნებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით შეიძლება განხილულ იქნეს სხვა მაგალითი საქართველოს მაღალმთიანეთში ბუნებათსარგებლობის ისტორიული და თანამედროვე პრაქტიკიდან[37]. საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის — ზემო სვანეთის ძირითადი ტრადიციული დარგების მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სისტემურმა ეთნოსოციალურმა და ეკონომიკურმა შესწავლამ გამოავლინა კომპლექსური მიდგომის მნიშვნელობა არა მარტო კულტურულ-ისტორიული, არამედ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის პრაქტიკული საკითხების შესწავლა-დამუშავებაში მაღალმთიანეთის პირობებში (1500—2800 მ ზღვის დონიდან). გაირკვა, რომ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ამ რაიონში მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, უფრო მეტიც ერთმანეთს ურთიერთგანსაზღვრავენ კიდეც. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კავშირი კარგად ცნობილი ისტორიული ფაქტია. მაგრამ ამ შემთხვევაში ზემო სვანეთში იგი დიფერენცირებულად გამოვლინდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, როგორც სამეურნეო ქვესისტემების, შინაგანი კომპონენტების კორელაციური კავშირების სახით.

---

[36] Г. С. Читая, О горном земледелии в Грузии. М., 1960 (доклад на VI международном конгресе антропологических и этнографических наук). Б. В. Андрианов, Между Сциллой и Харибдой, Наука и жизнь, 1974, №10.

[37] საქართველოს ბუნების დაცვა, თბ., 1979.

გეოგრაფიული მაკროგარემოს დანაწევრება ხეობებად და საერთო უკმარისობა სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით სასარგებლო ტერიტორიისა, აუცილებელს ხდიდა სარწყავი ნაკვეთები მოეწყოთ დაქანებულ ადგილებში, ფერდობებზე. ეს თავის მხრივ, წარმოქმნიდა ძლიერი ეროზიის საფრთხეს. ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიებაში ხალხურმა ემპირიულმა პრაქტიკამ შეიმუშავა მთელი რიგი განსაკუთრებული ხერხი და საშუალება მორწყვისა და ნაკვეთების სათესად მომზადებისა. სათიბ მინდვრებში საკვები ბალახების ისეთი ჯიშები მოდის, რომლებიც, ერთი მხრივ ხასიათდებიან მაღალი ყუათიანობით და რძის ხარისხზე სასარგებლოდ მოქმედებენ, მეორე მხრივ, გამოირჩევიან მჭიდროდ დატოტვილი ფესვთა სისტემით, რაც ნიადაგის ზედა ფენებს საგრძნობლად ამაგრებს და რაც, თავის მხრივ, ნაკლებ საშიშს ხდის დაფერდებულ ადგილებში წყლით ნიადაგების ჩარეცხვასა და დაშლას.

ასეთი ხერხებითა და წესებით წყვეტს მოსახლეობა მთა-გორიან პირობებში ბუნებრივი რესურსების გამოყენების მრავალ პრაქტიკულ საკითხს ე. ი. ასეთი კონკრეტული გამოვლინება აქვს ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების საკითხებს. სახეზეა საკმაოდ რთული სტრუქტურის სისტემა, რომლის აგება და სრულყოფა ადამიანის საქმეა, რამდენადაც ყოველივე ამას საფუძვლად უდევს მიწათმოქმედის, მესაქონლისა და ირიგატორის მიზანმიმართული ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა, ამ თვალსაზრისით ზემოთ აღწერილი მოვლენა თავისი ბუნებით არა მხოლოდ სამეურნეო-ტექნოლოგიურია, არამედ სოციალურიც. სოციალურობის ასპექტი განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული შრომის ორგანიზაციის ხასიათში. ყველაფერი ეს ერთად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც განსაზღვრული მოდელი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველთაგან მომდინარე სამეურნეო სისტემები, რომლებიც ისტორიულად არიან დამკვიდრებულნი და განვითარების ხანგრძლივ მანძილზე სამეურნეო ტრადიციებად გადაქცეულნი, დღევანდელ პირობებში განიცდიან ცვლილებებს, შეივსებიან, ხდებიან უფრო რაციონალური და ჩამოკვეთილნი, მაგრამ ყოველივე ეს ხდება კონკრეტულ, ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში და ამ გარემოსათვის დამახასიათებელ ეკოლოგიურ შესაძლებლობათა პარამეტრებში. რამდენადაც ასეთი სისტემები წარმოდგენილნი არიან ძირითადი პროფილის სტაბილურ დარგებში, სოფლის მეურნეობის მშრომელები ტრადიციული საწარმოო ემპირიკის საფუძველზე მშვენივრად ერკვევიან

ბუნების თავისებურებებში, ამ სისტემის ყოველი ელემენტის რაოდენობრივ თუ თვისებრივ მაჩვენებლებში და მათი ურთიერთმოქმედების ეფექტში[38]. საწარმოო ცოდნა და გამოცდილება, შრომითი ჩვევები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ბუნებრივი გარემოს გამოყენების ტრადიციული ჩვევებისა, ხალხის ეკოლოგიური კულტურისა. ამ კულტურის დონე და სპეციფიკა უნდა ვეძებოთ და შევაფასოთ ეთნობოტანიკის, ეთნოზოოლოგიის, ხალხური სელექციის, ფენოლოგიის სფეროებში. ამასთან კავშირში აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ცნობილი საბჭოთა ბოტანიკოსის აკად. პ. ჟუკოვსკის სიტყვები, თქმული საერთოდ ხალხური საწარმოო კულტურის მისამართით „ძველი ანატოლიური კულტურული მცენარეულის უმრავლესობას ატყვია ადამიანის ხელი; მისი მიზანსწრაფულობა, სელექციის ბეჭედი. ეს მაღალი კულტურული მნიშვნელობის ფაქტია და საჭიროა მის წინ ვჩერდებოდეთ ისეთივე განცვიფრებით, როგორსაც იწვევენ ჩვენში ბევრი ხალხის უძველესი არქიტექტურა, უძველესი ხელოვნება"[39].

ჩვენ დროში, როცა ეკოლოგიური ცოდნის განვითარებას და რაციონალურ გამოყენებას ასეთი მნიშვნელობა ეძლევა, საჭიროდ ვთვლით, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ხალხურ სოფლისმეურნეობრივ გამოცდილებას, რომელიც ერთ რიგში უნდა მოვაქციოთ ბუნებათსარგებლობის სოფლისმეურნეობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად. ამასთან კავშირში წამოიჭრება მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანები, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ტრადიციული საწარმოო ცოდნისა და ისტორიული შრომითი გამოცდილების სწორი აღნუსხვის და გამოყენების ამოცანა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი კომპლექსური რეგიონალური გეგმების შემუშავების დროს.

აუცილებელია სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა—გეოგრაფების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების და სხვ. აქტივიზაცია პრაქტიკული სამეურნეო ტრადიციებისა და შრომითი ჩვევების შესწავლაში კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მიხედვით. ეს საჭიროა იქ, სადაც ტრადიციული საწარმოო პროფილი და მეურნეობის ტრადიციული

---

[38] შდრ. Н. А. Брегвадзе, Рациональные основы некоторых обычаев грузинских земледельцев, Советская етнография, 1967, № 2, с. 140.

[39] П. М. Жуковский, Земледельческая Турция (Азиатская часть. Анатолия), М—Л., 1933, გვ. 701—702.

დარგები ობიექტური მიზეზების გამო შემდგომშიაც შეინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

უკანასკნელ წლებში დადგა საკითხი რეგიონალური სამეურნეო-ეკოლოგიური კადასტრების შექმნის შესახებ სპეციალური პროგრამებით. ასეთი კადასტრების შედგენა უნდა დაემყაროს ცოცხალ სინამდვილეში არსებული სოციალური ინფორმაციის მასალას, რომელსაც შეუძლია მოიცვას საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების ხალხური შეფასება, ხალხურივე დახასიათება ბუნებრივი საწარმოო ძალების ყველა ცალკე ელემენტის სამეურნეო მნიშვნელობისა და მათი კომპლექსური გამოყენების მიხედვით. ყოველივე ამას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს სოფლისმეურნეობრივი ტრადიციული ბუნებათსარგებლობის საწარმოო რაციონალიზაციას და ამავე დროს საიმედო დამხმარედ გადაექცეს საგეგმო ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოფლისმეურნეობრივი ბუნებათსარგებლობის დაგეგმარების ოპტიმალურ გადაწყვეტილებებში და შეცდომების მინიმუმამდე დაყვანაში. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების იშვიათი მრავალფეროვნების გამო ზემოთქმულის განხორციელებას გამართლება ექნება მხოლოდ მიკრორეგიონალურ პრინციპზე და საფუძველზე.

### 4. კულტურულ-სამეურნეო ტრადიციების მოდელირება და თანამედროვე სასოფლო წარმოების პრაქტიკა

ამ პრობლემაზე მსჯელობისათვის ამოსავალი გახლავთ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ადამიანი დაკავშირებულია ბუნებასთან სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით, რომელთა საერთო მნიშვნელია სოციალური კანონი და ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან კავშირის ხასიათის კანონზომიერება. აღნიშნული კანონზომიერება გამოხატულია იმაში, რომ ბუნება და გეოგრაფიული გარემო ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოებაზე არა პირდაპირ და არა უშუალოდ, არამედ საწარმოო შრომის მეშვეობით. ამაშია ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების პრინციპული, თვისებრივი განსხვავება. აქ სახეზე გვაქვს სოციალურის დაპირისპირება ბიოლოგიურთან.

ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს მაკრო და მიკრორეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული პროფილით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ლოკალური ისტორიული შრომითი ჩვე-

ვებისა და საწარმოო გამოცდილების თანამედროვე სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოყენებას, ეს არის კონდენსირებული ემპირიული ცოდნის მარაგი. პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ ხალხური საწარმოო ტრადიციები და ცოდნა ამ რეგიონებში, სადაც მეურნეობას ხანგრძლივი და სტაბილური ისტორია აქვს, წარმოადგენს ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან ადამიანის შემოქმედებითი შრომითი ურთიერთობის თავისებურ ინდიკატორს.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნილი ცოდნის ეს მარაგი ძალზე გარკვეულად (მკაფიოდ) ასახავს კონკრეტული ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს სხვადასხვა კომპონენტის სისტემურ-კორელაციურ შეთანაწყობას, ხოლო მათი სისტემური შესწავლა კი წარმოაჩენს სოფლის მეურნეობის რეგიონალურ სისტემაში ეკოლოგიური და ეკონომიკური მოვლენების ურთიერთობის კანონზომიერებას.

ამ მაჩვენებლების სწორი აღრიცხვა რეგიონალური სასოფლო-სამეურნეო განვითარების სამეცნიერო დაგეგმვის აუცილებელი პირობაა.

მეორე მხრივ, ინოვაციური ხასიათის რადიკალური ღონისძიების გარკვეული სიძნელეები ცალკეულ რეგიონებში (როგორც მაგ., მთისა და მაღალმთიანეთის ზოლი) წინა პლანზე წამოსწევს ტრადიციული საწარმოო ემპირიკის რაციონალიზაციისა და ტრადიციულსავე სამეურნეო დარგებში მათი მეცნიერული გამდიდრების პრობლემას.

ამ საკითხებისადმი მეცნიერულ-პრაქტიკული მიდგომა აუცილებელს ხდის რეგიონალური სამეურნეო-ეკოლოგიური კადასტრების შემუშავებას სამეურნეო ემპირიკის მაჩვენებლების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკა აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ლოკალური სიახლეები, რომლებიც უჩვეულო და უცნობია კონკრეტული სამეურნეო გარემოსათვის, არაიშვიათად გვაიძულებს დავკმაყოფილდეთ მათი გამოყენებით, როგორც მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტით, რამდენადაც მათ სრულად ვერ გაამართლეს თავისი თავი. ამიტომ აუცილებელი ხდება მოსალოდნელი ეფექტის საგარანტიო საფუძვლებში მეტი ადგილი დავუთმოთ როგორც საწარმოო ცოდნისა და გამოცდილების საერთო სტრუქტურის, ისე მათი შემადგენელი ელემენტების ურთიერთზემოქმედების წინასწარულ ანალიზს და შემდეგ მათში საფუძვლიან ჩახედვას.

ტრადიციული სამეურნეო-საწარმოო ცოდნის, ჩვევებისა და ემპირიული გამოცდილების თანამედროვე რეგიონალური აღრიცხვის მნიშვნელობა, ჩვევებისა, რომლებიც თავისთავში აერთიანებენ მკაფიოდ გამოხატულ და საუკუნეებში შექმნილ და შემოწმებულ გარემოს მრავალ კომპონენტთან ადამიანის შემოქმედებით ურთიერთობას, განსაკუთრებით იზრდება ისეთ სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, როგორშიაც იმყოფებიან, მაგ., საქართველო და სამხრეთის სხვა მთიანი ქვეყნები.

ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერება გრძელვადიან ატმოსფერულ, საერთოდ კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების კვლევაში საგანგებო კატეგორიაში მოაქცევს ე. წ. დაკვირვების არარეპრეზენტატულობას, რაც დამახასიათებელია მთის ხეობებში, ღრმულ ადგილებში, მაღალმთიან რეგიონებში, ტყე-ველის რეგიონებში, მაშინ, როცა ატმოსფერული პროცესების ანალიზისა და სინოპტიკური რუკების შედგენისას ემყარება რეპრეზენტატული დაკვირვებების მონაცემებს, რომლებიც უფრო ეფექტურად ტარდება, მაგ., ღია ზღვაში, პატარა კუნძულებზე და ხმელეთზე — სწორ ადგილებში. აქედანვე გამომდინარეობს დასკვნა ტრადიციული საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების აღრიცხვის პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც გამოხატავენ ბუნებრივი საწარმოო ძალების ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და საწარმოო პროცესში მათი ურთიერთშეერთების მარგი ქმედების კოეფიციენტის შესახებ კონდენსირებულ ემპირიულ ცოდნას.

ყოველივე ეს ხდება და მიმდინარეობს კონკრეტულ სამეურნეო გარემოში ანუ არეალში, ეს კონკრეტულობა წარმოიქმნება და განისაზღვრება ბუნებრივ-ეკოლოგიური და სოციალურ საწარმოო პროცესის კონკრეტული ერთობლიობით. ამ გაგებით და მნიშვნელობით ასეთ კონკრეტულ სამეურნეო გარემოს შეიძლება ეკოლოგიურიც ვუწოდოთ, რომელშიც ბუნებრივ-გეოგრაფიულის და სოციალურის შეერთება კონკრეტულ კანონზომიერებას ასახავს და მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი.

ასეთ ეკოლოგიურ გარემოში ფიქსირებული მოქმედი ან თუნდაც ფუნქციაშესუსტებული სამეურნეო-საწარმოო ტრადიციები ასევე კონკრეტულნი არიან და თავისებური სისტემების სახით წარმოგვიდგებიან, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ურთიერთკორელაციურ კავშირებს ასახავენ.

მათი შესწავლისათვის სისტემური მიდგომის გამოყენებაა საჭირო.

ზემოთ მოტანილი იყო ორი მაგალითი ქართული სამიწათმოქმედო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის სფეროდან.

ზემო სვანეთში ისტორიულად მეურნეობის თავისებური ტიპი ჩამოყალიბებულა. სახეზე გვაქვს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეტად თვალსაჩინო ურთიერთსასარგებლო შერწყმა.

ეს სამეურნეო სისტემა, დროში დამკვიდრებული, სამეურნეო ტრადიციად არის ქცეული, რომელსაც განვითარების ხანგრძლივ გზაზე ცვლილებები მოუდის, ივსება, იხვეწება, მაგრამ ეს ხდება კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში და მისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური შესაძლებლობების პარამეტრებში.

მაშასადამე, შესწავლილ მოვლენაში შედარებით ღრმად ჩახედვა ნათელს ხდის, რომ აქ საქმე გვაქვს ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ და დროის მიერ გამოცდილ და შემოწმებულ სამეურნეო-საწარმოო სისტემასთან. სოციალური განვითარების ტერმინოლოგიით ეს არის მემკვიდრეობითი საწარმოო ინფორმაცია, ანუ სხვაგვარად, ემპირიული საწარმოო ტრადიცია.

რამდენადაც ეს სისტემა მეურნეობის ძირითადი პროფილის სტაბილურ დარგებშია წარმოდგენილი, მკვიდრმა მშრომელმა მოსახლეობამ ტრადიციული ემპირიკის საფუძველზე კარგად იცის სისტემის თითოეული ელემენტის რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ნიშნები და საწარმოო შრომის საფუძველზე მათი ურთიერთდაკავშირების ეფექტი. რამდენადაც სამეურნეო-საწარმოო ტრადიციებს სისტემური მიდგომით განვიხილავთ, გასაგებია სისტემის სტრუქტურიზაციაც და სტრუქტურული კომპონენტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიების საკითხის დაყენებაც. ამავე კუთხით, ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ სისტემების ფორმალიზებაც და მოდელირებაც.

ფორმალიზებაში ვგულისხმობთ საწარმოო ტრადიციის ისტორიულ მშენებლობაში მონაწილე ბუნებრივი ელემენტებისა და შრომითი სოციალური პროცესებისა და მოვლენების სტრუქტურულ ერთეულებად დაშლას და მათი „გამარტივებული" რიგის მათემატიზაციას, რომლის მიზანი იქნება ყველა მათგანისათვის, როგორც სისტემის ცალკე ელემენტისათვის, თავისი საკუთარი პოზიციის მიჩენა და ურთიერთმოქმედების ჩვენება, რაც, ალბათ შეიძლება ფორმულითაც გამოიხატოს. ეს ეთნიკური ტრადიციების სოციალური განზომილების ერთ-ერთი სახეობაც იქნება.

მაგრამ ნათქვამი ჯერჯერობით მოსაზრების დონისაა და სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს. მათემატიკური აპარატით ამის ჩვენება არც არის ამ ნაშრომის მიზანი, მაგრამ გზა, რომელსაც ამ საქმემდე მივყავართ, შეიძლება დასაბუთებულ იქნეს ობიექტურად, იმ გამოკვლევებით, რომელიც ეთნოგრაფიაში მოგვეპოვება და რომლის მცირე მაგალითი ზემოთაც იყო მოტანილი.

ზემო სვანეთის მაგალითზე განხილული მასალა უტყუარად წარმოაჩენს სამეურნეო-საწარმოო ტრადიციული სისტემის სურათს.

ეს სისტემა კომპონენტების სტაბილური რიგით უფლებას გვაძლევს, რომ თავისთავად უკვე ეს სისტემა გარკვეულ მოდელად მივიჩნიოთ. აქვე დგება ამ მოდელის სივრცობრივი გამოყენების შესაძლებლობის საკითხი. ზემოთ უკვე დავსვით კითხვა — შეიძლება თუ არა ზემო სვანეთის პირობებში შექმნილი სამეურნეო-საწარმოო სისტემის ეს მოდელი მეზობელ ქვემო სვანეთში გამოვიყენოთ? პასუხი ამ შემთხვევაში წინასწარ ცნობილია — არ შეიძლება. ასეთი პასუხისათვის ობიექტური საფუძველი არსებობს. ქვემო სვანეთში ისტორიული განვითარების პროცესში ტრადიციულად ჩამოყალიბებულა სათიბი მეურნეობის ის ტიპი, როგორც ზემო სვანეთში. საჭიროა შედარება. ზემო და ქვემო სვანეთში ცხოვრება ისტორიულად ჩამოყალიბებულია ორ მეზობელ, მაგრამ ერთმანეთისაგან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებით განსხვავებულ ხეობაში. ეს არის ენგურის (ზემო სვანეთი) და ცხენისწყლის (ქვემო სვანეთი) ხეობები. ამიტომ ისტორიული სამეურნეო სისტემები ამ ორი ხეობისა ერთმანეთს არ ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ მაკრორეგიონი და ამ შემთხვევაში ეთნორეგიონი ერთია, აშკარად ჩანს, რომ ენგურის ხეობისაგან განსხვავებული ცხენისწყლის კლიმატურ-გეოგრაფიული რეჟიმი, ჰიდროგრაფიული, ინსოლაციური თავისებურებანი, ისტორიულად არასაკმარისი აღმოჩნდა ცხენისწყლის ხეობაში ისეთივე კომპლექსური სამეურნეო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, როგორიც ენგურის ხეობაში იყო. ამიტომ მექანიკური გადატანა სოფლისმეურნეობრივი ტრადიციული ბუნებათსარგებლობის მოდელისა ერთი კონკრეტული ბუნებრივ-სამეურნეო გარემოდან მეორეში არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე გარემო შეიძლება გეოგრაფიულადაც და სოციალურ-ისტორიულადაც გარეგნულ მსგავსებას ამჟღავნებდეს. რომ სამეურნეო-საწარმოო ტრადიციების შესწავლას და მისი საჭირო ნაწილის დღევანდელ ვითარებაში პრაქტიკულ გამოყენებას მნიშვნელობა აქვს, ეს იმდენად თვალსაჩინოა და გა-

საგები, რომ რაიმე საგანგებო დასაბუთება ან მტკიცება მას არ სჭირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ამ აზრის სასარგებლოდ ბოლო ხანების საბჭოთა სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულების აქ მოტანას[40]. მაშასადამე, ამ ამონაწერის მიხედვით, ხალხის შრომითი გამოცდილება ცოცხალი ფუნქციის მქონე დღევანდელი სოციალური მოვლენაა, რომელსაც სპეციალური შესწავლა უნდა.

საკითხისადმი ამ კუთხითა და თვალსაზრისით მიდგომა, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება საქართველოს ტერიტორიაზე კულტურულ-ისტორიული მოვლენების თვისებებისა და განვითარების სპეციფიკის ახსნაშიც.

მაგალითად, ქართული ეთნოგრაფიის წინაშე კარგა ხანია დგას საკითხი, რომელსაც პასუხის გაცემა სჭირდება—რატომ არის რომ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის ორ მესამედზე მეტი მთაგორიანია, მთური მეურნეობის ტერასული ტიპი ისტორიულად მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში დამკვიდრდა. დანარჩენ მთის კუთხეებში კი, სადაც მიწათმოქმედება თავისთავად ძველთაგანვე მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო ტერასული მეურნეობის ფორმა არ გავრცელებულა. იგი არ იყო დამკვიდრებული ზემო და ქვემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, არც აღმოსავლეთ საქართველოში. მარტო გეოგრაფიული სიმაღლის ფაქტორი აქ გადამწყვეტს ვერაფერს გვეტყვის. სხვა მიზეზების ძებნას კი საბოლოო ჯამში იქეთ მივყავართ, რომ ტერასული მეურნეობის იმ მაღალინტენსიური ფორმის წარმოსაქმნელად და დასამკვიდრებლად, რომელიც ჩვენ მესხეთ-ჯავახეთის მაგალითზე

---

[40] მაგ., ცნობილი საბჭოთა ეთნოგრაფი, მიწათმოქმედების კულტურულ-ისტორიული საკითხების მკვლევარი პროფ. ბ. ანდრიანოვი ჟურნ. «Советская этнография»-ში (1978, № 1. გვ. 177) ი. მუხიდდინოვის მონოგრაფიულ გამოკვლევაზე (И. Мухиддинов, земледелие памирских таджиков Вахана и Ишкашима в XIX начале XX в., историко-этнографический очерк, М., 1975, 125 с.) დაწერილ რეცენზიაში ნაშრომის საერთოდ მაღალი შეფასების გვერდით აღნიშნავს შემდეგს «Следует также сказать, что в работе И. Мухиддинова недостаточно подчеркнуто значение земедельческих традиций населения Западного Памира для современной практики народного хозяйства. В монографии идет речь не об этнографических уникумах, место которым лишь в музеях, а о народном трудовом опыте, который имеет большое значение и в условиях современного социалистического хозяйства. Задача энтографа—привлечь внимание к наиболее полезным приемам и практическим навыкам ведения горного земледельческьго хозяйства, передаваемых на Памире из поколения в поколение» (СЭ, № 1, 1978, с. 177).

